

შპს „ეკოლუმენ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული  
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

**შინაარსი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შინაარსი.....	1
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	1
1 შპს ევოლუშენ ჯორჯია და მისი საქმიანობა.....	5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო.....	6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა .....	7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....	22
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება .....	24
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები.....	26
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....	33
8 ძირითადი საშუალებები .....	34
9 აქტივების გამოყენების უფლება და იჯარის ვალდებულებები.....	35
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....	36
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	36
12 საწესდებო კაპიტალი.....	37
13 აქციებზე დაფუძნებული გადახდები .....	37
14 ნასესხები სახსრები .....	40
15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება .....	41
16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	42
17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან .....	42
18 სხვა ხარჯები, ნეტო.....	42
19 საფინანსო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო .....	43
20 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები .....	43
21 ფინანსური რისკის მართვა .....	44
22 კაპიტალის მართვა .....	49
23 რეალური ღირებულების შეფასება .....	49
24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....	51

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ევოლუშენ ჯორჯიას მესაკუთრესა და ხელმძღვანელობას

### ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ევოლუშენ ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია ასახავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

---

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

---

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

**შპს „ეკოლოშენ ჯორჯია“  
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

---

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის- ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.  
მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

*შპს ფრაისუოთერჰალსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)*

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913 )

2022 წლის 10 მაისი  
თბილისი, საქართველო

**შპს „ეკოლოშენ ჯორჯია“**  
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

<i>ათასი ლარი</i>	<i>შენიშვნა</i>	<b>2021 წ. 31 დეკემბერი</b>	<b>2020 წ. 31 დეკემბერი</b>
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	8	51,642	46,863
არამატერიალური აქტივები		103	142
აქტივების გამოყენების უფლება	9	24,691	19,688
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		964	1,942
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>77,400</b>	<b>68,635</b>
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
მარაგები		3,808	2,224
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	19,374	40,024
სხვა საგადასახადო მოთხოვნა		4,782	5,687
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	26,888	8,491
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>		<b>54,852</b>	<b>56,426</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>132,252</b>	<b>125,061</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	12	-	-
აქციებზე დაფუძნებული გადახდების რეზერვი	13	(1,306)	-
გაუნაწილებელი მოგება		22,262	8,846
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>20,956</b>	<b>8,846</b>
<b>ვალდებულებები</b>			
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
იჯარის ვალდებულებები	9	23,558	22,861
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>23,558</b>	<b>22,861</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
ნასესხები სახსრები	14	70,582	79,314
იჯარის ვალდებულება	9	3,840	3,341
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	16	13,315	10,699
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>87,737</b>	<b>93,354</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>111,295</b>	<b>116,215</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>132,251</b>	<b>125,061</b>

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 10 მაისს.

პალ ჯესპერ ფონ ბაჰრი  
 დირექტორი

ანა გაჩეჩილაძე  
 ჯგუფის მთავარი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-50, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს „ეკოლოშენ ჯორჯია“**  
**მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

<i>ათასი ლარი</i>	<b>შენიშვნა</b>	<b>2021</b>	<b>2020</b>
<b>ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b>	<b>17</b>	<b>145,314</b>	<b>94,652</b>
სხვა შემოსავალი		1,096	847
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი		(93,646)	(43,298)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8,9	(14,741)	(10,798)
სტუდიასთან დაკავშირებული ხარჯები		(6,526)	(3,347)
უცხოური ვალუტის გაცვლის ზარალი შემცირებული შემოსულობებით		(4,747)	(2,112)
ტელეკომუნიკაციის ხარჯები		(3,149)	(2,970)
კომუნალური ხარჯები		(3,093)	(1,368)
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები		(2,730)	(992)
აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების ხარჯი	13	(2,166)	-
სარემონტო და მოვლა-შენახვის მომსახურება		(1,976)	(2,329)
საოფისე მარაგები		(1,337)	(597)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება		(1,237)	(762)
სხვა ხარჯები, ნეტო	18	(4,509)	(3,266)
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>6,553</b>	<b>23,660</b>
საფინანსო შემოსავალი/ (ხარჯი), ნეტო	0	6,863	(17,541)
<b>მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>		<b>13,416</b>	<b>6,119</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
<b>წლის მოგება</b>		<b>13,416</b>	<b>6,119</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>წლის სრული შემოსავალი, სულ</b>		<b>13,416</b>	<b>6,119</b>

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-50, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

**შპს „ეკოლოჟიკა“**  
**საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**

ათასი ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>ნაშთი 2019 წ. 31 დეკემბერს</b>	12	-	-	<b>2,727</b>	<b>2,727</b>
წლის მოგება		-	-	6,119	6,119
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	6,119	6,119
<b>ნაშთი 2020 წ. 31 დეკემბერს</b>	12	-	-	<b>8,846</b>	<b>8,846</b>
წლის მოგება		-		13,416	13,416
აქციებზე დაფუძნებული გადახდების განაწილება		-	(3,472)	-	(3,472)
აქციებზე დაფუძნებული გადახდების ანაზღაურება		-	2,166	-	2,166
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(1,306)	13,416	12,110
<b>ნაშთი 2021 წ. 31 დეკემბერს</b>	12	-	<b>(1,306)</b>	<b>22,262</b>	<b>20,956</b>

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-50, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



**შპს „ეკოლოშენ ჯორჯია“  
ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

ათასი ლარი	შენიშვნა	2021	2020
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		<b>13,416</b>	<b>6,119</b>
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისთვის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ანაზღაურების ხარჯი	8,9	14,741	10,798
საპროცენტო ხარჯისთვის	13	2,166	-
სავალუტო სხვაობების (შემოსულობა)/ ზარალი, ნეტო	0	3,187	17,541
		(5,303)	2,112
<b>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე</b>		<b>28,207</b>	<b>36,570</b>
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ზრდა მარაგებში	10	15,612	(15,982)
შემცირება სხვა საგადასახადო მოთხოვნებში სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,584)	(914)
		905	2,507
	16	2,575	1,105
<b>საბრუნავი კაპიტალის ცვლილება გადახდილი საპროცენტო ხარჯი</b>		<b>17,508</b>	<b>(13,284)</b>
		(1,870)	(1,928)
<b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>43,845</b>	<b>21,358</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(15,008)	(22,555)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა	8	114	130
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(14,894)</b>	<b>(22,425)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	14	-	8,005
აქციებზე დაფუძნებული გადახდების განაწილება	13	(3,472)	-
იჯარის ვალდებულებების გადაფარვა	15	(3,428)	(2,300)
იჯარის ვალდებულებების წინასწარი საზღაურის დაფარვა		(1,728)	-
<b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (საქმიანობაში გამოყენებული) /</b>		<b>(8,628)</b>	<b>5,705</b>
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,926)	(7)
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>		<b>8,491</b>	<b>3,860</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>		<b>26,888</b>	<b>8,491</b>

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-50, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

## 1 შპს ევოლუშენ ჯორჯია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს „ევოლუშენ ჯორჯიასთვის“ (შემდგომში „კომპანია“).

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „ევოლუშენ ჯორჯია“ საქართველოში დაფუძნდა 2017 წლის 29 მაისს. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 405209689.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო შპს Evolution Malta Holding Limited, მალტა (შემდეგში „მშობელი კომპანია“) და კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

Evolution Malta Holding Limited LLC რამდენიმე კომპანიას ფლობს მსოფლიო მასშტაბით და მისი მფლობელია Evolution Gaming Group AB (საჯარო), შვედური საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც საფონდო ბირჟაზე - Nasdaq Nordic Large Cap - არის რეგისტრირებული 2017 წლის 5 ივნისიდან. Evolution Gaming Group AB (საჯარო) და მისი შვილობილი საწარმოები (შემდეგში „ჯგუფი“) წარმოადგენს ლაივ კაზინო (Live Casino) სისტემების წამყვან „ბიზნესი ბიზნესისთვის“ (შემდეგში “B2B”) პროვაიდერს. ჯგუფი ქმნის, ავითარებს, აწარმოებს, სრულად ინტეგრირებულ ლაივ კაზინო გადაწყვეტებს აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის, ახორციელებს მის მარკეტინგს და გასცემს ლიცენზიებს. ის მონაწილეობს მხოლოდ განვითარებასა და შექმნაში, ხოლო თვითონ არ ახორციელებს აზარტული თამაშების ოპერირებას. Evolution Gaming Group AB (საჯარო) წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ მიღებულ ფასს-თან.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლაივ კაზინო მომსახურებების B2B ლაივ სტრიმინგი. დაფუძნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 2017 წლის 1 ივლისს, კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას (შემდეგში „შეთანხმება მომსახურების შესახებ“) Evolution Malta Ltd-თან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო – “EUCC”), რომლის შესაბამისად კომპანიამ შემდეგი მომსახურებები უნდა გასწიოს:

- კაზინოს თამაშების ვიდეო და აუდიო ტრანსლაცია ინტერნეტის მეშვეობით;
- აზარტული თამაშების ტრანსლაციისთვის საჭირო მოწყობილობებისა და სერვერის მიწოდება და მოვლა-შენახვა;
- იმ თანამშრომლებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა, რომლებიც ახორციელებენ ონლაინ კაზინოს მომსახურებას;
- ონლაინ კაზინოს მომსახურების უზრუნველსაყოფად პერსონალის დაქირავება და მართვა;
- ზემოაღნიშნული მომსახურებებისთვის საჭირო ადმინისტრაციული მომსახურების უზრუნველყოფა.

კაზინოს მომსახურებების ლაივ სტრიმინგი ხორციელდება კომპანიის მიერ იჯარით აღებულ უძრავ ქონებაზე აშენებული სტუდიების მეშვეობით. კერძოდ, კომპანიის მიერ დაქირავებული თამაშების წარმდგენლები თამაშების (“რულეტკა”, “ბლექჯეკი”, “სამ კარტიანი პოკერი” და “ბაკარა”) პრეზენტაციას ახორციელებენ კომპანიის სტუდიებში დამონტაჟებული აზარტული თამაშების მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც ლაივ სტრიმინგით გადაიცემა Evolution Malta Ltd-ში.

კომპანია იყენებს მოდელს, თვითღირებულებას მიმატებული მარჟა და კომპანიის ამონაგები პირდაპირ კავშირშია ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევისთვის გაწეულ ხარჯებთან, რაც გამოითვლება თვითღირებულებით, რასაც ემატება შეთანხმებული მარჟის პროცენტი.

**კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი.** კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობას ძირითადად ეწევა შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, მექანიზაციის ქ. 1/თორნიკე ერისთავის ქ. 2.

**წარსადგენი ვალუტა.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდეგში "GEL"), თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

## 2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებასა და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი შესაბამისი ზომები COVID -19 -ის გავრცელებისა და მისი გავლენის შესაჩერებლად, როგორცაა შეზღუდვები მგზავრობაზე, კარანტინი, თვითიზოლაცია და შეზღუდვები ბიზნეს-საქმიანობაზე, მათ შორის საქმიანობის დასრულებაზე. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გლობალური ინფექციის გავრცელების დონე რჩება მაღალი, ვაქცინაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და არსებობს რისკი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დააწესოს დამატებით შეზღუდვები შემდგომ პერიოდებში, მათ შორის ვირუსის ახალი ვარიანტების გაჩენის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო ოპერატიული პერსონალი განაგრძობდა მუშაობას ყველა წესის დაცვით. შედეგად, 2021 წელს დაწესებული შეზღუდვები არ ახდენს რაიმე მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის საქმიანობაზე და ის მუშაობს სრული დატვირთვით.

2021 წელს, საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე დაეხმარა გლობალური ეკონომიკის აღორძინება და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდა. თუმცა, საქართველოს და გლობალურ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციისა და ზემოაღნიშნული ზომების სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან. ხელმძღვანელობას თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდეგში „ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე. ქვემოთ მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. წინამდებარე პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია.** კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL").

**ოპერაციები და ნაშთები.** ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, ნასესხები სახსრების გარდა, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის მუხლში, „სხვა ხარჯები, წმინდად“ (მე-18 შენიშვნა). ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში, „ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯები)“ (შენიშვნა 0).

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

2021 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ძირითადი სავალუტო კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ნაშთების გადასაყვანად, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი ("USD") 1 = 3.0976 ლარს და ევრო ("EUR") 1 = 3.504 ლარს (2020 წ. 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 3.2766 ლარი და ევრო 1 = 3.40233 ლარი). დღეისათვის ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. ძირითადი საშუალებები მოიცავს მომავალში ძირითადი საშუალების სახით გამოყენების მიზნით მშენებარე აქტივებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და წლის მოგება-ზარალის მუხლში, „სხვა ხარჯები, წმინდად“ აღიარდება (მე-18 შენიშვნა).

**ცვეთა.** მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას (“CIP”) ცვეთა არ ერიცხება. დანარჩენი ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე ღირებულების გასანაწილებლად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წელი
სტუდიის ტექნიკური მოწყობილობები	2 - 5
სერვერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა მოწყობილობები	1 - 4
საოფისე ავეჯი და სხვა მოწყობილობები	2 - 5
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სასარგებლო მომსახურების ვადასა და საბაზისო იჯარის ხანგრძლივობას შორის უმცირესი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში.

**აქტივების გამოყენების უფლება.** კომპანია იჯარით გასცემს ოფისს და საწყობს. ხელშეკრულებები მოიცავს ორივეს, იჯარის და არასაიჯარო კომპონენტებს. კომპანია ანაწილებს საზღაურს ხელშეკრულებაში იჯარის და არასაიჯარო კომპონენტებად, მათ შესაბამის განცალკევებით გასაყიდი ფასის საფუძველზე.

იჯარიდან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას
- ნებისმიერ იჯარის გადახდებს, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდებით.
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ღირებულებას, და
- საიჯარო შეთანხმებით მოთხოვნილი პირობებით აქტივის აღდგენის ღირებულებას

აქტივების გამოყენების უფლება ზოგადად გაუფასურდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით. აქტივების გამოყენების უფლების მუხლების გაუფასურება გამოიანგარიშება იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები  
ბაზისო სადგური

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში  
8-დან 9 წლამდე  
6 წელი

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს, რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანუღირების თვალსაზრისით.

**ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები.** რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასების ისეთი ხერხები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

გარიგების დანახარჯები გახლავთ ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შექმნას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს.

გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება (“AC”) არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი გაუფასურების ნებისმიერი ზარალით (“ECL”). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის წარმოშობისას გადავადებული საზღაური, თუ ასეთი არსებობს), ცალკე წარდგენილი არ არის და დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში ასახული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების (“POCI”) შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ანუ სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

**ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება.** ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღირიცხება შესწორებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების გამოყენების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. საწყისი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ანარიცხი აღიარდება იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა (AC) შეფასებული ან სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI), სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისათვის, რაც განაპირობებს მყისიერ სააღრიცხვო ზარალს. ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც კომპანია აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები.** კომპანია ფინანსური აქტივების შეფასებას შემდეგი კატეგორიებით ახორციელებს: მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL), სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) კომპანიის ბიზნეს-მოდელზე, რომელიც გამოიყენება დაკავშირებული აქტივების მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი.** ბიზნეს-მოდელი გვიჩვენებს, როგორ ახორციელებს კომპანია აქტივების მართვას ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია: (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი“); თუ არც (i) და არც (ii) არ ვრცელდება, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც „სხვა“ ბიზნეს-მოდელის ნაწილი და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე. ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას კომპანია შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს: პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება - როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისგან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება ხელმძღვანელების ანაზღაურება.



### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები.** კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ (“FVTPL”), “რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (“FVOCI”) და ამორტიზებული ღირებულებით (“AC”). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელზე, და (ii) ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები.** როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას (“SPPI”). როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

**ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.** ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას არ მოუხდენია მისი ბიზნეს მოდელის ცვლილება მიმდინარე და შესაძარისი პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.** კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც გულისხმობს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის გამოყენებას ყველა სავაჭრო მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად სავაჭრო მოთხოვნები ჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით (მოთხოვნები შესაძლებელია დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, უზრუნველყოფის ან სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით)

**ფინანსური აქტივები – ჩამოწერა.** ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა.** კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

**ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება.** ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია შეაფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”) კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტ კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის (“POCI” აქტივები) დისკონტირებით და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

**ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

კომპანიას ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღრიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

**ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასების კატეგორია.** კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასების კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს.), სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, როდესაც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მემკვიდრით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით და შემდგომში გატარებული ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.** სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**ნასესხები სახსრები.** ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**იჯარის ვალდებულებები.** ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა იჯარიდან, თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს შემდგომი იჯარის გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), შემცირებული იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნებით
- იჯარის შეწყვეტის ჯარიმების გადახდები, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია ყველა იჯარაში კომპანიის შიგნით. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება მხოლოდ კომპანიას აქვს და არა შესაბამისი მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს, დაკორექტირებულს ფინანსური პირობების ცვლილებების ასახვად, რადგან დაფინანსება მიღებულია მესამე მხარისაგან
- იყენებს შენების (build-up) მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტირებებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

კომპანია ექვემდებარება იჯარის ცვლადი გადახდების სამომავლო პოტენციურ ზრდას ინდექსზე ან განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც არ არის შეყვანილი იჯარის ვალდებულებაში, სანამ ისინი არ შევა ძალაში. როდესაც ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის გადახდების კორექტირებები ძალაში შევა, იჯარის ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტირდება აქტივის გამოყენების უფლების საწინააღმდეგოდ.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

გადახდები, რომლებიც ასოცირდება ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარებთან აღიარდება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც დანახარჯი. მოკლევადიანია ის იჯარები, რომლებსაც გააჩნიათ იჯარის პირობა 12 თვეზე ან ნაკლებზე.

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

**გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია.** ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

**დამატებული ღირებულების გადასახადი.** წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მთლიანობაზე დაყრდნობით და გამჟღავნებულია ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. სადაც ანარიცხი მიღებულია მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, გაუფასურების ზარალი აღირიცხულია მოვალის მთლიანი თანხისთვის, დღე-ს ჩათვლით.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**მარაგები.** სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება შეწონილი სამუალოს საფუძველზე.

**გადახდილი ავანსი.** გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილი ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

**საწესდებო კაპიტალი.** კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის ასოცირების წესდებით და გამოსახულია ნომინალური ღირებულებით, ერთი ლარი. კომპანიის ასოცირების წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, მფლობელებისა და სხვა ცვლილება) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

**ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები.** ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

**მომსახურების გაყიდვა.** კომპანია მომსახურებას ეწევა Evolution Malta Ltd-თან ხელმოწერილი „მომსახურების შეთანხმების“ ფარგლებში (შენიშვნა 1), რომელიც მიჩნეულია, რომ არის საქმიანობის შედეგის ერთადერთი მოვალეობა. ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება, რადგან მომხმარებელი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად სარგებელს იღებს და იმავდროულად მოიხმარს მას.

კომპანია იყენებს მოდელს, თვითღირებულებას მიმატებული მარჟა, რომლის მიხედვით ამონაგები გამოითვლება, როგორც პირველ შენიშვნაში აღნიშნულ მომსახურების გაწევასთან გონივრულად დაკავშირებული მთლიანი დანახარჯები, გამრავლებული ფიქსირებული მარჟის პროცენტზე, რომელიც განსაზღვრულია „შეთანხმებით მომსახურების შესახებ“.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

როდესაც კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება აღემატება გადახდას, სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება. თუ გადახდა აღემატება გაწეული მომსახურების ღირებულებას, მაშინ სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება.

*დაფინანსების კომპონენტი.* კომპანიას არ აქვს ხელშეკრულებები, სადაც დაპირებული მომსახურების მომხმარებლისთვის გაწევასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, კომპანია არ ახორციელებს გარიგების ფასების კორექტირებას ფულის დროითი ღირებულებისათვის.

*თანამშრომელთა გასამრჯელოები.* კომპანიის თანამშრომლების მიერ მომსახურების გაწევის წელს მათთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი (როგორცაა მაგალითად ჯანმრთელობის დაზღვევა) დაირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა.

*აქციებზე დაფუძნებული გადახდები.* კომპანიას გააჩნია აქციებზე დაფუძნებული ინსტრუმენტებით განსაზღვრული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ანაზღაურების გეგმა, რომელთა ფარგლებში საწარმო იღებს საქონელს ან მომსახურებას თანამშრომლებისაგან და მესამე მხარეებისაგან, კომპანიის აქციებზე დაფუძნებული ინსტრუმენტების (ოფციონები ან აქციები) ანაზღაურების სახით.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება არის შეთანხმება საწარმოსა და მეორე მხარეს (მათ შორის დასაქმებულს) შორის, რომელიც აძლევს მეორე მხარეს უფლებას მიიღოს საწარმოს ფულადი სახსრები ან სხვა აქტივები თანხებისთვის, რომლებიც ეფუძნება საწარმოს ან სხვა ჯგუფის საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის აქციების) ფასს (ან ღირებულებას), ან საწარმოს ან სხვა ჯგუფის საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებს (მათ შორის აქციები ან აქციების ოფციონები), იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებულია უფლების გადაცემის განსაზღვრული პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების გეგმის მიხედვით, კომპანია ხელმძღვანელობისგან იღებს მომსახურებას კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურების სახით. წილობრივი ინსტრუმენტების გაცემის სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურების რეალური ღირებულება აღიარებულია როგორც ხარჯი. დარიცხულ აქციებზე კაპიტალის ზრდა, რომელიც გამოწვეულია კაპიტალით ანგარიშსწორებული სქემით, აღიარდება აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვში. როდესაც ერთი გრანტის გარკვეული ნაწილები გადადის ორ ან მეტ თარიღზე, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების აღრიცხვისთვის საწარმო იყენებს კლასების მიხედვით დახარისხებულ უფლების გადაცემას. გრანტის თითოეული ტრანშის უფლების გადაცემის პერიოდი მთავრდება, მაშინ, როდესაც თანამშრომლის მფლობელობაშია აქციები მომსახურების შემდგომი შეზღუდვის გარეშე. კლასების მიხედვით დახარისხებული უფლების გადაცემის სქემის მიხედვით, ადრეული წლების ხარჯი უფრო მაღალია, ვიდრე შემდგომი წლების ხარჯი. თითოეული ტრანში ხარჯად ასახულია მისი მომსახურების პერიოდის განმავლობაში, ხოლო საკრედიტო ჩანაწერად წარმოდგენილია კაპიტალი.



### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებული თანამშრომელთა მომსახურება. ოფციონების ან აქციების სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურების რეალური ღირებულება აღიარდება ხარჯის სახით. უფლებების გადაცემის პერიოდის განმავლობაში ხარჯებში ასახული თანხის მთლიანი ოდენობა განისაზღვრება გაცემის თარიღით აღნიშნული ოფციონების ან აქციების რეალური ღირებულებით, გარდა არასაბაზრო უფლებების გადაცემის პირობების გავლენისა (მაგალითად, მომგებიანობისა და გაყიდვების ზრდის მიზნები). ნებისმიერი მომსახურების და არასაბაზრო შედეგების უფლებების გადაცემის პირობები აისახება დაშვებებში ოფციონების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც მოსალოდნელია, რომ გამოყენებადი გახდება იმ აქციების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებსაც, მოსალოდნელია, რომ საბოლოოდ მიიღებენ თანამშრომლები. შეფასება გადაისინჯება ბალანსის შედგენის ყველა თარიღით და სხვაობა დაერიცხება ან დაკრედიტდება მოგება-ზარალზე, კაპიტალის შესაბამისი შესწორებით. ხარჯების ცვლილება არ ხორციელდება, როდესაც უფლებების გადაცემის მინიჭების მოსალოდნელი ან ფაქტობრივი დონე განსხვავდება საწყისი შეფასებისგან, საბაზრო შედეგების პირობების მიუღწევლობის გამო, მაგ., სათანადო აქციონერის მთლიანი უკუგება ან აქციის ფასი. ოფციონების გამოყენებისას მიღებული ამონაგები, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯების გარეშე, დაკრედიტდება სააქციო კაპიტალზე (ნომინალური ღირებულება) და საემისიო შემოსავალზე. გაუქმებული მინიჭება ნიშნავს უფლების გაუქმებას. ნებისმიერი არაამორტიზებული ხარჯი, დაკავშირებული მსგავს მინიჭებებთან, მაშინვე აისახება მოგება-ზარალში.

საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია ვალდებულია დააკავოს თანამშრომლის გადასახადის თანხა, რომელიც დაკავშირებულია აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების სარგებელთან და ეს თანხა ნაღდი ფულით გადარიცხოს საგადასახადო ორგანოში თანამშრომლის სახელით. ამ ვალდებულების შესასრულებლად, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების პირობები საშუალებას აძლევს კომპანიას დააკავოს წილობრივი ინსტრუმენტების ცვლადი რაოდენობა, რომელიც ტოლია თანამშრომლის საგადასახადო ვალდებულების ფულადი ღირებულების, კაპიტალის ინსტრუმენტების მთლიანი რაოდენობიდან, რომლებიც სხვაგვარად გამოშვებული იქნებოდა დასაქმებულისთვის აქციებზე დაფუძნებული გადახდის განხორციელებისას (ანუ აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებას აქვს „ნეტო ანგარიშსწორების ფუნქცია“). ოპერაცია მთლიანად კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალით ანგარიშსწორებული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, თუ ის ამგვარად კლასიფიცირდებოდა წმინდა ანგარიშსწორების მახასიათებლის არარსებობის შემთხვევაში.

**ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ.** ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ ცვლილებების შეტანა უნდა დაამტკიცოს მან, ვინც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა გამოსაცემად.

#### 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

**ფუნქციონირებადი საწარმო.** ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსური ბაზრების ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

როგორც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, კომპანიას გააჩნია სასესხო საშუალებების მაღალი წილი, თუმცა ლიკვიდობის კოეფიციენტები გაუმჯობესდა. ეს იმის გამო ხდება, რომ კომპანიის ნასესხები სახსრების ნაშთი შემცირდა 2021 წლის განმავლობაში. სასესხო საშუალებების მაღალი წილი განპირობებულია იმით, რომ კომპანიას ნასესხები აქვს სახსრები მშობელი კომპანიისგან უვადოდ. კომპანიამ მშობელი საწარმოსგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რათა დარწმუნდეს, რომ ის გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

**დაკავშირებული მხარეების ოპერაციების თავდაპირველი აღიარება** ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები განმარტებულია მე-7 შენიშვნაში.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის** განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება.

დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული დაშვებებისგან 10%-ით, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა იქნებოდა მისი 1,179 ათასი ლარით ზრდა ან 964 ათასი ლარით შემცირება. (2020 : 964 ათასი ლარით ზრდა ან 660 ათასი ლარით შემცირება).

#### 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

**აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება.** იჯარის პირობის განსაზღვრებისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ისეთ ეკონომიკურ წამახალისებელს, რომელიც საშუალებას იძლევა ან გაგრძელების შესაძლებლობის გამოყენების, ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოყენების. გაგრძელების შესაძლებლობები (ან შეწყვეტის შემდეგ პერიოდის შესაძლებლობები) შეყვანილია მხოლოდ იჯარის იმ პირობაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა შეიძლება გაგრძელდეს (ან არ შეწყდეს).

**გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები** შეყვანილი კომპანიის ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. იჯარის პირობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ისეთ ეკონომიკურ წამახალისებელს, რომელიც საშუალებას იძლევა ან გაგრძელების შესაძლებლობის გამოყენების, ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოყენების. გაგრძელების შესაძლებლობები (ან შეწყვეტის შემდეგ პერიოდის შესაძლებლობები) შეყვანილია მხოლოდ იჯარის იმ პირობაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა შეიძლება გაგრძელდეს (ან არ შეწყდეს). შენობა ნაგებობების იჯარისთვის, ჩვეულებრივ, ყველაზე რელევანტური შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტის შემთხვევაში (ან არ გაგრძელების) კომპანიას, ჩვეულებრივ, გააჩნია გონივრული რწმუნება გაგრძელების შესახებ (ან არ შეწყვეტის)
- სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, რაც მოიცავს ისტორიულ იჯარის ხანგრძლივობას და ღირებულებას და წარმოების შეჩერებას, რომელიც მოითხოვება იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად.

იჯარის პირობა გადაფასდება თუ ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად გამოყენებულია (ან არ არის გამოყენებული) ან, თუ კომპანია ხდება ვალდებული გამოიყენოს (ან არ გამოიყენოს) ის.

**იჯარის ვალდებულების განსაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი.** კომპანია იყენებს მის დისკრეციულ სასესხო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გაანგარიშების საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი არ შეიძლება მზად განისაზღვროს.

დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედეგად გამოიღებდა იჯარის ვალდებულებების ზრდას ან შემცირებას 539 ათასი ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბერი: 671 ათასი ლარი).

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

**COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობაზე ფასს 16-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც გამოიცა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ.** ეს შესწორება მოიჯარეს აძლევს შეღავათს, არჩევითი გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ აწარმოონ საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა ისე, თითქოს ისინი არ წარმოადგენდეს იჯარის მოდიფიკაციას. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ საიჯარო ქირის დათმობებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როგორც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: იჯარის გადახდების ცვლილებას შედეგად მოჰყვა იჯარის საზღაურის გადახედვა, რომელიც არსებითად იგივეა, ან ნაკლები, ვიდრე იჯარის საზღაური, რომელიც უშუალოდ ცვლილებამდე არსებობდა; იჯარის გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე; და იჯარის სხვა პირობებში არ ხორციელდება არსებითი ცვლილება.

თუ მოიჯარე ირჩევს პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას იჯარაზე, ის გამოიყენებს პრაქტიკულ მიზანშეწონილობას თანმიმდევრულად ყველა საიჯარო კონტრაქტზე მსგავსი მახასიათებლებით და მსგავსი გარემოებებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტულად, ბასს 8-ის შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ განაახლონ წინა პერიოდის მაჩვენებლები ან წარმოადგინონ განმარტება ბასს 8-ის 28(ვ) პუნქტის შესაბამისად. საწარმო ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსური ანგარიშგებაზე.

**საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი საბაზისო ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლას. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- **IBOR- ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:** ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმოებმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად, სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, მოიჯარეებსაც იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ. **ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი:** მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება. რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.
- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

**IBOR-ის რეფორმის გავლენა.** სხვადასხვა ბანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების („IBOR“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უმეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული აშშ დოლარის LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ჰქონდა სესხი IBOR განაკვეთით მშობელი კომპანიისგან, ცვლილებები არ მომხდარა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შესაბამისად, ცვლილებები არ ახდენს გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

*ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).* ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).* ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისათვის).* შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

**6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)**

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმომ მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან ჯგუფისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფის მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- *სხვა შესწორებები:* სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

**6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)**

*ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).* ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. ‘დაფარვა’ განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამონაკლისი არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

*ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ).* ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.



6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

*შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).* ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის მზად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო „ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელის.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის.

გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შემენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემდგომ პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შემენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდილ იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

## 6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით მეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვეველობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შვილობილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შვილობილ საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გაერთიანების ეფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შვილობილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).** ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)**

**ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).** ბასს 8-ის დამატებითა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან– შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვეველობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ას შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)**

*გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).* ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შეადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემა უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; სწარამოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიის უშალო მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე განმარტებულია პირველ შენიშვნაში. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	16,308	38,442
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ***	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,015	320
ნასესხები სახსრები**	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	70,582	79,314

შემოსავლებისა და დანახარჯები მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემდეგია:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2021	2020
მომსახურების გაყიდვა*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	145,139	94,652
წედლეულისა და მასალების გაყიდვა ***	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	175	-
საპროცენტო ხარჯი**	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,317	1,458

კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულ მხარეებთან ხორციელდება. კერძოდ:

\* *მომსახურების გაყიდვები.* კომპანია მომსახურებას ეწევა Evolution Malta Ltd-თან ხელმოწერილი „მომსახურების შეთანხმების“ ფარგლებში (შენიშვნა 1), რომლითაც განისაზღვრება ასევე გარიგების ფასი. Evolution Malta Ltd არის კომპანიის მომსახურების ერთადერთი მომხმარებელი.

\*\* *ნასესხები სახსრები.* კომპანიამ 2017 წელს Evolution Malta Ltd-თან სასესხო ხელშეკრულებას და მის დანართს 2019 წლის 2 იანვარს მოაწერა ხელი, რაც, მას EUR 20,000 ათასის ოდენობით ფულადი სახსრების სესხად აღების საშუალებას აძლევს. ამ ფინანსური ვალდებულების საპროცენტო განაკვეთია წლიური 2%, მიმატებული 12-თვიანი EURIBOR (თუ EURIBOR უარყოფითი არ არის).

\*\*\* *საქონლის გაყიდვები.* კომპანიამ დაიწყო უნიფორმების გაყიდვა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებზე.

**მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება.** კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელი პირები, რომლებიც წარმოდგენილია ორი დირექტორით, ჯგუფის დონეზე დირექტორთა საბჭოს წევრები არიან და შესაბამისად, ანაზღაურებას ჯგუფისგან იღებენ.

## 8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	საიჯარო ქონების გაუმჯობესე ბა	სტუდიის ტექნიკური მოწყობილ ბები	სერვერები და სხვა საინფორმა ციო ტექნოლოგ იური მოწყობილ ობები	საოფის ე ავეჯი და სხვა მოწყობ ილობე ბი	CIP* და დაუმონ ტაჟებ ლი აღჭურვ ილობა	სულ
თვითღირებულება 2020 წ. 1 იანვარს დაგროვილი ცვეთა	14,284 (1,530)	9,638 (2,229)	4,949 (1,333)	2,706 (851)	4,965 -	36,542 (5,943)
<b>საბალანსო ღირებულება 2020 წ. 1 იანვარს</b>	<b>12,754</b>	<b>7,409</b>	<b>3,616</b>	<b>1,855</b>	<b>4,965</b>	<b>30,599</b>
დამატებები	12,064	5,544	1,904	1,994	2,433	23,939
გასვლა	-	(101)	(91)	(32)	-	(224)
ცვეთის ხარჯი	(2,144)	(2,939)	(1,463)	(999)	-	(7,545)
ცვეთა გასვლისას	-	39	35	20	-	94
<b>საბალანსო ღირებულება 2020 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>22,674</b>	<b>9,952</b>	<b>4,001</b>	<b>2,838</b>	<b>7,398</b>	<b>46,863</b>
თვითღირებულება 2020 წ. 31 დეკემბერს დაგროვილი ცვეთა	26,348 (3,674)	15,081 (5,129)	6,762 (2,761)	4,668 (1,830)	7,398 -	60,257 (13,394)
<b>საბალანსო ღირებულება 2020 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>22,674</b>	<b>9,952</b>	<b>4,001</b>	<b>2,838</b>	<b>7,398</b>	<b>46,863</b>
დამატებები	6,196	4,425	1,293	1,594	2,519	16,027
გასვლა	-	(217)	(142)	(192)	-	(551)
ტრანსფერები	8,465	135	184	207	(8,991)	-
ცვეთის ხარჯი	(3,909)	(4,081)	(1,714)	(1,430)	-	(11,134)
ცვეთა გასვლისას	-	160	117	160	-	437
<b>საბალანსო ღირებულება 2021 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>33,426</b>	<b>10,374</b>	<b>3,739</b>	<b>3,177</b>	<b>926</b>	<b>51,642</b>
თვითღირებულება 2021 წ. 31 დეკემბერს დაგროვილი ცვეთა	41,011 (7,585)	19,406 (9,032)	8,095 (4,356)	6,273 (3,096)	926 -	75,711 (24,069)
<b>საბალანსო ღირებულება 2021 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>33,426</b>	<b>10,374</b>	<b>3,739</b>	<b>3,177</b>	<b>926</b>	<b>51,642</b>

დაუმთავრებელი მშენებლობა 2021 წლის 31 დეკემბერს მოიცავდა სტუდიების მშენებლობასა და დაქირავებული შენობების რემონტს. ძირითადი საშუალებებისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აზარტული თამაშების ახალ სტუდიებთან.

**9 აქტივების გამოყენების უფლება და იჯარის ვალდებულებები**

კომპანია იჯარით იღებს ოფისს, სტუდიის ფართებსა და პირდაპირი ტრანსლაციისთვის საბაზისო სადგურს. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, იდება ფიქსირებულ პერიოდებზე- 8-დან 10 წლამდე, მაგრამ შესაძლებელია გააჩნდეს გაგრძელების შესაძლებლობაც.

ათასი ლარი	შენიშვნა-ნაგებობები	საბაზისო სადგური	სულ
<b>საბალანსო დირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>14,518</b>	<b>3,581</b>	<b>18,099</b>
დამატებები	4,785	-	4,785
ცვეთის ხარჯი	(2,442)	(754)	(3,196)
<b>საბალანსო დირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>16,861</b>	<b>2,827</b>	<b>19,688</b>
დამატებები	8,547	-	8,547
ცვეთის ხარჯი	(2,793)	(751)	(3,544)
<b>საბალანსო დირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>22,615</b>	<b>2,076</b>	<b>24,691</b>

კომპანიის მიერ აღიარებული იჯარის ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	3,840	3,341
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები	23,558	22,861
<b>სულ იჯარის ვალდებულებები</b>	<b>27,398</b>	<b>26,202</b>

2021 წლის ფინანსურ ხარჯებში შესული საპროცენტო დანახარჯი შეადგენს 1,870 ათას ლარს. (2020: 1,859 ათასი ლარი).

**10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

ათასი ლარი	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 7)	16,308	38,442
სხვა ფინანსური მოთხოვნები	1,427	717
<b>სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში</b>	<b>17,735</b>	<b>39,159</b>
აენსად გადახდილი	1,639	926
<b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>19,374</b>	<b>40,085</b>

სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებულია ევროში.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს, რომელიც გულისხმობს დაფარვის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის უმნიშვნელო იყო. აღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-3 შენიშვნაში.

სულ სავაჭრო და სხვა ფინანსური დავალიანებების ნაშთები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს არც ვადაგადაცილებული იყო და არც გაუფასურებული. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის საკრედიტო ხარისხი მაღალია, ხოლო მოსალოდნელი საკრედიტო რისკი კი დაბალი.

**11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ათასი ლარი	2021	2020
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	26,888	8,491
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>26,888</b>	<b>8,491</b>

2021 წლის 31 დეკემბერს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მთლიანი ნაშთიდან 25,504 ლ (2020: ლ 7,020) გამოსახული იყო ევროში, დანარჩენი ნაშთები გამოსახული იყო ლარში.

31 დეკემბერს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება Fitch-ის რეიტინგის მიხედვით:

ათასი ლარი	2021	2020
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული - BB- რეიტინგი	26,888	8,491
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს</b>	<b>26,888</b>	<b>8,491</b>

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები შეყვანილი პირველ ეტაპში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნულია.



**12 საწესდებო კაპიტალი**

2017 წლის 29 მაისით დათარიღებული წესდების მიხედვით კომპანიის სააქციო კაპიტალი განისზღვრა 1 ლარით.

**13 აქციებზე დაფუძნებული გადახდები**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის განმავლობაში, Evolution Gaming Group AB-ს ჰქონდა აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები Evolution Georgia-ს თანამშრომლებთან. შეთანხმებების დეტალები აღწერილია ქვემოთ:

შეთანხმება	მთავარი აღმასრულებლებისთვის მინიჭებული აქციის ოფციონები
შეთანხმების ბუნება:	აქციის ოფციონის მინიჭება
რომელიც მინიჭებულია	ევოლუშენ ჯორჯიას
მინიჭების თარიღი	თანამშრომლებისთვის
მინიჭებული ინსტრუმენტების რაოდენობა	2021 წლის 02 მარტი
აღსრულების ფასი	96,793
აქციის ფასი მინიჭების დღეს	€ 438
ხელშეკრულების ვადა (წლებში)	€ 337
უფლების გადაცემის პირობები	3 წელი
ანგარიშსწორება	3-წლიანი მომსახურების პერიოდი
ოფციონის მოსალოდნელი ვადა მინიჭების თარიღით (წლები)	აქციები
სტანდარტის მოთხოვნებიდან მოსალოდნელი გადახვევა (მინიჭების თარიღი)	3 წელი
თითოეული მინიჭებული ინსტრუმენტის რეალური ღირებულება მინიჭების თარიღით	0% 3 წლის განმავლობაში
შეფასების მოდელი	€ 28.55
	Black-Scholes

აქციების ოფციონები მინიჭებულია არჩეულ თანამშრომლებზე „აქციის ოფციონის აღმასრულებელი სქემა 2021-2024-ის“ მიხედვით. აქციებზე დაფუძნებული წამახალისებელის 2021-2024 გეგმის/სქემის მიხედვით, თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ აქციები 30%-იანი ფასდაკლებით. მინიჭებული ოფციონების აღსრულების ფასი 438 ლარია.

ოფციონები განპირობებულია თანამშრომლის 3 წლიანი მუშაობის დასრულებით. ოფციონების გამოყენება შესაძლებელია გაცემის დღიდან სამი წლის შემდეგ, ოფციონებს აქვთ 3 წლიანი სახელშეკრულებო ოფციონის ვადა. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება ხელახლა შეისყიდოს ან მოახდინოს ოფციონების ანგარიშსწორება ნაღდი ანგარიშსწორებით

აქციებისა და აქციების ოფციონების რეალური ღირებულება გამოთვლილია Black-Scholes ოფციონის ფასწარმოქმნის მოდელის გამოყენებით.

**13 აქციებზე დაფუძნებული გადახდები (გაგრძელება)**

ცვლილებები დაუფარავი აქციის ოფციონების რაოდენობასა მათთან დაკავშირებული შეწონილი საშუალოს აღსრულების ფასებში შემდეგია:

	2021		2020	
	შეწონილი საშუალოს აღსრულების ფასი თითოეულ აქციაზე	აქციის ოფციონები (ათასობით)	შეწონილი საშუალოს აღსრულების ფასი თითოეულ აქციაზე	აქციის ოფციონები (ათასობით)
დაუფარავი 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
მინიჭებული	438	97	-	-
უფლებადაკარგული	-	-	-	-
აღსრულებული	-	-	-	-
ვადაგასული	-	-	-	-
ცვლილებებისა და გაუქმების ეფექტი	-	-	-	-
<b>დაუფარავი 31 დეკემბერის მდგომარეობით</b>	<b>438</b>	<b>97</b>	-	-
<b>აღსრულებადი 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	-	-	-	-

2021 წლის პერიოდში მინიჭებული ოფციონების საშუალო შეწონილი რეალური ღირებულება იყო 438 ლარი თითო ოფციონზე (2020: 0 ლარი).

2020 წლის და 2021 წლის განმავლობაში ოფციონების აღსრულება არ განხორციელებულა.

დაუფარავი აქციის ოფციონები (ათასებში) წლის ბოლოს:

	2021				2020			
	აღსრულები ს ფასის დიაპაზონი	შეწონილი საშუალო აღსრულები ფასი	ოფციონების რაოდენობა	შეწონილი საშუალო დარჩენილი მომსახურების ვადა მოსალოდნე საკონტრაქტი	შეწონილი საშუალო აღსრულები ფასი	ოფციონების რაოდენობა	შეწონილი საშუალო დარჩენილი მომსახურების ვადა მოსალოდნე საკონტრაქტი	
ლ 438	ლ 438	97	26 თვე	26 თვე	-	-	-	-

შეფასების მოდელში შეყვანილი მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები იყო:

## 13 აქციებზე დაფუძნებული გადახდები (გაგრძელება)

შეთანხმება	მთავარი აღმასრულებლებისთვის მინიჭებული აქციის ოფციონები	
	2021	2020
მოსალოდნელი მერყეობა	33%	-
ურისკო საპროცენტო განაკვეთი	(0.4)%	-
მოსალოდნელი დივიდენდი (დივიდენდური შემოსავლიანობა)	1.2%	-

მერყეობა, რომელიც ფასდება აქციების უწყვეტად დარიცხვადი რთული შემოსავლებიდან სტანდარტული გადახრის მეშვეობით, ეფუძნება ბოლო 3 წლის განმავლობაში აქციების ყოველდღიური ფასის მოძრაობის სტატისტიკურ ანალიზს. ურისკო განაკვეთი მიღებულ იქნა, როგორც შემოსავლიანობა შვედეთის სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციებზე, რომელთა დაფარვის ვადის თარიღი მიახლოებულია აქციის ან აქციების ოფციონის უფლების გადაცემის მოსალოდნელ ან კონტრაქტით გათვალისწინებულ დაფარვის თარიღთან, როგორც გამოქვეყნებულია აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღზე. აქციების რეალური ღირებულება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებშიც აქციები გაიცემა, დაფუძნებულია კოტირებული აქციის ფასზე.

მთლიანი დარიცხვა მოგება-ზარალზე იყო შემდეგი:

ხარჯი	2021	2020
	დირექტორები და დაქირავებული პერსონალი	დირექტორები და დაქირავებული პერსონალი
წილობრივი ანგარიშსწორების შეთანხმებები	2,166	-
<b>სულ ხარჯი</b>	<b>2,166</b>	<b>-</b>
<b>სულ ხარჯი, გადავადებული გადასახადის შემდეგ</b>	<b>2,166</b>	<b>-</b>

**14 ნასესხები სახსრები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2021</b>	<b>2020</b>
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები (მე-7 შენიშვნა)	70,582	79,314
<b>სულ ნასესხები სახსრები 31 დეკემბერს</b>	<b>70,582</b>	<b>79,314</b>

ნასესხები სახსრების მთლიანი თანხა მოპოვებულია შპს Evolution Malta– სგან და დენომინირებულია ევროში. 2020 წლის 2 იანვრით დათარიღებული ზოგადი სასესხო ხელშეკრულების ცვლილების თანახმად, დაფარვის ვადა შეიცვალა 2021 წლის 31 დეკემბრიდან განუსაზღვრელი ვადით და შედეგად, მთლიანი ნასესხები სახსრები კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე.

კომპანიის ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სახელშეკრულებო ფასების ხელახალი განსაზღვრის თარიღები გამჟღავნებულია 22-ე შენიშვნაში.

**15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განმარტებულია იმ ვალდებულებების ანალიზი, რომელიც საფინანსო საქმიანობიდან არის წარმოქმნილი და ასევე ასახავს კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების მოძრაობას ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები წარმოადგენს იმ მუხლებს, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში მოხსენებულია როგორც საფინანსო:

<i>ათასი ლარი</i>	ნასესხები სახსრები	იჯარის ვალდებულებებ ი	სულ
<b>ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>55,696</b>	<b>19,871</b>	<b>75,567</b>
<b>ფულადი ნაკადები</b>			
სესხის შემცირება	8,005	-	8,005
ძირი თანხის დაფარვა	-	(2,299)	(2,299)
პროცენტის გადახდები	-	(1,928)	(1,928)
<b>უნადო ცვლილებები</b>			
პროცენტის დარიცხვები	1,458	1,928	3,386
ახალი იჯარები	-	4,785	4,785
სავალუტო კორექტირებები	14,155	3,846	18,001
<b>ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>79,314</b>	<b>26,203</b>	<b>105,517</b>
<b>ფულადი ნაკადები</b>			
სესხის შემცირება	-	-	-
ძირი თანხის დაფარვა	-	(3,428)	(3,428)
პროცენტის გადახდები	-	(1,870)	(1,870)
<b>უნადო ცვლილებები</b>			
პროცენტის დარიცხვები	1,317	1,870	3,187
ახალი იჯარები	-	6,822	6,822
სავალუტო კორექტირებები	(10,049)	(2,199)	(12,248)
<b>ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>70,582</b>	<b>27,398</b>	<b>97,980</b>

**16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2021</b>	<b>2020</b>
სავაჭრო ვალდებულებები	2,405	2,470
ვალდებულებები შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის	308	246
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	1,967	1,112
<b>სულ ფინანსური ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზირებული ღირებულებით</b>	<b>4,680</b>	<b>3,828</b>
დაქირავებული თანამშრომლების გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	8,635	6,871
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>8,635</b>	<b>6,871</b>
<b>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>13,315</b>	<b>10,699</b>

**17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

კომპანიის მთლიანი ამონაგები მოიცავს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ამონაგებს, რომელიც დროთა განმავლობაში აღიარდება. იხილეთ შენიშვნები 1 და 7.

<i>ათასი ლარი</i>	<b>2021</b>	<b>2020</b>
დროთა განმავლობაში აღიარებული მომსახურების რეალიზაცია	145,139	94,652
დროის გარკვეულ მომენტში აღიარებული საქონლის რეალიზაცია	175	-
<b>სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b>	<b>145,314</b>	<b>94,652</b>

**18 სხვა ხარჯები, ნეტო**

<i>ათასი ლარი</i>	<b>2021</b>	<b>2020</b>
პერსონალის გართობა	962	728
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	869	345
საფოსტო, სატვირთო, გადაზიდვები და დაზღვევა	739	838
<b>უსაფრთხოების მომსახურება</b>	<b>710</b>	<b>579</b>
სამედიცინო მასალები პერსონალისთვის	451	163
ქირავნობის ხარჯი	122	160
სადაზღვევო ხარჯები	119	22
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	118	33
სხვა	419	398
<b>სხვა ხარჯები, სულ, ნეტო</b>	<b>4,509</b>	<b>3,266</b>

**19 საფინანსო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო**

ათასი ლარი	2021	2020
სავალუტო შემოსულობა/(ზარალი) ნასესხები სახსრებიდან, შემცირებული შემოსულობებით, ნეტო	10,050	(14,155)
ფინანსური იჯარის საპროცენტო დანახარჯი	(1,870)	(1,928)
საპროცენტო ხარჯი	(1,317)	(1,458)
<b>სულ მოგება-ზარალში აღიარებული საფინანსო შემოსავალი/(ხარჯები)</b>	<b>6,863</b>	<b>(17,541)</b>

**20 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები**

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება.

საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომელიც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღით ხელმისაწვდომი არ არის საგადასახადო შემოწმების შედეგები. კომპანია საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო შემოწმებას დაექვემდებარა. საგადასახადო შემოწმების შედეგები კომპანიას ეცნობა 2021 წლის 17 დეკემბერს. საქართველოს შემოსავლების სამსახურმა კომპანიას საგადასახადო თანხები და მასთან დაკავშირებული ჯარიმები დააკისრა, ჯამურად 15,359 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიამ 2022 წლის 14 იანვარს გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გასაჩივრებას დადებითი შედეგები ექნება.

**სასამართლო დავა.** საანგარიშგებო თარიღით კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი არ არის რაიმე ფაქტობრივი ან მოსალოდნელი სასამართლო დავის საფრთხის შესახებ, ანუ ფინანსური ანგარიშგების თარიღით არ არსებობს სასამართლო დავის საფრთხე, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

**კლიმატის ცვლილების გათვალისწინება.** კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და ზრუნვა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ გამოეხმაურება მათ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

**21 ფინანსური რისკის მართვა**

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ქვედანაყოფის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ქვედანაყოფების მიზანია იმის უზრუნველყოფა რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

**საკრედიტო რისკი.** კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის, თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პარტნიორებთან ოპერაციების განხორციელების შედეგად, რაც გამომდინარეობს ძირითადად კომპანიის მომხმარებლების მოთხოვნებისგან.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

**საკრედიტო რისკის მართვა.** საკრედიტო რისკი კომპანიის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა გულდასმით მართავს საკრედიტო რისკს.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და მოიცავს მოდელის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტის დადგომის ალბათობის დამატებით შეფასებებს, დაკავშირებულ ზარალის კოეფიციენტებისა და პარტნიორების დეფოლტის კორელაციებს.

**ზღვრები.** როგორც შენიშვნებში 1 და 7 არის ნაჩვენები, კომპანიას ერთადერთი მომხმარებელი ჰყავს-საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო – Evolution Malta Ltd-ის სახით. ანგარიშსწორების შედავათიანი პერიოდია 30 დღე ანგარიშ-ფაქტურის თარიღიდან და 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოთხოვნების ნაშთები წარმოადგენდა მოთხოვნებს ამ კონკრეტული წლის ბოლო ანგარიშ-ფაქტურებისთვის. კომპანიას არა აქვს საკრედიტო ზარალის ისტორია. კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგში კომპანიის ხელმძღვანელობაც მონაწილეობს. სავაჭრო მოთხოვნებისთვის უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფებისთვის:

<i>ათასი ლარი</i>	<b>2021</b>	<b>2020</b>
<i>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 10)</i>		
- სავაჭრო მოთხოვნები	16,308	38,442
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	1,427	717
<i>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11)</i>		
- მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	26,888	8,491
<b>სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი 31 დეკემბერს</b>	<b>44,623</b>	<b>47,650</b>



## 21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (ECL).** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეიტინგი ემყარება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვეზე მეტ პერიოდზე 2021 წლის 31 დეკემბრამდე ან, შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრამდე ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის რეიტინგები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, დაფარონ მოთხოვნები.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

**საბაზრო რისკი.** კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

**სავალუტო რისკი.** ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის რისკი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ათასი ლარი	2021 წ. 31 დეკემბერი			2020 წ. 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	1,266	(3,249)	(1,983)	1,467	(1,568)	(101)
აშშ დოლარი	1,427	(25,007)	(23,580)	717	(27,253)	(26,536)
ევრო	41,812	(74,404)	(32,592)	45,466	(80,523)	(35,057)
შვედური კრონა	118	-	118	-	-	-
<b>სულ</b>	<b>44,623</b>	<b>(102,660)</b>	<b>(58,037)</b>	<b>47,650</b>	<b>(109,344)</b>	<b>(61,694)</b>

შემდეგი ცხრილი ასახავს მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძობელობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული გაცვლითი კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი :

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2021 წ. 31 დეკემბერი		2020 წ. 31 დეკემბერი	
	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება- ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%- ით	(4,716)	(4,716)	(5,307)	(5,307)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	4,716	4,716	5,307	5,307
ევროს გამყარება 20%-ით	(6,518)	(6,518)	(7,011)	(7,011)
ევროს გაუფასურება 20%-ით	6,518	6,518	7,011	7,011
შვედური კრონის გამყარება 20%-ით	23	23	-	-
შვედური კრონის გაუფასურება 20%-ით	(23)	(23)		

რისკი გამოთვლილია მხოლოდ კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში გამოსახული ფულადი ნაშთებისთვის.

კომპანიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროსთან დაკავშირებული სავალუტო კურსების ცვლილებები. ეს ძირითადად განპირობებულია მნიშვნელოვანი ნასესხები სახსრების ნაშთით, რომელიც ევროშია გამოსახული. კომპანია აღნიშნულ რისკს შემდეგნაირად მართავს: (i) ამონაგების ინვოისები ევროში გამოისახება, ამგვარად, მოთხოვნა ევროთი იფარება; (ii) ძირითადი საშუალებების შესყიდვის ძირითადი ხელშეკრულებები ევროშია გამოსახული; და სხვა.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** კომპანიის წინაშეა ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გავლენის რისკი. საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს მსგავსი ცვლილებების გამო, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოიქმნას მოულოდნელი ცვლილებების შედეგად. ხელმძღვანელობა ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს და აწესებს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის იმ ცვლილებების შეუსაბამობის დონეზე, რომელიც შესაძლებელია განხორციელებული იყოს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში აგრეგირებულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის ხელახლა განსაზღვრის ან დაფარვის ვადის ამოწურვის თარიღების გათვალისწინებით:

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა მდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	არაფულა დი	სულ
<b>2021 წ. 31 დეკემბერი</b>						
სულ ფინანსური აქტივები	44,623	-	-	-	-	44,623
სულ ფინანსური	(75,262)	(2,805)	(2,805)	(21,788)	-	(102,660)
<b>საპროცენტო მგრძობელობის წმინდა სხვაობა 2021 წ. 31 დეკემბერს</b>						
	<b>(30,639)</b>	<b>(2,805)</b>	<b>(2,805)</b>	<b>(21,788)</b>	<b>-</b>	<b>(58,037)</b>
<b>2020 წ. 31 დეკემბერი</b>						
სულ ფინანსური აქტივები	47,650	-	-	-	-	47,650
სულ ფინანსური	(83,142)	(2,542)	(2,542)	(21,118)	-	(109,344)
<b>საპროცენტო მგრძობელობის წმინდა სხვაობა 2020 წ. 31 დეკემბერს</b>						
	<b>(35,492)</b>	<b>(2,542)</b>	<b>(2,542)</b>	<b>(21,118)</b>	<b>-</b>	<b>(61,694)</b>

**ლიკვიდობის რისკი.** ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიის წინაშეა ფინანსურ ვალდებულებების ანგარიშსწორებისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან დაკავშირებული რისკი. ლიკვიდობის რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიდგომა იმის უზრუნველყოფა, რომ რამდენადაც შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს ლიკვიდობა თავისი ვალდებულებების დასაფარად, ანგარიშსწორების თარიღის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ პირობებში, გაუმართლებელი ზარალის მიღებისა და კომპანიის რეპუტაციის შელახვის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებას. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბერს, დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში ნაჩვენებია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ვითარების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადასახდელი თანხები გადაყვანილია სპოტ სავალუტო კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

**22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბერს:

<i>ათასი ლარი</i>	მოთხოვნამ დე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>						
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	70,582	-	-	-	-	70,582
იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 9)	-	1,403	4,208	18,796	2,991	27,398
სავაჭრო ვალდებულება (შენიშვნა 16)	2,405	-	-	-	-	2,405
სხვა ფინანსური ვალდებულება (შენიშვნა 16)	2,275	-	-	-	-	2,275
<b>სულ სამომავლო გადახდები, პროცენტისა და ძირითადი თანხის ჩათვლით</b>	<b>75,262</b>	<b>1,403</b>	<b>4,208</b>	<b>18,796</b>	<b>2,991</b>	<b>102,660</b>

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბერს:

<i>ათასი ლარი</i>	მოთხოვნამ დე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>						
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	79,314	-	-	-	-	79,314
იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 9)	-	1,271	3,813	19,446	1,672	26,202
სავაჭრო ვალდებულება (შენიშვნა 16)	2,470	-	-	-	-	2,470
სხვა ფინანსური ვალდებულება (შენიშვნა 16)	1,358	-	-	-	-	1,358
<b>სულ სამომავლო გადახდები, პროცენტისა და ძირითადი თანხის ჩათვლით</b>	<b>83,142</b>	<b>1,271</b>	<b>3,813</b>	<b>19,446</b>	<b>1,672</b>	<b>109,344</b>

**22 კაპიტალის მართვა**

კომპანიას კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა არ აქვს, მაგრამ ცდილობს საკმარისი კაპიტალის ბაზა შეინარჩუნოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებებისთვის. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და კომპანიის ამონაგების მუდმივი მონიტორინგით. კაპიტალის მართვის მიდგომასთან დაკავშირებით ცვლილება არ მომხდარა წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარედან განსაზღვრულ კაპიტალის მოთხოვნებს.

**23 რეალური ღირებულების შეფასება**

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

*აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება გამჟღავნებულია*

აქტივების რეალური ღირებულებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის:

	2021 წ. 31 დეკემბერი				2020 წ. 31 დეკემბერი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
<i>ათასი ლარი</i>								
<b>აქტივები</b>								
<i>სხვა ფინანსური აქტივები</i>								
<i>ამორტიზირებული ღირებულებით</i>								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11)	-	26,888	-	26,888	-	8,491	-	8,491
- სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 10)	-	-	16,308	16,308	-	-	38,442	38,442
- სხვა ფინანსური მოთხოვნები (შენიშვნა 10)	-	-	1,427	1,427	-	-	717	717
<b>სულ აქტივები</b>	<b>-</b>	<b>26,888</b>	<b>17,735</b>	<b>44,623</b>	<b>-</b>	<b>8,491</b>	<b>39,159</b>	<b>47,650</b>

**23 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

იმ ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2021 წ. 31 დეკემბერი				2020 წ. 31 დეკემბერი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულ ება	მე-2 დონის რეალური ღირებულ ება	მე-3 დონის რეალური ღირებულ ება	საბალანსო ღირებულ ება	1-ლი დონის რეალური ღირებულ ება	მე-2 დონის რეალური ღირებულ ება	მე-3 დონის რეალური ღირებულ ება	საბალანსო ღირებულ ება
<i>ათასი ლარი</i>								
<b>ვალდებულებებ</b>								
<b>ო</b>								
<b>ნასესხები</b>								
<b>სახსრები</b>								
- ნასესხები სახსრები დაკავშირებულ ი მხარეებისგან (შენიშვნა 14)	-	-	70,582	70,582	-	-	79,314	79,314
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>								
- სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 16)	-	-	2,405	2,405	-	-	2,470	2,470
- ვალდებულებები შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის (შენიშვნა 16)			308	308			246	246
- დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები (შენიშვნა 16)	-	-	1,967	1,967	-	-	1,112	1,112
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>75,262</b>	<b>75,262</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>83,142</b>	<b>83,142</b>

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

## 23 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები.* ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები.* ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. იმ ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც დასაფარია მოთხოვნამდე ან შეტყობინების შემდგომ პერიოდში („მოთხოვნადი ვალდებულებები“) შეადგენს მოთხოვნამდე გადასახდელ თანხას, დისკონტირებულს იმ პირველი თარიღიდან, როდესაც თანხის გადახდა შესაძლოა მოთხოვნილი იყოს. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები მერყეობს წლიური 7.0 %-დან წლიურ 7.8 %-მდე, ვალდებულების ხანგრძლივობის და ვალუტის მიხედვით.

## 24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

*ნასესხები სახსრები.* 2022 წლის 29 მარტს კომპანიამ განახორციელა ნასესხები სახსრების დაფარვა 7,010 ათასი ლარის ოდენობით.

“ევოლუშენ ჯორჯიას” წლიური ანგარიში, 2021

# კორპორაციული მართვის ანგარიში

ჩვენი ბიზნეს მოდელი, მისიის ხედვა  
და სტრატეგია

ჩვენი ზრდის სტრატეგია

ჩვენი საქმიანობა

კორპორაციული მართვა

მდგრადი განვითარების პოლიტიკა

სამართლიანი და შესანიშნავი დამსაქმებელი

“ევოლუშენ აკადემია“

ფინანსური მონაცემები



სტრატეგიული ანგარიში





მოცემული დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია, კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული სტანდარტები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია “ევოლუშენ ჯორჯია“ 2017 წლის 29 მაისს დაფუძნდა და აწარმოებს საქმიანობას საქართველოში. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო ნომრით 405209689.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო შპს Evolution Malta Holding Limited, მალტა (შემდგომში “მშობელი კომპანია“) და კომპანიას არ ჰყავდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.


შპს Evolution Malta Holding Limited ფლობს რამდენიმე სხვა კომპანიას მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო მისი მფლობელია Evolution Gaming Group AB (საჯარო), შვედური საჯარო კომპანია, რომელიც საფონდო ბირჟა Nasdaq Nordic Large Cap-ზე ივაჭრება 2017 წლის 5 ივნისიდან. Evolution Gaming ჯგუფი (ჯგუფი) და მასში შემავალი შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ლაივ-კაზინო (Live Casino) სისტემების წამყვან “ბიზნესი ბიზნესისთვის“ (B2B) მომწოდებელს. ჯგუფი ქმნის, აწარმოებს, ბაზარზე წარადგენს და სათამაშო ოპერატორებისთვის გასცემს ლიცენზიებს სრულად ინტეგრირებულ ლაივ-კაზინო გადაწყვეტილებებზე. ის მხოლოდ საოპერაციო და განვითარების საქმიანობაშია ჩართული და არ ახორციელებს აზარტული თამაშების ოპერირებას.

“ევოლუშენ ჯორჯიას“ არ აქვს ფილიალები და 2021, 2020, 2019, 2018 და 2017 წლებში არ ყოფილა ჩართული არანაირ კვლევისა და განვითარების საქმიანობაში.



## ჩვენი ბიზნეს მოდელი, მისიის ხედვა და სტრატეგია


Evolution Gaming-ს აქვს სტუდიები რიგაში (ლატვია), თბილისში (საქართველო) და მალტაზე, სადაც მიმდინარეობს ოპერაციების უმეტესობა. დამატებით, კომპანიას აქვს სტუდიები ატლანტიკ სიტისა (აშშ) და ვანკუვერში (კანადა). კომპანია ასევე ამუშავებს სტუდიებს ადგილობრივად, არავირტუალურ კაზინოებში ბელგიაში, რუმინეთში, გაერთიანებულ სამეფოსა და ესპანეთში. ჯგუფის მშობელი კომპანია მდებარეობს სტოკჰოლმში, შვედეთი. დამატებითი ოფისები მდებარეობს, ლონდონში, გაერთიანებული სამეფო, ამსტერდამში, ნიდერლანდები და ტალინში, ესტონეთი.



“ევოლუშენი” ქმნის და ავითარებს, ბაზარზე წარადგენს და ლიცენზიებს გასცემს სრულად ინტეგრირებულ ლაივ-კაზინო გადაწყვეტილებებს აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის. ლაივ-კაზინოში, თამაშის წარმდგენი ე.ი. დილერი მართავს თამაშს კაზინოს სათამაშო მაგიდიდან რომელზე თვალის დევნებაც შესაძლებელია რეალურ დროში ვიდეო სტრიმინგის მეშვეობით. საბოლოო მომხმარებლები ე.ი. მოთამაშეები ფსონებს დებენ მათი მოწყობილობების მეშვეობით (კომპიუტერები, სმარტფონები, ტაბლეტები და ა.შ.)

“ევოლუშენი” B2B-ს მომწოდებელია, მისი ლაივ-კაზინო პლატფორმა უნიკალურია თავის სახეობებში და ფარავს აზარტული თამაშების ოპერატორების მიერ მოთხოვნილ ყველა ასპექტს-თამაშის წარმდგენების და სხვა პერსონალის დაქირავებიდან და მათთვის ტრენინგების ჩატარებიდან დაწყებული სტრიმინგით, წარმოებით, ზედამხედველობით, კლიენტების მომსახურებით და შემდგომი შედეგების შესწავლით დამთავრებული. ოპერატორებს სთავაზობენ სრულად მათზე მორგებულ გადაწყვეტილებას ადაპტირების მაღალი ხარისხით, როგორცაა სტანდარტული და VIP მაგიდები, გარემოს ვიზუალის კონტროლს და ერთგული დილერების გუნდებს. კომპანიას გააჩნია ძირითადი თამაშების ვრცელი პორტფელი, რაც მოიცავს ორივეს-კლასიკურ სამაგიდო თამაშებსა და ინოვაციურ კაზინო თამაშებს. სხვადასხვა თამაშების წარმოებულებიც ხელმისაწვდომია, ე.ი. ძირითადი თამაშების ვარიაციები ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებებით და ახალი შინაარსით.

კაზინოს სერვისების ლაივ სტრიმინგი ხორციელდება კომპანიის მიერ აშენებული სტუდიების მეშვეობით, იჯარით აღებულ საკუთრებაში. კერძოდ, კომპანიის მიერ დაქირავებული თამაშების წარმდგენები, თამაშებს წარადგენენ კომპანიის სტუდიაში დამონტაჟებული სათამაშო აღჭურვილობის გამოყენებით, რაც ცოცხალი მაუწყებლობის მეშვეობით გადაეცემა შპს Evolution Malta-ს.



კომპანია ოპერირებს “ხარჯი+პლუსი” მეთოდით (ფასის დაწესების მეთოდი, რომელშიც გათვალისწინებულია დანახარჯის ჯამი პლუს მოგება, როგორც დანახარჯის ზემოთ მიღებული პროცენტი) და კომპანიის ამონაგები პირდაპირ უკავშირდება ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევისას გაწეულ ხარჯებს, რაც გაანგარიშებულია როგორც ხარჯს პლუს შეთანხმებული დანახარჯის ზემოთ მიღებული პროცენტი.

2017 წელს დაარსებიდან, კომპანია არის სათამაშო აღჭურვილობის შესყიდვის და დამონტაჟების, სათამაშო სტუდიების და ადმინისტრაციული ოფისის მშენებლობის, პერსონალის აყვანისა და ტრენინგების და ა.შ. პროცესში. კომპანიამ პირველი “ბლექჯეკის” მაგიდების ლაივ სტრიმინგი დაიწყო 2018 წლის 30 მარტს. 2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ წარადგინა შემდეგი თამაშები: “რულეტკა”, “ბლექჯეკი” და “ბაკარა”. 2019 წელს, “ევოლუშენმა” თავისი თამაშების სიას დაამატა “თოვ ქარდი”. 2021 წელს კომპანიამ შემდეგი თამაშები დაამატა: “სიქბო”, “დრეგონ თაიგერ”, “კაზინო ჰოლდემ”.



▶▶ კლასიკური თამაში  
**ლაივ რულეტკა**

კლასიკური თამაში, რომელიც “ევოლუშენის” ნაწილია დაარსებიდან. დილერი ისვრის ბურთს ბორბლის მბრუნავი მიმართულების საწინააღმდეგოდ და მომხმარებელი ფსონს დებს რიცხვზე, ფერსა თუ ორივეს კომბინაციაზე. პირვანდელ თამაშზე დამატებით, “ევოლუშენი” გვათავაზობს სხვადასხვა ფორმატს:

- იმერსიული რულეტკა
- სწრაფი რულეტკა
- მსუბუქი იმერსიული
- ამერიკული რულეტკა, ორმაგი ზერო
- პრივატული სალონური რულეტკა
- 13 მშობლიურ ენაზე რულეტკა
- ორბურთიანი რულეტკა
- მინი ლაივ რულეტკა
- სლინგმოთ ავტო რულეტკა

▶▶ კლასიკური თამაში  
**ლაივ ბლეიჯი**

კიდევ ერთი კლასიკა, სადაც საბოლოო მომხმარებელი ცდილობს დააგროვოს ბანქო, რომლის ქულებიც უფრო ახლოა 21 რიცხვთან ვიდრე დილერის ბანქოს ქულები. “ევოლუშენის” ფსონების დადების სისტემა უფლებას აძლევს საბოლოო მომხმარებელს ფსონები დადონ იმათზე, ვინც მაგიდასთან ზის. არსებობს სხვადასხვა ფორმატები:

- პრივატული სალონური ბლეიჯი
- ბლეიჯი წვეულება
- მრავალჯვარი ვიპ ვარიანტები
- ნიუ ჯერსი ბლეიჯი



▶▶ კლასიკური თამაში  
**ლაივ ბაკარა**

“ევოლუშენი” სთავაზობს ბაზარზე კაზინოსთან ყველაზე მიაღწეობულ ბაკარას გამოცდილებას ცერცვის მარცვლის ფორმის მაგიდებით, მუქი ბანქოთი, “გზებითა” და “სქვიზით” - რაც შესაძლებელია გაკონტროლდეს მომხმარებლების მიერ.

- ბაკარა პრივატული სალონი
- ბაკარა “სქვიზი”
- ბაკარა საკონტროლო “სქვიზი”
- სწრაფი ბაკარა
- ბაკარა საკომისიოს გარეშე



## ჩვენი ზრდის სტრატეგია



ნარისხი და პატიოსნება ყველაფერშია, რასაც ვაკეთებთ, ჩვენი სანდოობა და საიმედოობა ჩვენი საქმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გვსურს საზოგადოებაში, რომელშიც ვოპერირებთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

ჩვენ გვიყვარს მოგება. ჩვენ ვართ ანტიკორუპციული, ინოვაციური და ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე, გვსურს უფრო მეტი. ჩვენი წარმატება, კლიენტის წარმატებას ნიშნავს.


ჩვენი უნარი, ვიყოთ მრავალფეროვნები, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი წარმატებისთვის. ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს და გვჯერა გამჭირვალე და გულწრფელი დიალოგის. ჩვენ ერთმანეთზე ვზრუნავთ და ვეხმარებით.



ჩვენი მისიაა ოპერატორები წარმატებულები გავხადოთ და მივაწოდოთ მათ შესანიშნავი მომხმარებლის გამოცდილება მათი საბოლოო მომხმარებლისთვის უნაკლო ლოკალიზებული ლაივ კაზინოს შეთავაზებით რეგულირებულ ბაზრებზე, ყველა ციფრულ პლატფორმაზე ონლაინ და არავირტუალური ოპერატორებისა და მათი კლიენტებისთვის. ჩვენი ხედვაა შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ პოზიცია, როგორც მსოფლიოს ნომერ პირველმა ლაივ კაზინოს მომწოდებელმა, რადგან გლობალურად სათამაშო ბაზარი აგრძელებს განვითარებას. ჩვენი კულტურა ფესვებს იღებს ჩვენი კორპორაციული ღირებულებებიდან.

## ძირითადი სფეროები

“ევოლუშენი” გააგრძელებს ევროპის ლაივ-კაზინოს ბაზარზე მისი პოზიციების გამყარებას, ასევე დაამყარებს წამყვან პოზიციებს ახალ გეოგრაფიულ ბაზრებზე, იმ საქმიანობაზე განსაზღვრული ფოკუსირებით, რომელიც ხელს უწყობს საქმიანობას და შეთავაზებას. ზრდა ნაწილობრივ გამომდინარეობს ოპერატორების მთლიანი შემოსავლის გაზრდილი წილიდან, კაზინო სერვისებიდან, რომელიც გამომდინარეობს ლაივ-კაზინოსგან, რადგან ოპერატორები ზრდიან ინვესტიციების რესურსებს მათ ლაივ შეთავაზებაზე, ისევე, როგორც მთლიანი კაზინოს ბაზრის ონლაინ კაზინოების ბაზრის წილის მეშვეობით.



### პროდუქტის ინოვაცია

“ევოლუშენი” უწყვეტად ცდილობს გაუმჯობესოს მისი შეთავაზებები მთლიანი ლაივ-კაზინოს ბაზრის განვითარებასთან ერთად ულტრათანამედროვე პროდუქტის ინოვაციების მეშვეობით. კომპანიამ, მისი დაარსების შემდეგ, წარმატებით დაიწყო ინოვაციური თამაშებისა და გადაწყვეტილებების შეთავაზება, რაც მიმზიდველია ორივესთვის, ოპერატორებისთვის და მათი მომხმარებლებისთვის. 2018 წელს, “ევოლუშენმა” დაიწყო უფრო მეტი თამაშის შეთავაზება, ვიდრე ოდესმე, მათ შორის ელვისებური რულეტკა და პირველი პირის სათამაშო დიაპაზონი, რომელიც მიზნად ისახავს RNG სამაგიდო თამაშების ხელახალი განსაზღვრებისთვის RNG -ს და ლაივ-კაზინოს სამყაროების გაერთიანებით.

### ფუნქციური სრულყოფილება

“ევოლუშენის” წამყვანი პოზიცია ძირითადად ემყარება კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც გამომდინარეობს კომპანიის ფუნქციური სრულყოფილებიდან 2006 წლიდან ლაივ-კაზინოს გადაწყვეტილებების შეთავაზებაში. ლაივ-კაზინო არის საკმაოდ რთული პროდუქტი და ფუნქციონირებისთვის ის მოითხოვს ეფექტურ კოლაბორაციას ხალხსა და სისტემებს შორის. “ევოლუშენს” აქვს დახვეწილი პლატფორმა, რომელიც ერთდროულად უმკლავდება პროგრამულ უზრუნველყოფას, აპარატურას, ვიდეოს, თანამშრომლებისა და მომხმარებლის მონაცემებს.

პლატფორმა უზრუნველყოფს გაფართოების შესაძლებლობას და საშუალებას აძლევს “ევოლუშენს” გაფართოვდეს ახალი სტუდიებით, ადგილობრივად პროგრამული უზრუნველყოფის გამოცდების გარეშე. ის ასევე უზრუნველყოფს მარტივ ადაპტირებას ახალი გეოგრაფიული ბაზრებისთვის, მაგალითად აშშ-სთვის.

### მომხმარებლის ოპტიმიზაცია

მომხმარებლების არსებული პორტფელის საშუალებით, “ევოლუშენი” სარგებლობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობებით თითოეული ოპერატორის ლაივ-კაზინოს გადაწყვეტილებების შემდგომი განვითარების, გაფართოებისა და დახვეწის მიზნით. ლაივ-კაზინოს ბაზრის ძლიერი ზრდის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი ოპერატორები ირჩევენ თავიანთი შეთავაზებების გაფართოებას და ინვესტიციებს დებენ სპეციალურ გარემოებებში. თამაშის მონაცემების ანალიზის გამოყენებით,

“ევოლუშენი” ოპტიმიზაციას უწევს თითოეულ ინდივიდუალურ გარემოს ამ კონკრეტული მომხმარებლის პირობების და საჭიროებების გათვალისწინებით, ოპერატორსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ერთგულების განმტკიცების მიზნით. მისი ტექნიკური გამოცდილებით, “ევოლუშენი” ასევე შეიმუშავებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აძლიერებს საბოლოო მომხმარებლის ჩართულობას ოპტიმალური მომხმარებლის გამოცდილების მეშვეობით, რაც მხარდაჭერილია სხვადასხვა სათამაშო სემენტებს შორის ჯვარედინი გაყიდვებით.

## უპირატესობის გაზრდა

არავირტუალური კაზინოები

რეგულირებული ბაზრები

პროდუქტის ინოვაცია

ოპერაციული სრულყოფილება

მომხმარებლის ოპტიმიზაცია

## ყურადღების სფეროები

როგორც ონლაინ თამაშების მთლიანი ბაზარი, ასევე ლაივ-კაზინოს ბაზარი მუდმივად ვითარდება. “ევოლუშენი” მუდმივად იკვლევს ახალ შესაძლებლობებს, რათა გაიზარდოს და აასრულოს მისივე ხედვა იყოს ლაივ-კაზინოში მსოფლიოს ლიდერი. სტრატეგიული თვალსაზრისით, კომპანიამ გამოავლინა ფოკუს სფეროები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოკლევადიან პერიოდში სამუშაოდ.

### უპირატესობის გაზრდა

ლაივ-კაზინოს პოპულარობის გაზრდასთან ერთად, ლაივ პროდუქტის წარმოება მეტმა მომწოდებელმა დაიწყო.


“ევოლუშენს” დიდი უპირატესობა აქვს და მიზნად ისახავს მისი ზრდის იმპულსის შენარჩუნებას და განაგრძობს წამყვანი პოზიციის გაფართოებას ლაივ-კაზინოს ბაზარზე. ეს კეთდება კომპანიის სხვადასხვა ერთეულებს შორის სუფთა თანამშრომლობით, სადაც პროდუქტის განვითარება, გაყიდვები და მარკეტინგი და ოპერატიული განყოფილებები მჭიდროდ თანამშრომლობენ საუკეთესო პროდუქტის შესათავაზებლად. “ევოლუშენის” შეფასებით, კომპანიამ გაზარდა საბაზრო წილი 2018 წელს და ხედავს აშკარა შესაძლებლობებს, რომ მომდევნო წლებში, გააგრძელოს სივრცის ზრდა, რაც ხელს შეუწყობს რამდენიმე ახალი თამაშისა და სტუდიის გაშვებას, ასევე სტრატეგიული შენაძენების გაკეთების შესაძლებლობას.

### არავირტუალური კაზინოები

ტრადიციული არავირტუალური კაზინო შეადგენს კაზინოების მთლიანი ბაზრის დიდ ნაწილს. ამ კომპანიებს ხშირად ძლიერი ბრენდი და ერთგული მომხმარებლები ჰყავს, რომლებიც ძლიერ ძალას წარმოადგენენ. ამავე დროს, არავირტუალური კაზინოების ზრდა დაბალია და სულ უფრო მეტი ცდილობს ონლაინ სივრცეში გადასვლას, რათა ბიზნესის ზრდის შესაძლებლობა ჰქონდეთ. ასეთ შემთხვევებში, ლაივ-კაზინო შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ბუნებრივი ხიდი, რომელიც აკავშირებს არავირტუალურ კაზინოებს და ონლაინ ოპერაციებს. “ევოლუშენი” მიზნად ისახავს იყოს პარტნიორი ისეთი არავირტუალური კაზინოებისთვის, რომლებიც ცდილობენ ონლაინ გაფართოებას. ამჟამად, კომპანიას აქვს არავირტუალური კაზინოს მომხმარებლები ესპანეთში, ბელგიაში, მალტაზე, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-სა და რუმინეთში. მოსალოდნელია, რომ არავირტუალური კაზინოებისგან მოთხოვნა გააგრძელებს ზრდას მომდევნო წლებში.


### რეგულირებული ბაზრები

ბოლო წლებში ბევრმა ქვეყანამ განახორციელა მათი სათამაშო რეგულაციების ბაზრების რეგულირება ან რეგულაციების შეცვლა – ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, გაგრძელდება. როდესაც ბაზარი რეგულირებულია, უფრო და უფრო მეტი ახალი მომხმარებლები იკვლევს სხვადასხვა კაზინოს თამაშებს და, ბუნებრივია, ისინი გაიგებენ ლაივ-კაზინოს შესახებ, რომელიც ადაპტირებულია ადგილობრივ ბაზარზე თამაშების იმ წარმდგენების მეშვეობით, რომლებიც საუბრობენ მომხმარებლის მშობლიურ ენაზე. შედეგად, აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის, ლაივ-კაზინო მნიშვნელოვანი პროდუქტია ახალ ბაზრებზე. “ევოლუშენის” მიერ დასახული სტრატეგია იყოს პირველი ლაივ-კაზინოს მომწოდებელი რეგულირებულ ბაზრებზე და ის წარმატებით შევიდა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ბელგია, კანადა, ესპანეთი, და რუმინეთი. 2018 წელს კომპანია ასევე შევიდა კანადისა და აშშ-ის რეგულირებულ ბაზრებზე. კომპანიის ძლიერი წარმადობა აჩვენებს დადებით გავლენას იმ შემოსავლებისა და ზრდის თვალსაზრისით, რასაც საქმიანობის დაწყება იწვევს.



## ჩვენი საქმიანობა

“ევოლუშენი” მომხმარებელს სთავაზობს ლაივ-კაზინოს პლატფორმას, რომელიც ერთდროულად გაუმკლავდება აპარატურას, პროგრამულ უზრუნველყოფას, ვიდეოს, თანამშრომლებსა და მომხმარებლის მონაცემებს, რაც ოპერატორებს სთავაზობს ლაივ-კაზინოს სრულ შეთავაზებას და საბოლოო მომხმარებლებს უნიკალურ სათამაშო გამოცდილებას.



კომპანია ინვესტიციებს დებს იმ ტექნიკურ პლატფორმაში, რომელიც კომპანიის საქმიანობის საფუძველს ქმნის. ინვესტიციები ეხება სერვერებსა და ადაპტირებულ აღჭურვილობას, როგორცაა ვიდეო-ჩაწერის მოწყობილობები, ბარათების სკანერები და დილერების კომპიუტერები. კომპანიას გააჩნია სტაბილური და საიმედო ტექნიკური სისტემა, რომელიც მართავს მონაცემთა მოძრაობას და ინტეგრაციას სათამაშო ოპერატორის სისტემასთან. ეს ტექნოლოგია შექმნილია იმისათვის, რომ შეძლოს მონაცემების დიდი მოცულობის გამკლავება და ამავდროულად, იყოს მასშტაბირებადი. “ევოლუშენმა” ასევე შექმნა ვიდეო კოდირების საკუთარი გადაწყვეტა, რომლის მიზანია უზრუნველყოს უწყვეტი ვიდეო სტრიმინგი HD ფორმატით, ან ფორმატში, რომელიც საუკეთესოდ მოერგება საბოლოო მომხმარებლის შესაძლებლობებს.



მისიის მართვის ოთახი

### მისიის მართვის ოთახი

(მმო) “ევოლუშენის” საქმიანობის გულია. მმო პასუხისმგებელია ფუნქციონალურ სრულყოფილებაზე, სისტემის ხელმისაწვდომობაზე, უსაფრთხოებასა და რეგულაციებთან შესაბამისობაზე. კომპანიის მიერ ყველა სტუდიაში მიმდინარე ყველა თამაშს მონიტორინგს უწვენ და აკონტროლებენ დღეში 24 საათის განმავლობაში, რეალურ დროში - ხშირად ათასობით ერთდროულ მოთამაშესთან ერთად. მონიტორინგის ძირითადი სფეროებია ტექნიკა, თამაშის წარმდგენები და სათამაშო მოდელები – ეს ყველაფერი უსაფრთხოების ოპტიმიზაციის და თაღლითობისგან დაცვის უზრუნველსაყოფად. მმო-ს ცენტრალური ჰაბი მდებარეობს ლატვიაში, წარმოების სტუდიაში. საშუალო მმო-ები ასევე ხელმისაწვდომია



სხვასტუდეებში, როგორც კომპანიის უწყვეტი დაგეგმვის ნაწილი. მმო უზრუნველყოფს “ევოლუშენის” ბიზნესის მასშტაბირებადობას, რადგან შესაძლებელია რამდენიმე სტუდიის მონიტორინგი ერთი ადგილიდან. ზოგიერთი ბაზარი, როგორიცაა ნიუ-ჯერსი, საჭიროებს მმო-ს ადგილობრივ წარმომადგენლობას.



### **ინდივიდუალური მომსახურება**

ლაივ-კაზინოს პროდუქტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია იმ ოპერატორებისთვის, რომლებსაც სურთ მიაღწიონ ბრენდის დიფერენცირებას და მოთამაშეთა მიმართ მათი ერთგულების გაძლიერებას.

“ევოლუშენს” სრულად სპეციალიზებული ცხრილებისა და გარემოს შეთავაზების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, სადაც პრაქტიკულად ყველაფერი ინდივიდუალური ოპერატორის პრეფერენციაზე იქნება მორგებული.

### **დისტრიბუციის არხები**

“ევოლუშენი” საბოლოო მომხმარებელს სთავაზობს მარტივ წვდომას ლაივ-კაზინო თამაშებზე ყველა ძირითადი პლატფორმის მეშვეობით.

ბოლო წლების განმავლობაში, მობილურმა გეიმინგმა მკვეთრად მოიმატა და 2021 წელს, სათამაშო შემოსავლების 69% წარმოქმნილია “ევოლუშენის” მობილური მოწყობილობების პლატფორმიდან. მოსალოდნელია, რომ მობილური მოწყობილობების პოპულარობის ზრდა გაგრძელდება. ყველა მობილური თამაში ჩაშენებულია HTML5-ში ოპერატორის მობილური ვებგვერდებში შეუფერხებელი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად და კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურად არის მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და ეფექტურობაზე. კომპანიის სტრუქტურა შედგება ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით

დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნილებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლებების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამიჯვნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.


## კორპორაციული მართვა

კომპანიის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს შპს Evolution Malta Holding Limited, მალტა, და კომპანიას არ ჰყავდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. პარტნიორთა უფლება მოვალეობები იმართება კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს. კომპანიის დირექტორები არიან მარტინ ოლოფ კარლესუნდი და პოლ ჯესპერ ფონ ბაპრი.

როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შპს Evolution Malta Holding Limited -ის მფლობელია Evolution Gaming Group AB (საჯარო) რომელსაც მართავს დირექტორთა საბჭო და მისი მმართველობითი სტრუქტურა და პროცედურები არის საჯარო და განთავსებულია შემდეგ ბმულზე: <https://www.evolutiongaming.com/corporate-governance>.

Evolution Gaming Group AB (საჯარო) (“ევოლუშენი”) არის შვედური საჯარო შეზღუდული შესაძლებლობის კომპანია, რომელიც დაარსდა 2014 წლის დეკემბერში და Nasdaq Stockholm საფონდო ბირჟაზე არის ჩამონათვალში წარმოდგენილი. “ევოლუშენი” იყენებს კანონს შვედური კომპანიების შესახებ და ევროკავშირის ბაზრის ბოროტად გამოყენების რეგულირებას, შვედეთის კორპორაციული მართვის კოდექსს (“კოდექსი”) და სხვა რეგულაციებს და წესებს, რომლებიც ეხება Nasdaq Stockholm საფონდო ბირჟის ჩამონათვალში არსებულ კომპანიებს, მათ შორის Nasdaq Stockholm-ის წესების წიგნს გამომცემლებისთვის. მიმდინარე კოდექსი ხელმისაწვდომია შვედეთის კორპორაციული მართვის საბჭოს ვებგვერდზე [www.bolagsstyrning.se](http://www.bolagsstyrning.se).

“ევოლუშენის” კორპორაციული მართვის მოდელი



## მდგრადი განვითარების პოლიტიკა

“ევოლუშენის” დირექტორთა საბჭომ დანერგა ჯგუფის ფარგლებში მდგრადი განვითარების პოლიტიკა. “ევოლუშენი” მდგრადობას ყველა კორპორაციულ საქმიანობაში ემსახურება ამ პოლიტიკისა და სხვა მმართველი დოკუმენტების დანერგვით, მათ შორის ქცევის კოდექსისა და მამხილებელი პროცედურებით. მეტიც, “ევოლუშენი” მისი მომხმარებლისგან, მომწოდებლებისგან და ბიზნეს პარტნიორებისგან მოელოდა, რომ მათაც დაიცვან ქცევის კოდექსში ასახული მსგავსი სტანდარტები მათი საქმიანობის წარმოებისას.

“ევოლუშენის” მიერ შვედეთის წლიური ანგარიშების აქტის საანგარიშო სტანდარტების შესრულების შეჯამება:

- ბიზნეს მოდელი
- გარემო
- ადამიანის უფლებები და სოციალური მდგომარეობა
- ქრთამსაწინააღმდეგო და ანტი-კორუფცია
- თანაბარი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის აკრძალვა
- პასუხისმგებლობიანი თამაში

როგორც მდგრადი განვითარების პოლიტიკა, ასევე ქცევის კოდექსი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ – გვერდზე. გარდა ამისა, ევოლუშენს, ჯგუფის მასშტაბით, გააჩნია პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მდგრადობასთან დაკავშირებულ თემებს:

- ქრთამსაწინააღმდეგო და ანტიკორუფციული პოლიტიკა
- რისკის მართვის პოლიტიკა
- გლობალური HR პოლიტიკა
- მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა
- სამუშაო გარემოს პოლიტიკა
- თანასწორობის გეგმა
- დისკრიმინაციის პოლიტიკა
- კომუნიკაციების პოლიტიკა

კომპანიის პოლიტიკა იწვევს გუნდის წევრებთან განმეორებითი კომუნიკაციით და სავალდებულო ტრენინგებით. პოლიტიკა ყოველწლიურად განიხილება და ყოველთვის ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის კომპანიის ინტრანეტის საშუალებით.

პრიორიტეტული სფეროები					
ჩვენი ადამიანები	ჩვენი საზოგადოება	ჩვენი გარემო	მრავალფეროვნება	პასუხისმგებლური თამაში	ეთიკური ბიზნეს პრაქტიკები
მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები					
 <b>8</b> ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა	 <b>4</b> ხარისხიანი განათლება	 <b>12</b> ბიორეალტობიანი მოხარება და ნაწარმი	 <b>5</b> ბინდარალი თანასწორობა	 <b>16</b> მშვიდობა სამართლიანობის ძლიერი ინსტიტუტებით	 <b>16</b> მშვიდობა სამართლიანობის ძლიერი ინსტიტუტებით
 <b>3</b> ჯანმრთელობა და კეთილდღეობა		 <b>13</b> კლიმატის მდგრადი მიღწევა		 <b>3</b> ჯანმრთელობა და კეთილდღეობა	

## მდგრადი განვითარების რისკები

“ევოლუშენის” ოპერაციები ექვემდებარება გარკვეულ რისკებს, რომლებიც ასოცირდება მდგრადი განვითარების სფეროსთან, ეს რისკებია:

- პოლიტიკური გადაწყვეტილებები და სხვა იურიდიული ასპექტები
- საბოლოო მომხმარებლები
- მთავარ პერსონალზე და გამოცდილ თანამშრომლებზე დამოკიდებულება
- რისკის მართვა
- საგადასახადო სიტუაცია

## მდგრადი განვითარების ასპექტები “ევოლუშენის” საქმიანობაში

“ევოლუშენის” სწრაფი და სტაბილური ბიზნეს ზრდა ეყრდნობა კომპანიის ინოვაციური და გრძელვადიანი პერსპექტივის მომგებიან კომბინაციას, რომელიც ორიენტირებულია ჩვენი პროდუქტის განვითარებაზე, ჩვენს საქმიანობასა და ჩვენს ხალხზე. “ევოლუშენი” ისწრაფვის მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის და იმ მუდმივი ძალისხმევის მიმართ, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი გუნდის წევრების კეთილდღეობასა და განვითარებას, ისევე როგორც ჩვენს ამბიციას, ვისწრაფოდეთ დადებითი გავლენის მოხდენისკენ, როგორც უშუალო საზოგადოებებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ისე ზოგადად გარემოზე. ჩვენ ვიყენებთ ტერმინის “მდგრადი განვითარების” ფართო განმარტებას, ჩვენი ამბიცია ამ სფეროში ემყარება ჩვენს ღირებულებებს და მივიჩნევთ მას როგორც სტრატეგიული, ასევე საოპერაციო მუშაობის განუყოფელ ნაწილად.



## ქრთამის, კორუფციისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა

ქვეყნის კოდექსით, Evolution Georgia-ს აქვს მკაფიო მითითებები, თუ როგორ უნდა აიცილოს თავიდან კორუფცია, ქრთამი და ფულის გათეთრება. თანამშრომლები გადიან სავალდებულო ტრენინგს ამ საკითხებთან

დაკავშირებით. გარდა ამისა, ფონური შემოწმება ხორციელდება თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე და უფრო დიდ მომწოდებლებზე.

“ევოლუშენი” არ მართავს ფულად ნაკადებს საბოლოო მომხმარებლისგან, პრაქტიკული ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სამუშაო უპირველესად ოპერატორებზე გადის. მიუხედავად ამისა, “ევოლუშენი” იმ გლობალური ძალისხმევის ერთგული რჩება, რომელიც ებრძვის ფულის გათეთრებას და ტერორიზმის დაფინანსებას და ჩამოაყალიბა პროცესები “ევოლუშენის” პროდუქტის ფულის გათეთრებაში გამოყენების პრევენციისთვის. კომპანია მონიტორინგს უწევს ყველა სათამაშო აქტივობას 24 საათის განმავლობაში (როგორც ეს აღწერილია პასუხისმგებლობიანი თამაშის სექციაში). ეს პრო-აქტიური მიდგომა “ევოლუშენს” საშუალებას აძლევს დაადგინოს შესაძლო არარეგულარული მოქმედებები და აცნობოს ოპერატორებს ამის შესახებ. თავის მხრივ ეს, საშუალებას აძლევს ოპერატორებს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რათა თავიდან ააცილონ მათ მომსახურებას ის, რომ იყოს გამოყენებული ფულის გათეთრების მიზნებით.

### საინფორმაციო უსაფრთხოება

სათამაშო უსაფრთხოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს “ევოლუშენისთვის” ბაზარზე ნდობის შესანარჩუნებლად. “ევოლუშენს” აქვს ISO, ISO 27001: 2013 სერტიფიკატი, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველაზე მაღალი სტანდარტი IT უსაფრთხოებისთვის. აუდიტის პროცესი ჩატარდა ლატვიაში, რადგან კომპანიის ოპერაციების უმეტესი ნაწილი და მისი პლატფორმა იქ არის დაფუძნებული და წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ “ევოლუშენმა” წარმატებით მოაგვარა მისი პროცესები ისე, რომ დაცულია კონფიდენციალურობა, მთლიანობა და ინფორმაციის და მონაცემების ხელმისაწვდომობა.

### მონაცემთა დაცვა და მონაცემთა კონფიდენციალურობა

“ევოლუშენის” ოპერაციები მოითხოვს კოორდინირებულ რეაგირებას მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა კონფიდენციალურობის საკითხებზე. “ევოლუშენმა” დანერგა პროცესები, ევროპული ჰარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგლამენტის (EU) 2016/679 დებულების შესაბამისად. პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ამგვარი მონაცემების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით (“GDPR”) და სხვა მოქმედი ადგილობრივი კანონები, რომლებიც ეხება მონაცემთა დაცვას და მონაცემთა კონფიდენციალურობას.

“ევოლუშენმა” დანიშნა მონაცემთა დაცვის სპეციალისტი მოქმედ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. 2018 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა რაიმე დასაბუთებული საჩივარი მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევებთან დაკავშირებით.




## სამართლიანი და შესანიშნავი დამსაქმებელი

ევოლუშენი ცდილობს იყოს მიმზიდველი დამსაქმებელი, რომელიც მის მიერ დაქირავებულ თანამშრომლებს სთავაზობს კონკურენტუნარიან ხელფასებსა და სარგებლის პროგრამას, გამომწვევ და სოციალურ სამუშაო გარემოს და მნიშვნელოვან განვითარების შესაძლებლობებს. კომპანია მოქმედებს იმ მოსაზრების თანახმად, რომ ძლიერი კორპორაციული კულტურა, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლის გამოცდილებას და ინარჩუნებს მომხმარებელსა და საბოლოო მომხმარებელს, ძირითადად არის ის, რასაც საბოლოოდ მოაქვს “ევოლუშენის” მიერ შემოთავაზებული უნიკალური ლაივ კაზინო გამოცდილება.

“ევოლუშენის” დამსაქმებლები იმყოფებიან კომპანიის სტუდიებში და ოფისებში ლატვიაში, საქართველოში, მალტაზე, ბელგიაში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, ესტონეთში, რუმინეთში, ნიდერლანდებში, შვედეთში, ესპანეთსა და კანადაში. ახალმოსულები უერთდებიან სწრაფად განვითარებად საერთაშორისო გარემოს, მდიდარი კარიერული ზრდის საშუალებით. მათი უმეტესობა მუშაობს საოპერაციო სათამაშო სფეროში თამაშების წარმდგენებთან, ე.ი. დილერებთან ერთად, რაც ერთობლიობაში ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენს. ევოლუშენი ასევე მიმზიდველი დამსაქმებელია პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერებისთვის მისი ინოვაციური პროფილის და მოწინავე პიონერული ტექნოლოგიების დამსახურებით. კომპანიის IT ერთეულები, რომლებიც დაახლოებით 400 ადამიანისგან შედგება, მოიცავს მაღალკვალიფიციურ ექსპერტებს. მრავალრიცხოვანი ტექნოლოგიური სფეროებიდან. ბევრი თანამშრომელი, განსაკუთრებით ოპერაციებში, არის სტუდენტი ნახევარ განაკვეთზე, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ, კომპანიაში სრულ განაკვეთზე მუშაობის გამოწვევებს დაუპირისპირდებიან.

მუდმივად თანამშრომლების დაქირავების საჭიროების შესასრულებლად, რაც გამოწვეულია მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდის შედეგად, ევოლუშენი ატარებს გარკვეული რაოდენობის დონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პოტენციურ თანამშრომლებზე, მათ შორის მთავარ ბაზრებზე არსებული უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ვაკანსიების ბაზარზე არსებობა და ჰოსთინგი, IT კონფერენციის მასპინძლობა და დასწრება, ასევე სხვადასხვა სახის ციფრული და OOH კამპანიები.



## “ევოლუშენ აკადემია“

“ევოლუშენ აკადემია” მდებარეობს წარმოების სტუდიებში და პასუხისმგებელია სათამაშო პერსონალის დაქირავებაზე და მათ თავდაპირველ და მიმდინარე დატრენინგებაზე – თამაშების წარმდგენებიდან დაწყებული, ბანქოს ამრევებით გაგრძელებული და კლიენტების მომსახურების პერსონალით დამთავრებული

აკადემია ზუსტად ისეა მოწყობილი, როგორც ლაივ-კაზინო სტუდია, ისეთი ტრენინგის უზრუნველსაყოფად, რომელიც მაქსიმალურად რეალისტურია, ტრენინგის ნორმალური პერიოდი ახალი თამაშის წარმდგენისთვის დაახლოებით 100 საათია, რის შემდეგაც 3 თვიანი სტაჟირების პერიოდი იწყება.

თითოეულ ახალ დაქირავებულ პერსონალს ენიშნება მენტორი და სტაჟირების პერიოდის დასრულების შემდეგაც გრძელდება ტრენინგი, მათი უნარების შემდგომი განვითარებისა და სათამაშო შეცდომების რისკის მინიმუმამდე დაყვანისთვის. დასაქმების პერიოდში თითოეული პერსონალი აგრძელებს ტრენინგს მათი შედეგების მიხედვით, მაგრამ ასევე, ახალი თამაშების ან სხვა ტექნიკური მახასიათებლების წამოწყებასთან პარალელურად. ტრენინგი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების შესახებ, კანონმდებლობის, ფულის გათეთრების და კონტროლის სხვა სფეროების შესახებ ქმნის ტრენინგის აქტივობების მთავარ ნაწილს.



**COVID-19.** 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და ამის უარყოფითმა გავლენამაც არ დააყოვნა. “ევოლუშენ ჯორჯია” თავიდანვე ასრულებდა ადგილობრივი თუ გლობალური ჯანდაცვის ორგანოების რეკომენდაციებს, და ასევე გააგრძელა 2021 წელსაც, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ დეზინფექცირებით, სავალდებულო იზოლაციით იმ თანამშრომლებისთვის, რომლებმაც იმოგზაურეს მაღალი რისკის შემცველ ქვეყნებში, სწრაფი და PCR ტესტებით საქართველოს მთავრობის მოთხოვნების შესაბამისად, საინფორმაციო კამპანიებით და ა.შ.

მიუხედავად ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული პანდემიური ვითარებისა, “ევოლუშენ ჯორჯია” აგრძელებდა ზრდას და სამომავლოდ მიზნად ისახავს ამ ზრდის მუდმივ შენარჩუნებას. ჩვენ ვინარჩუნებთ მაუწყებლობის ხელშეკრულებას შპს Evolution Malta-სთან და შპს Evolution Gaming Malta-სთან. კლიენტები აგრძელებენ ყველა ხარჯის დაფარვას + შეთანხმებით განსაზღვრული ფასნამატი.



## ფინანსური მონაცემები

2021 წელი “ევოლუშენ ჯორჯიასთვის” მუშაობის მეოთხე წელია, ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

- აქტივების მოცულობა 2021 წლის ბოლოს 132 მილიონი ლარია
- ვალდებულებების მოცულობა 2021 წლის ბოლოს 111 მილიონი ლარია
- კაპიტალი 8 846 000 ლარიდან 20 956 000 ლარამდე გაიზარდა.

კომპანიის წმინდა მოგებამ საერთაშორისო სტანდარტებით 13 416 000 ლარი შეადგინა. “ევოლუშენ ჯორჯიას” შემოსავალი დაფუძნებულია კომპანიის მიერ ლაივ-კაზინოს მომსახურების მიწოდებისას წარმოქმნილ შიდა ხარჯებზე და მასზე დამატებულ ტრანსფერების პროცენტზე.

2018 წლის დასაწყისში თანამშრომლების რაოდენობა იყო 8 პირი. წლის ბოლოს ამ რაოდენობამ 1067-ს მიაღწია, 2019 წლის ბოლოს 2870 თანამშრომელი იყო, 2020 წლის ბოლოს-3558, ხოლო 2021 წლის ბოლოს, “ევოლუშენ ჯორჯიას” 5953 თანამშრომელი ჰყავდა.

კომპანიამ პირველი ლაივ ტრანსლაცია 2018 წლის 30 მარტს დაიწყო სამი მაგიდით და წლის ბოლოსთვის მაგიდების რაოდენობა 107-მდე გაიზარდა, 2019 წელს 304 მაგიდამდე, 2020 წლის ბოლოს, მაგიდების რაოდენობა 330-მდე გაიზარდა, ხოლო 2021 წელს, მაგიდების რაოდენობამ სულ 532 შეადგინა.

აუდიტორების შერჩევა ყოველწლიურ საერთო კრებაზე ხდება. აუდიტორმა უნდა შეამოწმოს კომპანიის წლიური ანგარიშგება და ანგარიშები, ისევე, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მართვა და მმართველო დირექტორი. აუდიტორმა ასევე უნდა შეამოწმოს ჯგუფის ანგარიშები, ისევე, როგორც ჯგუფში არსებული კომპანიების ერთმანეთში ურთიერთობა. ასოციაციის წესდების მიხედვით, “ევოლუშენს” ერთი ან ორი აუდიტორი უნდა ჰყავდეს. აუდიტორი დაინიშნება დროის იმ პერიოდისთვის, სანამ არ დასრულდება ყოველწლიური საერთო კრება, რომელიც ჩატარდება არჩევიდან მეოთხე ფინანსური წლის განმავლობაში. 2021 წელს ჩატარებულმა ყოველწლიურმა საერთო კრებამ ხელახლა აირჩია Öhrlings PricewaterhouseCoopers AB, როგორც კომპანიის აუდიტორები 2022 წლის ყოველწლიური საერთო კრების დასრულებამდე. პასუხისმგებელი აუდიტორია იოჰან ენგსტამი, რომელიც დაიბადა 1966 წელს და არის სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი (CPA).

---

პალ ჯესპერ ფონ ბაჰრი  
დირექტორი



შპს „ეკოლუმენ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული  
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

ქეთევან ჭეიფაძე

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....	1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება .....	2
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შინაარსი .....	1
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .....	1
1 შპს ევოლუშენ ჯორჯია და მისი საქმიანობა .....	5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო .....	6
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა .....	7
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას .....	22
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება .....	24
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები .....	26
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....	33
8 ძირითადი საშუალებები .....	34
9 აქტივების გამოყენების უფლება და იჯარის ვალდებულებები .....	35
10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....	36
11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები .....	36
12 საწესდებო კაპიტალი .....	37
13 აქტივებზე დაფუძნებული გადახდები .....	37
14 ნასესხები სახსრები .....	40
15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება .....	41
16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....	42
17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან .....	42
18 სხვა ხარჯები, ნეტო .....	42
19 საფინანსო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო .....	43
20 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები .....	43
21 ფინანსური რისკის მართვა .....	44
22 კაპიტალის მართვა .....	49
23 რეალური ღირებულების შეფასება .....	49
24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები .....	51

*ქეთევან წყნაძე*

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ევოლუშენ ჯორჯიას მესაკუთრესა და ხელმძღვანელობას

### ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ევოლუშენ ჯორჯიას (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

### აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

გვეკრა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

### სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ქეთევან ტყეშელაშვილი

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია ასახავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის

შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზრულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.  
მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისიუთერკაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2022 წლის 10 მაისი  
თბილისი, საქართველო

*ნინო ქადაგიშვილი* გვერდი 3

შპს „ვეოლუმენ ჯორჯია“  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021 წ. 31 დეკემბერი	2020 წ. 31 დეკემბერი
<b>აქტივები</b>			
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	8	51,642	46,863
არამატერიალური აქტივები		103	142
აქტივების გამოყენების უფლება	9	24,691	19,688
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი		964	1,942
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>77,400</b>	<b>68,635</b>
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
მარაგები		3,808	2,224
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	19,374	40,024
სხვა საგადასახადო მოთხოვნა		4,782	5,687
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	26,888	8,491
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>		<b>54,852</b>	<b>56,426</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>132,252</b>	<b>125,061</b>
<b>კაპიტალი</b>			
საწესდებო კაპიტალი	12	-	-
აქტივზე დაფუძნებული გადახდების რეზერვი	13	(1,306)	-
გაუნაწილებელი მოგება		22,262	8,846
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>20,956</b>	<b>8,846</b>
<b>ვალდებულებები</b>			
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
ოჯარის ვალდებულებები	9	23,558	22,861
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>23,558</b>	<b>22,861</b>
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>			
ნასესხები სახსრები	14	70,582	79,314
ოჯარის ვალდებულება	9	3,840	3,341
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	16	13,315	10,699
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>		<b>87,737</b>	<b>93,354</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>111,295</b>	<b>116,215</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>132,251</b>	<b>125,061</b>

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 10 მაისს.

პალ ჯესპერ ფონ ბაპრი  
 დირექტორი

ანა გაჩეჩილაძე  
 ჯგუფის მთავარი ბუღალტერი


განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-50, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


*ქეთევან ჯეიფაძე*

**Evolution Georgia LLC**  
**Statement of Financial Position**

<i>In thousands of Georgian Lari</i>	Note	31 December 2021	31 December 2020
<b>ASSETS</b>			
<b>Non-current assets</b>			
Property, plant and equipment	8	51,642	46,863
Intangible assets		103	142
Right-of-use asset	9	24,691	19,688
Prepayments for property, plant and equipment		964	1,942
<b>Total non-current assets</b>		<b>77,400</b>	<b>68,635</b>
<b>Current assets</b>			
Inventory		3,808	2,224
Trade and other receivables	10	19,374	40,024
Other taxes receivable		4,782	5,687
Cash and cash equivalents	11	26,888	8,491
<b>Total current assets</b>		<b>54,852</b>	<b>56,426</b>
<b>TOTAL ASSETS</b>		<b>132,252</b>	<b>125,061</b>
<b>EQUITY</b>			
Charter capital	12	-	-
Share based payment reserve	13	(1,306)	-
Retained earnings		22,262	8,846
<b>TOTAL EQUITY</b>		<b>20,956</b>	<b>8,846</b>
<b>LIABILITIES</b>			
<b>Non-current liabilities</b>			
Lease liabilities	9	23,558	22,861
<b>Total non-current liabilities</b>		<b>23,558</b>	<b>22,861</b>
<b>Current liabilities</b>			
Borrowings	14	70,582	79,314
Lease liabilities	9	3,840	3,341
Trade and other payables	16	13,315	10,699
<b>Total current liabilities</b>		<b>87,737</b>	<b>93,354</b>
<b>TOTAL LIABILITIES</b>		<b>111,295</b>	<b>116,215</b>
<b>TOTAL LIABILITIES AND EQUITY</b>		<b>132,251</b>	<b>125,061</b>

Approved for issue and signed on behalf of Management 10 May 2022.

  
 \_\_\_\_\_  
 Jesper von Bahr  
 Director

  
 \_\_\_\_\_  
 Ana Gachechiladze  
 Group Accounting Manager

The accompanying notes on pages 5 to 36 are an integral part of these financial statements.

შპს „ევოლუშენ გორჯია“  
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	17	145,314	94,652
სხვა შემოსავალი		1,096	847
დაქირავებულ პირთა გასამრეკლოების ხარჯი		(93,646)	(43,298)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8,9	(14,741)	(10,798)
სტუდიასთან დაკავშირებული ხარჯები		(6,526)	(3,347)
უცხოური ვალუტის გაცვლის ზარალი შემცირებული შემოსულობებით		(4,747)	(2,112)
ტელეკომუნიკაციის ხარჯები		(3,149)	(2,970)
კომუნალური ხარჯები		(3,093)	(1,368)
წარმომადგენლობითი და სამივილინებო ხარჯები		(2,730)	(992)
აქტივებზე დაფუძნებული ანაზღაურების ხარჯი	13	(2,166)	-
სარემონტო და მოვლა-შენახვის მომსახურება		(1,976)	(2,329)
საოფისე შარაგები		(1,337)	(597)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება		(1,237)	(762)
სხვა ხარჯები, ნეტო	18	(4,509)	(3,266)
<b>საოპერაციო მოგება</b>		<b>6,553</b>	<b>23,660</b>
საფინანსო შემოსავალი/ (ხარჯი), ნეტო	0	6,863	(17,541)
<b>მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>		<b>13,416</b>	<b>6,119</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
<b>წლის მოგება</b>		<b>13,416</b>	<b>6,119</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>წლის სრული შემოსავალი, სულ</b>		<b>13,416</b>	<b>6,119</b>

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-50, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ქეთევან ზეიდაძე



შპს „ვეოლუმენ ჯორჯია“  
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წ. 31 დეკემბერს	12	-	-	2,727	2,727
წლის მოგება		-	-	6,119	6,119
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	-	6,119	6,119
ნაშთი 2020 წ. 31 დეკემბერს	12	-	-	8,846	8,846
წლის მოგება		-	-	13,416	13,416
აქციებზე დაფუძნებული გადახდების გაუნაწილება		-	(3,472)	-	(3,472)
აქციებზე დაფუძნებული გადახდების ანაზღაურება		-	2,166	-	2,166
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		-	(1,306)	13,416	12,110
ნაშთი 2021 წ. 31 დეკემბერს	12	-	(1,306)	22,262	20,956

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-50, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური  
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

*ქეთევან ჭყავჭავაძე*

შპს „ვეოლუმენ ჯორჯია“  
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		13,416	6,119
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისთვის აქციებზე დაფუნდებული გადახდის ანაზღაურების ხარჯი	8,9	14,741	10,798
საპროცენტო ხარჯისთვის	13	2,166	-
სავალუტო სხვაობების (შემოსულობა)/ ზარალი, ნეტო	0	3,187	17,541
		(5,303)	2,112
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		28,207	36,570
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	10	15,612	(15,982)
ზრდა მარაგებში		(1,584)	(914)
შემცირება სხვა საგადასახადო მოთხოვნებში		905	2,507
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა	16	2,575	1,105
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება გადახდილი საპროცენტო ხარჯი		17,508 (1,870)	(13,284) (1,928)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		43,845	21,358
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა		8	(15,008)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა	8	114	130
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(14,894)	(22,425)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან		14	-
აქციებზე დაფუნდებული გადახდების განაწილება	13	(3,472)	-
იჯარის ვალდებულებების გადაფარვა	15	(3,428)	(2,300)
იჯარის ვალდებულებების წინასწარი საზღაურის დაფარვა		(1,728)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (საქმიანობაში გამოყენებული) /		(8,628)	5,705
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,926)	(7)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		11	8,491
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		11	26,888
			8,491

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-50, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

*ქეთევან ჭყეუიძე*

## 1 შპს ევოლუშენ ჯორჯია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შპს „ევოლუშენ ჯორჯიასთვის“ (შემდგომში „კომპანია“).

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „ევოლუშენ ჯორჯია“ საქართველოში დაფუძნდა 2017 წლის 29 მაისს, კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ დარეგისტრირებულია საიდენტიფიკაციო ნომრით: 405209689.

2021 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო შპს Evolution Malta Holding Limited, მალტა (შემდეგში „მშობელი კომპანია“) და კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

Evolution Malta Holding Limited LLC რამდენიმე კომპანიას ფლობს მსოფლიო მასშტაბით და მისი მფლობელია Evolution Gaming Group AB (საჯარო), შვედური საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც საფონდო ბირჟაზე - Nasdaq Nordic Large Cap - არის რეგისტრირებული 2017 წლის 5 ივნისიდან. Evolution Gaming Group AB (საჯარო) და მისი შვილობილი საწარმოები (შემდეგში „ჯგუფი“) წარმოადგენს ლაივ კაზინო (Live Casino) სისტემების წამყვან „ბიზნესი ბიზნესისთვის“ (შემდეგში „B2B“) პროვაიდერს. ჯგუფი ქმნის, ავითარებს, აწარმოებს, სრულად ინტეგრირებულ ლაივ კაზინო გადაწყვეტებს აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის, ახორციელებს მის მარკეტინგს და გასცემს ლიცენზიებს. ის მონაწილეობს მხოლოდ განვითარებასა და შექმნაში, ხოლო თვითონ არ ახორციელებს აზარტული თამაშების ოპერირებას. Evolution Gaming Group AB (საჯარო) წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და შესაბამისობაშია ევროკავშირის მიერ მიღებულ ფასს-თან.

**ძირითადი საქმიანობა.** კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ლაივ კაზინო მომსახურებების B2B ლაივ სტრიმინგი. დაფუძნებიდან ცოტა ხნის შემდეგ, 2017 წლის 1 ივლისს, კომპანიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას (შემდეგში „შეთანხმება მომსახურების შესახებ“) Evolution Malta Ltd-თან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო - „EUCC“), რომლის შესაბამისად კომპანიამ შემდეგი მომსახურებები უნდა გასწიოს:

- კაზინოს თამაშების ვიდეო და აუდიო ტრანსლაცია ინტერნეტის მეშვეობით;
- აზარტული თამაშების ტრანსლაციისთვის საჭირო მოწყობილობებისა და სერვერის მიწოდება და მოვლა-შენახვა;
- იმ თანამშრომლებისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა, რომლებიც ახორციელებენ ონლაინ კაზინოს მომსახურებას;
- ონლაინ კაზინოს მომსახურების უზრუნველსაყოფად პერსონალის დაქირავება და მართვა;
- ზემოაღნიშნული მომსახურებებისთვის საჭირო ადმინისტრაციული მომსახურების უზრუნველყოფა.

კაზინოს მომსახურებების ლაივ სტრიმინგი ხორციელდება კომპანიის მიერ იჯარით აღებულ უბრავე ქონებაზე აშენებული სტუდიების მეშვეობით. კერძოდ, კომპანიის მიერ დაქირავებული თამაშების წარმდგენლები თამაშების („რულეტკა“, „ბლექჯეკი“, „სამ კარტიანი პოკერი“ და „ბაკარა“) პრეზენტაციას ახორციელებენ კომპანიის სტუდიებში დამონტაჟებული აზარტული თამაშების მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც ლაივ სტრიმინგით გადაიცემა Evolution Malta Ltd-ში.

ქეთევან ზევიძაძე

კომპანია იყენებს მოდელს, თვითღირებულებას მიმატებული მარჯა და კომპანიის ამონაგები პირდაპირ კავშირშია ზემოაღნიშნული მომსახურების გაწვევისთვის გაწეულ ხარჯებთან, რაც გამოითვლება თვითღირებულებით, რასაც ემატება შეთანხმებული მარჯის პროცენტი.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობას ძირითადად ეწევა შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, მექანიზაციის ქ. 1/თორნიკე ერისთავის ქ. 2.

წარსადგენი ვალუტა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდეგში "GEL"), თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

## 2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაცია და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტირებასა და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მეტწილად დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებებზე, საგადასახადო, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი შესაბამისი ზომები COVID -19 -ის გავრცელებისა და მისი გავლენის შესაჩერებლად, როგორცაა შეზღუდვები მგზავრობაზე, კარანტინი, თვითიზოლაცია და შეზღუდვები ბიზნეს-საქმიანობაზე. მათ შორის საქმიანობის დასრულებაზე. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გლობალური ინფექციის გავრცელების დონე რჩება მაღალი, ვაქცინაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და არსებობს რისკი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები შემდგომ პერიოდებში, მათ შორის ვირუსის ახალი ვარიანტების გავრცელების გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. ადმინისტრაციული დეპარტამენტი გადავიდა დისტანციურად მუშაობის რეჟიმში, ხოლო ოპერატიული პერსონალი განაგრძობდა მუშაობას ყველა წესის დაცვით. შედეგად, 2021 წელს დაწესებული შეზღუდვები არ ახდენს რაიმე მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის საქმიანობაზე და ის მუშაობს სრული დატვირთვით.

2021 წელს, საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე დაემატა გლობალური ეკონომიკის აღორძინება და გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდა. თუმცა, საქართველოს და გლობალურ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციისა და ზემოაღნიშნული ზომების სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან. ხელმძღვანელობას თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

### 3 შნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

**მომზადების საფუძველი.** წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდეგში „ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის საფუძველზე, ქვემოთ მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. წინამდებარე პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული შნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის მოითხოვს ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. სფეროების, სადაც მაღალი ხარისხისა და სირთულის განსჯა გამოიყენება, ასევე სფეროების, სადაც დაშვებები და შეფასებები შნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია.** კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL").

**ოპერაციები და ნაშთები.** ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, ნასესხები სახსრების გარდა, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალის მუხლში, „სხვა ხარჯები, წმინდად“ (მე-18 შენიშვნა). ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი წარდგენილია მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში, „ფინანსური შემოსავალი/ (ხარჯები)“ (შენიშვნა 0).

წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებებითაა შეფასებული.

2021 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ძირითადი სავალუტო კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ნაშთების გადასაცემად, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი ("USD") 1 = 3.0976 ლარს და ევრო ("EUR") 1 = 3.504 ლარს (2020 წ. 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 3.2766 ლარი და ევრო 1 = 3.40233 ლარი). დღეისათვის ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა არ არის.

**ძირითადი საშუალებები.** ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხვებით, საჭიროებისამებრ. ძირითადი საშუალებები მოიცავს მომავალში ძირითადი საშუალების სახით გამოყენების მიზნით მშენებარე აქტივებს.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უშნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევითანავე აისახება ხარჯებში.

ქეთევან ჭეიჭეიძე

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან რეალური ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და წლის მოგება-ზარალის მუხლში, „სხვა ხარჯები, წმინდად“ აღიარდება (მე-18 შენიშვნა).

**ცვეთა** მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ("CIP") ცვეთა არ ერიცხება. დანარჩენი ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე ღირებულების გასანაწილებლად:

	<u>სასარგებლო მომსახურების ვადა, წელი</u>
სტუდიის ტექნიკური მოწყობილობები	2 - 5
სერვერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა მოწყობილობები	1 - 4
საოფისე ავეჯი და სხვა მოწყობილობები	2 - 5
ოჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სასარგებლო მომსახურების ვადასა და საბაზისო ოჯარის ხანგრძლივობას შორის უმცირესი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში.

**აქტივების გამოყენების უფლება.** კომპანია ოჯარით გასცემს ოფისს და საწყობს, ხელშეკრულებები მოიცავს ორივეს, ოჯარის და არასაოჯარო კომპონენტებს. კომპანია ანაწილებს საზღაურს ხელშეკრულებაში ოჯარის და არასაოჯარო კომპონენტებად, მათ შესაბამის განცალკევებით გასაყიდი ფასის საფუძველზე.

ოჯარიდან წარმოქმნილი აქტივები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

*ჩოქან ჭეიფაძე*

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას
- ნებისმიერ იჯარის გადახდებს, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდებით.
- ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ღირებულებას, და
- საიჯარო შეთანხმებით მოთხოვნილი პირობებით აქტივის აღდგენის ღირებულებას

აქტივების გამოყენების უფლება ზოგადად გაუფასურდება წრფივი მეთოდის გამოყენებით სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით. აქტივების გამოყენების უფლების მუხლების გაუფასურება გამოიანგარიშება იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები  
ბაზისო სადგური

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში  
8-დან 9 წლამდე  
6 წელი

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება.** აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს, რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აუგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანუღირების თვალსაზრისით.

**ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები.** რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილი ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

*ქეთევან ტყეშელაშვილი*

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეფასების ისეთი ხერხები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემი დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

გარიგების დანახარგები გახლავთ ზრდადი დანახარგები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შექმნას, გამოშვებას ან გასვლას. ზრდადი დანახარგი არის დანახარგი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარგები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს.

გარიგების დანახარგები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარგებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობის დანახარგებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა საწყისი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის ნებისმიერი გადახდით, მიმატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი გაუფასურების ნებისმიერი ზარალით ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარგების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის დარიცხული კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის წარმოშობისას გადავადებული საზღაური, თუ ასეთი არსებობს), ცალკე წარდგენილი არ არის და დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებებში ასახული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი, იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება შეფასებული სამომავლო ფულადი გადახდები ან ფულის მიღება (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, საჭიროებისამებრ, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სარედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყვე განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში.

*ქეთევან ზეიფაძე*



**3 მნიშვნელოვანი საღირებვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, ანუ სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

**ფინანსური ინსტრუმენტები - საწყისი აღიარება.** ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღირიცხება შესწორებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების გამოყენების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. საწყისი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) ანარიზები აღიარდება იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა (AC) შეფასებული ან სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI), სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისათვის, რაც განაპირობებს მყისიერ საღირებვო ზარალს. ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ზაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შეზენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შემენა აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

**ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები** კომპანია ფინანსური აქტივების შეფასებას შემდეგი კატეგორიებით ახორციელებს: მოგება-ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVPL), სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით რეალური ღირებულებით შეფასებული (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) კომპანიის ბიზნეს-მოდელზე, რომელიც გამოიყენება დაკავშირებული აქტივების მართვისთვის და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

**ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნეს-მოდელი** ბიზნეს-მოდელი გვიჩვენებს, როგორ ახორციელებს კომპანია აქტივების მართვას ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია: (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი“); თუ არც (i) და არც (ii) არ ვრცელდება, მაშინ ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც „სხვა“ ბიზნეს-მოდელის ნაწილი და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალის მეშვეობით (FVTPL).

ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება აქტივების ორგანიზაციის (პორტფელის დონეზე) კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დასახული მიზნის მისაღწევად განხორციელებული ქმედებების შესაბამისი მტკიცებულების საფუძველზე. ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისას კომპანია შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს: პორტფელის დანიშნულება და შემადგენლობა, წარსული გამოცდილება - როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებისგან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

*ქეთევან ჭეიშვილი*

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები.** კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL), „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით (AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელზე, და (ii) ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

**ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ფულადი ნაკადების მახასიათებლები.** როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია შეაფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებულ პროცენტის გადახდას (SPPI). როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

**ფინანსური აქტივები - რეკლასიფიკაცია.** ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. კომპანიას არ მოუხდენია მისი ბიზნეს მოდელის ცვლილება მიმდინარე და შესადარისი პერიოდის განმავლობაში და რეკლასიფიკაცია არ განუხორციელებია.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება - საკრედიტო ზარალის ანარიები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.** კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რაც გულისხმობს მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის გამოყენებას ყველა სავაჭრო მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად სავაჭრო მოთხოვნები აჯგუფდება საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით (მოთხოვნები შესაძლებელია დაჯგუფდეს გეოგრაფიული რეგიონის, პროდუქტის ტიპის, მომხმარებლის რეიტინგის, უზრუნველყოფის ან სავაჭრო საკრედიტო დაზღვევის მიხედვით)

**ფინანსური აქტივები - ჩამოწრა.** ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწრა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

*ქეთევან ზეიბაძე*

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა.** კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წვევებს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაეცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაეცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაეცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

**ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება.** ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას. კომპანია შეაფასებს, სახელშეკრულებო პირობების ეს მოდიფიცირება არსებითია თუ არა, სხვა ფაქტორებთან ერთად შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ნებისმიერი ახალი სახელშეკრულებო პირობა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე (მაგ., მოგების წილი ან კაპიტალზე დაფუძნებული უკუგება), საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება, სხვა ვალუტაში გამოსახვა, ახალი გირაო ან საკრედიტო გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკზე ან სესხის მნიშვნელოვნად გაზრდა, როდესაც მსესხებელი ფინანსურ სირთულეებს არ განიცდის.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის მთლიან (ზრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტ კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეტანილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის ("POCI" აქტივები) დისკონტირებით და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს.

*ქეთევან ბუციუაძე*

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**ფინანსური ვალდებულებები - შეფასების კატეგორიები.** ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) „რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა“ („FVTPL“): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემქმნის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

**ფინანსური ვალდებულებები - აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

კომპანიას ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღიარებება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

**ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასების კატეგორია.** კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასების კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზე მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს.), სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, როდესაც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

**ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ქეთევან ზეიდაძე

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.** ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურირების კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა შემვეობით ვალდებულების ანგარიშგებაზე მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით და შემდგომში გატარებული ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.** სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში. იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**ნასესხები სახსრები.** ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**ოჯარის ვალდებულებები.** ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშობა ოჯარიდან, თავდაპირველად შეფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. ოჯარის ვალდებულებები მოიცავს შემდგომი ოჯარის გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას:

- ფიქსირებული გადახდები (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები), შემცირებული ოჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნებით
- ოჯარის შეწყვეტის უარყოფითი გადახდები, თუ ოჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას.

გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები შეყვანილია ყველა ოჯარაში კომპანიის შიგნით. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობების უმეტესობით სარგებლობის უფლება მხოლოდ კომპანიას აქვს და არა შესაბამისი შეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა (ან შეწყვეტის შემდგომ პერიოდის შესაძლებლობა) შესულია ოჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ოჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). ოჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების შესაძლებლობასთან ერთად, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

ქეთევან ჭყვიპაძე

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ოჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც აქტივის გამოყენების უფლებას, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

ზღვრული სასესხო განაკვეთის განსასაზღვრად, კომპანია:

- სადაც შესაძლებელია, იყენებს კომპანიის მიერ, ბოლო ხანებში, მესამე მხარისგან მიღებულ დაფინანსებას, როგორც საწყის წერტილს, დაკორექტირებულს ფინანსური პირობების ცვლილებების ასახვად, რადგან დაფინანსება მიღებულია მესამე მხარისაგან
- იყენებს შენების (build-up) მიდგომას, რომელიც იწყება საკრედიტო რისკისთვის კორექტირებული ურისკო საპროცენტო განაკვეთით, და
- ახორციელებს იჯარისათვის სპეციფიურ კორექტირებებს, მაგ. ვადა, ქვეყანა, ვალუტა და უზრუნველყოფა.

კომპანია ექვემდებარება იჯარის ცვლადი გადახდების სამომავლო პოტენციურ ზრდას ინდექსზე ან განაკვეთზე დაყრდნობით, რომელიც არ არის შეყვანილი იჯარის ვალდებულებაში, სანამ ისინი არ შევა ძალაში. როდესაც ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის გადახდების კორექტირებები ძალაში შევა, იჯარის ვალდებულება გადაფასდება და დაკორექტირდება აქტივის გამოყენების უფლების საწინააღმდეგოდ.

იჯარის გადახდები განაწილდება მირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

გადახდები, რომლებიც ასოცირდება ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარებთან აღიარდება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც დანახარჯი. მოკლევადიანია ის იჯარები, რომლებსაც გააჩნიათ იჯარის პირობა 12 თვეზე ან ნაკლებზე.

**მოგების გადასახადი.** მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საკურობისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

ქეთევან ტყეშელაშვილი

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

**გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია.** ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში.

**დამატებული ღირებულების გადასახადი** წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლეული დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მთლიანობაზე დაყრდნობით და გამულაგნებულია ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. სადაც ანარიცხი მიღებულია მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, გაუფასურების ზარალი აღირიცხულია მოვალის მთლიანი თანხისთვის, დღე-ს ჩათვლით.

*ქეთევან ზუკერბერი*

### 3 შნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

**მარაგები.** სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე.

**გადახდილი ავანსი** გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილი ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

**საწესდებო კაპიტალი.** კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის ასოცირების წესდებით და გამოსახულია ნომინალური ღირებულებით, ერთი ლარი. კომპანიის ასოცირების წესდებებში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, მფლობელებისა და სხვა ცვლილება) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

**ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები.** ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

**ამონაგების აღიარება.** ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება ფასდათმობის, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

**მომსახურების გაყიდვა.** კომპანია მომსახურებას ეწევა Evolution Malta Ltd-თან ხელმოწერილი „მომსახურების შეთანხმების“ ფარგლებში (შენიშვნა 1), რომელიც მიჩნეულია, რომ არის საქმიანობის შედეგის ერთადერთი მოვალეობა. ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება, რადგან მომხმარებელი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად სარგებელს იღებს და იმავდროულად მოიხმარს მას.

კომპანია იყენებს მოდელს, თვითღირებულებას მიმატებული მარჟა, რომლის მიხედვით ამონაგები გამოითვლება, როგორც პირველ შენიშვნაში აღნიშნულ მომსახურების გაწევასთან გონივრულად დაკავშირებული მთლიანი დანახარჯები, გამრავლებული ფიქსირებული მარჟის პროცენტზე, რომელიც განსაზღვრულია „შეთანხმებით მომსახურების შესახებ“.

*ქეთევან ზეიდაძე*



### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომსახურების გაწევიდან ამონაგები იმ სააღრიცხვო პერიოდში აღიარდება, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა.

როდესაც კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება აღემატება გადახდას, სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება. თუ გადახდა აღემატება გაწეული მომსახურების ღირებულებას, მაშინ სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება.

დაფინანსების კომპონენტი კომპანიას არ აქვს ხელშეკრულებები, სადაც დაპირებული მომსახურების მომხმარებლისთვის გაწევასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის პერიოდი ერთ წელს აღემატება. ამიტომ, კომპანია არ ახორციელებს გარიგების ფასების კორექტირებას ფულის დროითი ღირებულებისათვის.

**თანამშრომელთა გასამრჯელოები.** კომპანიის თანამშრომლების მიერ მომსახურების გაწევის წელს მათთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი (როგორცაა მაგალითად ჯანმრთელობის დაზღვევა) დაირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა.

**აქციებზე დაფუძნებული გადახდები.** კომპანიას გააჩნია აქციებზე დაფუძნებული ინსტრუმენტებით განსაზღვრული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ანაზღაურების გეგმა, რომელთა ფარგლებში საწარმო იღებს საქონელს ან მომსახურებას თანამშრომლებისაგან და მესამე მხარეებისაგან, კომპანიის აქციებზე დაფუძნებული ინსტრუმენტების (ოფციონები ან აქციები) ანაზღაურების სახით.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება არის შეთანხმება საწარმოსა და მეორე მხარეს (მათ შორის დასაქმებულს) შორის, რომელიც აძლევს მეორე მხარეს უფლებას მიიღოს საწარმოს ფულადი სახსრები ან სხვა აქტივები თანხებისთვის, რომლებიც ეფუძნება საწარმოს ან სხვა ობიექტის საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის აქციების) ფასს (ან ღირებულებას), ან საწარმოს ან სხვა ობიექტის საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებს (მათ შორის აქციები ან აქციების ოფციონები), იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებულია უფლების გადაცემის განსაზღვრული პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების გეგმის მიხედვით, კომპანია ხელმძღვანელობისგან იღებს მომსახურებას კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურების სახით. წილობრივი ინსტრუმენტების გაცემის სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურების რეალური ღირებულება აღიარებულია როგორც ხარჯი. დარიცხულ აქციებზე კაპიტალის ზრდა, რომელიც გამოწვეულია კაპიტალით ანგარიშსწორებული სქემით, აღირიცხება აქციებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვში. როდესაც ერთი გრანტის გარკვეული ნაწილები გადადის ორ ან მეტ თარიღზე, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების აღრიცხვისთვის საწარმო იყენებს კლასების მიხედვით დაბარისხებულ უფლების გადაცემას. გრანტის თითოეული ტრანშიის უფლების გადაცემის პერიოდი მთავრდება, მაშინ, როდესაც თანამშრომლის მფლობელობაშია აქციები მომსახურების შემდგომი შეზღუდვის გარეშე. კლასების მიხედვით დაბარისხებული უფლების გადაცემის სქემის მიხედვით, ადრეული წლების ხარჯი უფრო მაღალია, ვიდრე შემდგომი წლების ხარჯი. თითოეული ტრანში ხარჯად ასახულია მისი მომსახურების პერიოდის განმავლობაში, ხოლო საკრედიტო ჩანაწერად წარმოდგენილია კაპიტალი.

ქეთევან ტყეშელაშვილი

**3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებული თანამშრომელთა მომსახურება. ოფციონების ან აქციების სანაცვლოდ მიღებული თანამშრომელთა მომსახურების რეალური ღირებულება აღიარდება ხარჯის სახით. უფლებების გადაცემის პერიოდის განმავლობაში ხარჯებში ასახული თანხის მთლიანი ოდენობა განისაზღვრება გაცემის თარიღით აღნიშნული ოფციონების ან აქციების რეალური ღირებულებით, გარდა არასაბაზრო უფლებების გადაცემის პირობების გავლენისა (მაგალითად, მომგებიანობისა და გაყიდვების ზრდის მიზნები). ნებისმიერი მომსახურების და არასაბაზრო შედეგების უფლებების გადაცემის პირობები აისახება დაშვებებში ოფციონების რაოდენობასთან დაკავშირებით, რაც მოსალოდნელია, რომ გამოყენებადი გახდება იმ აქციების რაოდენობასთან დაკავშირებით, რომლებსაც, მოსალოდნელია, რომ საბოლოოდ მიიღებენ თანამშრომლები. შეფასება გადაისინჯება ხალანსის შედგენის ყველა თარიღით და სხვაობა დაერიცხება ან დაკრედიტდება მოგება-ზარალზე, კაპიტალის შესაბამისი შესწორებით. ხარჯების ცვლილება არ ხორციელდება, როდესაც უფლებების გადაცემის მინიჭების მოსალოდნელი ან ფაქტობრივი დონე განსხვავდება საწყისი შეფასებისგან, საბაზრო შედეგების პირობების მიუღწევლობის გამო, მაგ., სათანადო აქციონერის მთლიანი უკუგება ან აქციის ფასი. ოფციონების გამოყენებისას მიღებული ამონაგები, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯების გარეშე, დაკრედიტდება სააქციო კაპიტალზე (ნომინალური ღირებულება) და საემისიო შემოსავალზე. გაუქმებული მინიჭება ნიშნავს უფლების გაუქმებას. ნებისმიერი არამორტიზებული ხარჯი, დაკავშირებული მსგავს მინიჭებებთან, მაშინვე აისახება მოგება-ზარალში.

საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია ვალდებულია დააკავოს თანამშრომლის გადასახადის თანხა, რომელიც დაკავშირებულია აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურების სარგებელთან და ეს თანხა ნაღდი ფულით გადაერიცხოს საგადასახადო ორგანოში თანამშრომლის სახელით. ამ ვალდებულების შესასრულებლად, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების პირობები საშუალებას აძლევს კომპანიას დააკავოს წილობრივი ინსტრუმენტების ცვლადი რაოდენობა, რომელიც ტოლია თანამშრომლის საგადასახადო ვალდებულების ფულადი ღირებულების, კაპიტალის ინსტრუმენტების მთლიანი რაოდენობიდან, რომლებიც სხვაგვარად გამოშვებული იქნებოდა დასაქმებულისთვის აქციებზე დაფუძნებული გადახდის განხორციელებისას (ანუ აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებას აქვს „ნეტო ანგარიშსწორების ფუნქცია“). ოპერაცია მთლიანად კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალით ანგარიშსწორებული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, თუ ის ამგვარად კლასიფიცირდებოდა წმინდა ანგარიშსწორების მახასიათებლის არარსებობის შემთხვევაში.

**ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ.** ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ ცვლილებების შეტანა უნდა დაამტკიცოს მან, ვინც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა გამოსაცემად.

ქეთევან ჭყეუპჭივი

**4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას**

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

**ფუნქციონირებადი საწარმო.** ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოაწადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა ფინანსური ბაზრების ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

როგორც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს, კომპანიას გააჩნია სასესხო საშუალებების მაღალი წილი, თუმცა ლიკვიდობის კოეფიციენტები გაუმჯობესდა. ეს იმის გამო ხდება, რომ კომპანიის ნასესხები სახსრების ნაშთი შემცირდა 2021 წლის განმავლობაში. სასესხო საშუალებების მაღალი წილი განპირობებულია იმით, რომ კომპანიას ნასესხები აქვს სახსრები მშობელი კომპანიისგან უვადოდ. კომპანიამ მშობელი საწარმოსგან მიიღო მხარდაჭერის წერილი, რათა დარწმუნდეს, რომ ის გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

**დაკავშირებული მხარეების ოპერაციების თავდაპირველი აღიარება** ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას კომპანია ოპერაციებს ახორციელებს მასთან დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი რეალური ღირებულებების საფუძველზე. განსჯა გამოიყენება იმისათვის, რომ განისაზღვროს ოპერაციების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით განისაზღვრება არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ემყარება დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ოპერაციების ფასებსა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებული მხარეების ნაშთების პირობები განმარტებულია მე-7 შენიშვნაში.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა** ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებელი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (a) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (b) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (c) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება.

დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ განხორციელებული დაშვებებისგან 10%-ით, 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა იქნებოდა მისი 1,179 ათასი ლარით ზრდა ან 964 ათასი ლარით შემცირება. (2020 : 964 ათასი ლარით ზრდა ან 660 ათასი ლარით შემცირება).

*ბიუსიან ზუციშვილი*

**4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)**

**აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება.** იჯარის პირობის განსაზღვრებისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ისეთ ეკონომიკურ წამახალისებელს, რომელიც საშუალებას იძლევა ან გაგრძელების შესაძლებლობის გამოყენების, ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოყენების. გაგრძელების შესაძლებლობები (ან შეწყვეტის შემდეგ პერიოდის შესაძლებლობები) შეყვანილია მხოლოდ იჯარის იმ პირობაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა შეიძლება გაგრძელდეს (ან არ შეწყდეს).

**გაგრძელების და შეწყვეტის შესაძლებლობები** შეყვანილი კომპანიის ყველა იჯარაში. ეს პირობები გამოიყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებულ აქტივებთან დაკავშირებით. იჯარის პირობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ისეთ ეკონომიკურ წამახალისებელს, რომელიც საშუალებას იძლევა ან გაგრძელების შესაძლებლობის გამოყენების, ან შეწყვეტის შესაძლებლობის არ გამოყენების. გაგრძელების შესაძლებლობები (ან შეწყვეტის შემდეგ პერიოდის შესაძლებლობები) შეყვანილია მხოლოდ იჯარის იმ პირობაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა შეიძლება გაგრძელდეს (ან არ შეწყდეს). შენობა ნაგებობების იჯარისთვის, ჩვეულებრივ, ყველაზე რელევანტური შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტის შემთხვევაში (ან არ გაგრძელების) კომპანიას, ჩვეულებრივ, გააჩნია გონივრული რწმუნება გაგრძელების შესახებ (ან არ შეწყვეტის)
- სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, რაც მოიცავს ისტორიულ იჯარის ხანგრძლივობას და ღირებულებას და წარმოების შეჩერებას, რომელიც მოითხოვება იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად.

იჯარის პირობა გადაფასდება თუ ეს შესაძლებლობა ფაქტობრივად გამოყენებულია (ან არ არის გამოყენებული) ან, თუ კომპანია ხდება ვალდებული გამოიყენოს (ან არ გამოიყენოს) ის.

**იჯარის ვალდებულების განსასაზღვრად გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი.** კომპანია იყენებს მის დისკრეციულ სასესხო განაკვეთს, როგორც დისკონტირების განაკვეთის გაანგარიშების საფუძველს, იმიტომ, რომ იჯარაში ნაგულისხმევი არ შეიძლება მზად განისაზღვროს.

დისკონტირების განაკვეთში 10%-იანი ზრდა ან შემცირება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედეგად გამოიღებდა იჯარის ვალდებულებების ზრდას ან შემცირებას 539 ათასი ლარის ოდენობით (2020 წლის 31 დეკემბერი: 671 ათასი ლარი).

*ქეთევან ჭეიჭუაძე*

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

**COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობაზე ფასს 16-ში შეტანილი ცვლილება, რომელიც გამოიყენა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ.** ეს შესწორება მოიჯარეს აბლევს შედავას, არჩევითი გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ აწარმოონ საიჯარო ქირის დათმობის აღრიცხვა ისე, თითქოს ისინი არ წარმოადგენდეს იჯარის მოდიფიკაციას. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ საიჯარო ქირის დათმობებზე, რომლებიც წარმოიქმნება, როგორც COVID-19 პანდემიის პირდაპირი შედეგი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: იჯარის გადახდების ცვლილებას შედეგად მოჰყვა იჯარის საზღაურის გადახედვა, რომელიც არსებითად იგივეა, ან ნაკლები, ვიდრე იჯარის საზღაური, რომელიც უშუალოდ ცვლილებამდე არსებობდა; იჯარის გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე; და იჯარის სხვა პირობებში არ ხორციელდება არსებითი ცვლილება.

თუ მოიჯარე ირჩევს პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას იჯარაზე, ის გამოიყენებს პრაქტიკულ მიზანშეწონილობას თანმიმდევრულად ყველა საიჯარო კონტრაქტზე მსგავსი მახასიათებლებით და მსგავსი გარემოებებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტულად, ბასს 8-ის შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ განაახლონ წინა პერიოდის მაჩვენებლები ან წარმოადგინონ განმარტება ბასს 8-ის 28(ე) პუნქტის შესაბამისად. საწარმო ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსური ანგარიშგებაზე.

**საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -თვის (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი საბაზისო ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლას. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- **IBOR- ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:** ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს, რომ საწარმომმა გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვევლებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად, სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამოწვევი იჯარის მოდიფიციების აღრიცხვისას, მოიჯარეებსაც იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ. **ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშუალო პერიოდის დასრულების თარიღი:** მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშუალო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება. რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.

*ქეთევან ზეიოქაძე*

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

- დამატებითი დროებითი გამოთვლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან: მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ზასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.
- IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა.

**IBOR-ის რეფორმის გავლენა.** სხვადასხვა ზანკთაშორის შეთავაზებული განაკვეთების („IBOR“) რეფორმა და ჩანაცვლება მარეგულირებელთა პრიორიტეტად იქცა. IBOR ტარიფების უზეტესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის, ხოლო გარკვეული აშშ დოლარის LIBOR ტარიფების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისისთვის.

მოუხედავად იმისა, რომ კომპანიას ჰქონდა სესხი IBOR განაკვეთით მშობელი კომპანიისგან, ცვლილებები არ მომხდარა 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, შესაბამისად, ცვლილებები არ ახდენს გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები**

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

**ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).** ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).** ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისათვის).** შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად, ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

*ქეთევან ზუციუაძე*

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- საბელშეკრულებო მომსახურების მარეა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით. ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების“ ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან ჯგუფისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფის მომსახურების მარეა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა, ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ხარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

ქეთევან ჭეიფიძე



6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად – ცვლილებები ბასს 1-ში 1 (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ მცირე მასშტაბის ცვლილებებით განმარტებულია, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც არსებობს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულება გრძელვადიანია, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს აქვს არსებითი უფლება, რომ ვალდებულების დაფარვა გადაავადოს სულ მცირე თორმეტი თვით, სახელმძღვანელო მითითებებით აღარ მოითხოვება, რომ მსგავსი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის თაობაზე, საბოლოოდ გამოიყენებენ თუ არა ანგარიშწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმო ყველა შესაბამის პირობას აკმაყოფილებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, თუ რომელიმე პირობა დაირღვევა საანგარიშგებო თარიღით ან მანამდე, თუნდაც ამ პირობაზე უარი მომდინარეობდეს გამსესხებლისგან, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. ამასთან, ცვლილებები მოიცავს იმ ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს მისი კაპიტალში კონვერტირებით. 'დაფარვა' განმარტებულია, როგორც ვალდებულების აღმოფხვრა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებშიც ეკონომიკური სარგებელია განივთებული, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. გამოწვევის არსებობს კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კაპიტალში კონვერტირდეს, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთა კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს 1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი, თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ქეთევან ჭყეიძე

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

შემოსულობა გამიზნულ გამოყენებამდე; წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები, მინიშნება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - მცირემასშტაბიანი ცვლილებები ბასს 16-ში, ბასს 37-სა და ფასს 3-ში, და ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები, 2018-2020 – ცვლილებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-სა და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს, ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 16-ში ცვლილებით აკრძალულია საწარმოს მიერ ძირითადი საშუალებების ღირებულებიდან იმ შემოსავლის გამოქვითვა, რომელიც მიღებულია ისეთი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან, რომელთაც საწარმო გამიზნული დანიშნულებით ამზადებს. მსგავსი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების დანახარჯებთან ერთად, მოგება-ზარალში აღიარდება. საწარმო ბასს 2-ს გამოიყენებს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ შეიცავს იმ აქტივის ცვეთას, რომლის ტესტირებაც მიმდინარეობს, რადგან ის შუად არ არის გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის. ბასს 16-ში ცვლილებით ასევე განმარტებულია, რომ აქტივის ტექნიკური და ფიზიკური შედეგების შეფასებისას საწარმო ახორციელებს ტესტირებას, რათა დაადგინოს აქტივი სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა“. აქტივის ფინანსური შედეგები შეუსაბამოა ამ შეფასებისთვის. ამგვარად, აქტივი შეიძლება ვარგისი იყოს ხელმძღვანელობის მიერ გამიზნული დანიშნულებით გამოყენებისთვის და მას ცვეთა ერიცხებოდეს მანამ, სანამ ის მიაღწევს საოპერაციო შედეგების დონეს, რომელსაც ხელმძღვანელობა მოელოს.

ბასს 37-ში ცვლილებით განმარტებულია განმარტებულია „ხელშეკრულების შესრულების დანახარჯების“ მნიშვნელობა. ახსნილია, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ამ ხელშეკრულების შესრულების ნაზარდ დანახარჯებს; ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა დანახარჯების განაწილებას. ცვლილებაში განმარტებულია ასევე, რომ წამგებიანი ხელშეკრულებისთვის ცალკე ანარიცხის გაკეთებამდე საწარმო აღიარებს იმ აქტივების გაუფასურების ზარალს, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ ხელშეკრულების შესრულებისთვის, ნაცვლად ამ ხელშეკრულებისთვის გამოყოფილი აქტივებისა.

ფასს 3-ში ცვლილება შევიდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან მიმართებით, რათა განისაზღვროს აქტივი ან ვალდებულება საწარმოთა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე ფასს 3 ეყრდნობოდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს. ამასთან, ფასს 3-ს ახალი გამოწვევის დამატა ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებებისთვის.

გამონაკლისი გულისხმობს, რომ საწარმომ, რომელიც ფასს 3-ს იყენებს, ზოგიერთი სახის ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებთან მიმართებით უნდა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21, ნაცვლად 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებისა. ამ ახალი გამოწვევისის გარეშე საწარმო ისეთ ვალდებულებებს აღიარებდა საწარმოთა გაერთიანებაში, რომლებსაც ის არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. ამგვარად, საწარმოს შემენისთანავე მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და შემოსულობის აღიარება, რომელიც ეკონომიკურ შემოსულობას არ წარმოადგენს. ამასთან, განმარტებულია, რომ შემქმნმა პირობითი აქტივები არ უნდა აღიაროს შემენის თარიღით, როგორც ბასს 37-ში არის განმარტებული.

ფასს 9-ში შეტანილი ცვლილება ეხება იმის განსაზღვრას, რომელიც საზღაური უნდა შევიდეს ფინანსური ვალდებულებების აღიარებისთვის ჩატარებულ 10%-ის ტესტში. ღირებულება ან საზღაური შეიძლება გადახდის იქნეს მესამე მხარის ან გამსესხებლისთვის. ამ ცვლილების მიხედვით მესამე მხარისთვის გადახდილი ღირებულება ან საზღაური არ უნდა შევიდეს აღნიშნული 10%-ის ტესტში.

*ქეთევან ჭყეიშვილი*

**6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)**

ცვლილება შევიდა მე-13 საილუსტრაციო მაგალითში, რომელიც თან ერთვის ფასს 16-ს, რათა ამოღებულიყო საიჯარო ქონების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით შეიჯარის მიერ განხორციელებული გადახდების ილუსტრირება. ამ ცვლილების მიზეზია იჯარის სტიმულირების გადახდების აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გამორიცხვა.

ფასს 1-ით ნებადართულია გამონაკლისის გამოყენება, თუ შეილოზილი საწარმო ძირითად საწარმოზე გვიან მიიღებს ფასს-ებს. შეილოზილი საწარმოს შეუძლია თავისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით შეფასება, რაც აისახება ძირითადი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ ყოფილა შეტანილი კონსოლიდირების პროცედურებისთვის და საწარმოთა იმ გერთიანების უფექტისთვის, რომლის ფარგლებში ძირითადმა საწარმომ შეიძინა შეილოზილი საწარმო. ფასს 1-ში ცვლილება შევიდა, რათა საწარმოებს, რომლებმაც ფასს 1-ის აღნიშნული გამონაკლისით ისარგებლეს, შეძლებოდათ ასევე კუმულაციური გადაყვანის სხვაობების შეეფასებინათ ძირითადი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხებით, ძირითადი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის აღნიშნული ცვლილება ვრცელდება ზემოაღნიშნულ კუმულაციურ გადაყვანის სხვაობებზე, რათა შემცირდეს პირველად შემომღებთა დანახარჯები. ეს ცვლილება ვრცელდება ასევე მკვავშირე საწარმოებსა და ერთოზლივ საქმიანობებზე, რომლებიც ფასს 1-ის იგივე გამონაკლისით სარგებლობენ.

ამოღებულ იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომ რეალური ღირებულების ბასს 41-ის მიხედვით შეფასებისას გამოერიცხათ ფულადი ნაკადები დაბეგვრისთვის. ამ ცვლილების მიზანია სტანდარტის იმ მოთხოვნასთან შესაბამისობა, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დაბეგვრის შემდეგ საფუძველზე დისკონტირებას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

**ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე).** ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამყდავენება საკირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამყდავენდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების შზარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხო პოლიტიკის გამყდავენებისას. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

*ქოვან ზეიუაჭი*

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები- შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია 2021 წლის 1 აპრილს, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

გადვადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვეველობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. კომპანია ამჟამად აფასებს ას შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის აღწერილი, არ არის მოსალოდნელი, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქეთევან ჭეიშაძე

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

გადასვლის ოფციონი მზღვეველებსთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გააუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემა უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ არ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ქაიჯან ჭეიფაძე

**7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიის უშალო მშობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე განმარტებულია პირველ შენიშვნაში. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	16,308	38,442
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ***	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,015	320
ნასესხები სახსრები**	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	70,582	79,314

შემოსავლებისა და დანახარჯები მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შემდეგია:

ათასი ლარი	ურთიერთობა	2021	2020
მომსახურების გაყიდვა*	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	145,139	94,652
წედლეულისა და მასალების გაყიდვა ***	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	175	-
საპროცენტო ხარჯი**	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	1,317	1,458

კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულ მხარეებთან ხორციელდება. კერძოდ:

\* მომსახურების გაყიდვები. კომპანია მომსახურებას ეწევა Evolution Malta Ltd-თან ხელმოწერილი „მომსახურების შეთანხმების“ ფარგლებში (შენიშვნა 1), რომლითაც განისაზღვრება ასევე გარიგების ფასი. Evolution Malta Ltd არის კომპანიის მომსახურების ერთადერთი მომხმარებელი.

\*\* ნასესხები სახსრები. კომპანიამ 2017 წელს Evolution Malta Ltd-თან სასესხო ხელშეკრულებას და მის დანართს 2019 წლის 2 იანვარს მოაწერა ხელი, რაც, მას EUR 20,000 ათასის ოდენობით ფულადი სახსრების სესხად აღების საშუალებას აძლევს. ამ ფინანსური ვალდებულების საპროცენტო განაკვეთია წლიური 2%, მიმატებული 12-თვიანი EURIBOR (თუ EURIBOR უარყოფითი არ არის).

\*\*\* საქონლის გაყიდვები. კომპანიამ დაიწყო უნიფორმების გაყიდვა საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებზე.

**მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება.** კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელი პირები, რომლებიც წარმოდგენილია ორი დირექტორით, ჯგუფის დონეზე დირექტორთა საბჭოს წევრები არიან და შესაბამისად, ანაზღაურებას ჯგუფისგან იღებენ.

**8 ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	საიჯარო ქონების გაუმჯობესე ბა	სტუდიის ტექნიკური მოწყობილო ბენი	სერვერები და სხვა საინფორმა ციო ტექნოლოგ იური მოწყობილ ობები	საოფის ე ავეჯი და სხვა მოწყობ ილობე ბი	CIP* და დაუმონ ტაჟებ ლი აღჭურვ ილობა	სულ
თვითღირებულება 2020 წ. 1 იანვარს დატროვილი ცვთა	14,284 (1,530)	9,638 (2,229)	4,949 (1,333)	2,706 (851)	4,965 -	36,542 (5,943)
<b>საბალანსო ღირებულება 2020 წ. 1 იანვარს</b>	<b>12,754</b>	<b>7,409</b>	<b>3,616</b>	<b>1,855</b>	<b>4,965</b>	<b>30,599</b>
დამატებები გასვლა	12,064 -	5,544 (101)	1,904 (91)	1,994 (32)	2,433 -	23,939 (224)
ცვთის ხარჯი ცვთა გასვლისას	(2,144) -	(2,939) 39	(1,463) 35	(999) 20	- -	(7,545) 94
<b>საბალანსო ღირებულება 2020 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>22,674</b>	<b>9,952</b>	<b>4,001</b>	<b>2,838</b>	<b>7,398</b>	<b>46,863</b>
თვითღირებულება 2020 წ. 31 დეკემბერს დატროვილი ცვთა	26,348 (3,674)	15,081 (5,129)	6,762 (2,761)	4,668 (1,830)	7,398 -	60,257 (13,394)
<b>საბალანსო ღირებულება 2020 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>22,674</b>	<b>9,952</b>	<b>4,001</b>	<b>2,838</b>	<b>7,398</b>	<b>46,863</b>
დამატებები გასვლა	6,196 -	4,425 (217)	1,293 (142)	1,594 (192)	2,519 -	16,027 (551)
ტრანსფერები ცვთის ხარჯი ცვთა გასვლისას	8,465 (3,909) -	135 (4,081) 160	184 (1,714) 117	207 (1,430) 160	(8,991) - -	- (11,134) 437
<b>საბალანსო ღირებულება 2021 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>33,426</b>	<b>10,374</b>	<b>3,739</b>	<b>3,177</b>	<b>926</b>	<b>51,642</b>
თვითღირებულება 2021 წ. 31 დეკემბერს დატროვილი ცვთა	41,011 (7,585)	19,406 (9,032)	8,095 (4,356)	6,273 (3,096)	926 -	75,711 (24,069)
<b>საბალანსო ღირებულება 2021 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>33,426</b>	<b>10,374</b>	<b>3,739</b>	<b>3,177</b>	<b>926</b>	<b>51,642</b>

დაუმთავრებელი მშენებლობა 2021 წლის 31 დეკემბერს მოიცავდა სტუდიების მშენებლობასა და დაქირავებული შენობების რემონტს. ძირითადი საშუალებებისთვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აზარტული თამაშების ახალ სტუდიებთან.

*ქეთევან ჭყეიძე*

**9 აქტივების გამოყენების უფლება და იჯარის ვალდებულებები**

კომპანია იჯარით იღებს ოფისს, სტუდიის ფართებსა და პირდაპირი ტრანსლაციისთვის საბაზისო სადგურს. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, იდება ფიქსირებულ პერიოდებზე- 8-დან 10 წლამდე, მაგრამ შესაძლებელია გააჩნდეს გაგრძელების შესაძლებლობაც.

ათასი ლარი	შენიშვნა-წაგებობები	საბაზისო სადგური	სულ
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	14,518	3,581	18,099
დამატებები ცვეთის ხარჯი	4,785 (2,442)	- (754)	4,785 (3,196)
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	16,861	2,827	19,688
დამატებები ცვეთის ხარჯი	8,547 (2,793)	- (751)	8,547 (3,544)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს	22,615	2,076	24,691

კომპანიის მიერ აღიარებული იჯარის ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	3,840	3,341
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულებები	23,558	22,861
<b>სულ იჯარის ვალდებულებები</b>	<b>27,398</b>	<b>26,202</b>

2021 წლის ფინანსურ ხარჯებში შესული საპროცენტო დანახარჯი შეადგენს 1,870 ათას ლარს. (2020: 1,859 ათასი ლარი).



**10 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

ათასი ლარი	2021	2020
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 7)	16,308	38,442
სხვა ფინანსური მოთხოვნები	1,427	717
<b>სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში</b>	<b>17,735</b>	<b>39,159</b>
აენსად გადახდილი	1,639	926
<b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>19,374</b>	<b>40,085</b>

სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებულია ევროში.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს, რომელიც გულისხმობს დაფარვის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საკრედიტო ზარალის ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის უშნიშვნელო იყო, აღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ მე-3 შენიშვნაში.

სულ სავაჭრო და სხვა ფინანსური დავალიანებების ნაშთები 2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს არც ვადაგადაცილებული იყო და არც გაუფასურებული. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის საკრედიტო ხარისხი მაღალია, ხოლო მოსალოდნელი საკრედიტო რისკი კი დაბალი.

**11 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ათასი ლარი	2021	2020
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	26,888	8,491
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>26,888</b>	<b>8,491</b>

2021 წლის 31 დეკემბერს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების მთლიანი ნაშთიდან 25,504 ლ (2020: ლ 7,020) გამოსახული იყო ევროში, დანარჩენი ნაშთები გამოსახული იყო ლარში.

31 დეკემბერს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება Fitch-ის რეიტინგის მიხედვით:

ათასი ლარი	2021	2020
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული - BB- რეიტინგი	26,888	8,491
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს</b>	<b>26,888</b>	<b>8,491</b>

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები შეყვანილი პირველ ეტაპში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ამ ნაშთებისთვის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნულია.

*ქეთევან ზეციურაძე*

**12 საწესდებო კაპიტალი**

2017 წლის 29 მაისით დათარიღებული წესდების მიხედვით კომპანიის სააქციო კაპიტალი განისზღვრა 1 ლარით.

**13 აქციებზე დაფუძნებული გადახდები**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის განმავლობაში, Evolution Gaming Group AB-ს ჰქონდა აციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები Evolution Georgia-ს თანამშრომლებთან. შეთანხმებების დეტალები აღწერილია ქვემოთ:

შეთანხმება	მთავარი აღმასრულებლებისთვის მინიჭებული აქციის ოფციონები
შეთანხმების ბუნება:	
რომელიც მინიჭებულია	აქციის ოფციონის მინიჭება
მინიჭების თარიღი	ევოლუშენ ჯორჯიას
მინიჭებული ინსტრუმენტების რაოდენობა	თანამშრომლებისთვის
აღსრულების ფასი	2021 წლის 02 მარტი
აქციის ფასი მინიჭების დღეს	96,793
ხელშეკრულების ვადა (წლებში)	€ 438
უფლების გადაცემის პირობები	€ 337
ანგარიშსწორება	3 წელი
ოფციონის მოსალოდნელი ვადა მინიჭების თარიღით (წლები)	3-წლიანი მომსახურების პერიოდი
სტანდარტის მოთხოვნებიდან მოსალოდნელი გადახვევა (მინიჭების თარიღი)	აქციები
თითოეული მინიჭებული ინსტრუმენტის რეალური ღირებულება მინიჭების თარიღით	3 წელი
შეფასების მოდელი	0% 3 წლის განმავლობაში
	€ 28.55
	Black-Scholes

აქციების ოფციონები მინიჭებულია არჩეულ თანამშრომლებზე აქციის ოფციონის აღმასრულებელი სქემა 2021-2024-ის მიხედვით. აქციებზე დაფუძნებული წამახალისებელის 2021-2024 გეგმის/სქემის მიხედვით, თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ აქციები 30%-იანი ფასდაკლებით. მინიჭებული ოფციონების აღსრულების ფასი 438 ლარია.

ოფციონები განპირობებულია თანამშრომლის 3 წლიანი მუშაობის დასრულებით. ოფციონების გამოყენება შესაძლებელია გაცემის დღიდან სამი წლის შემდეგ, ოფციონებს აქვთ 3 წლიანი სახელშეკრულებო ოფციონის ვადა. კომპანიას არ აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება ხელახლა შეისყიდოს ან მოახდინოს ოფციონების ანგარიშსწორება ნაღდი ანგარიშსწორებით

აქციებისა და აქციების ოფციონების რეალური ღირებულება გამოთვლილია Black-Scholes ოფციონის ფასწარმოქმნის მოდელის გამოყენებით.

*ქეთევან ჭყეიძე*

13 აქციებზე დაფუძნებული გადახდები (გაგრძელება)

ცვლილებები დაუფარავი აქციის ოფციონების რაოდენობასა მათთან დაკავშირებული შეწონილი საშუალოს აღსრულების ფასებში შემდეგია:

	2021		2020	
	შეწონილი საშუალოს საშუალო აღსრულების ფასი თითოეულ აქციაზე	აქციის ოფციონები (ათასობით)	შეწონილი საშუალო აღსრულების ფასი თითოეულ აქციაზე	აქციის ოფციონები (ათასობით)
დაუფარავი 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-
მინიჭებული უფლებადაკარგული აღსრულებული ვადაგასული ცვლილებებისა და გაუქმების ეფექტი	438	97	-	-
დაუფარავი 31 დეკემბრის მდგომარეობით	438	97	-	-
აღსრულებადი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-

2021 წლის პერიოდში მინიჭებული ოფციონების საშუალო შეწონილი რეალური ღირებულება იყო 438 ლარი თითო ოფციონზე (2020: 0 ლარი).

2020 წლის და 2021 წლის განმავლობაში ოფციონების აღსრულება არ განხორციელებულა.

დაუფარავი აქციის ოფციონები (ათასებში) წლის ბოლოს:

აღსრულები ს ფასის დიაპაზონი	2021				2020			
	შეწონილი საშუალო აღსრულების ფასი	ოფციონების რაოდენობა	შეწონილი საშუალო დარჩენილი მომსახურების ვადა მოსალოდნელი	შეწონილი საშუალო დარჩენილი მომსახურების ვადა საკონტრაქტო	შეწონილი საშუალო აღსრულების ფასი	ოფციონების რაოდენობა	შეწონილი საშუალო დარჩენილი მომსახურების ვადა მოსალოდნელი	შეწონილი საშუალო დარჩენილი მომსახურების ვადა საკონტრაქტო
€ 438	€ 438	97	26 თვე	26 თვე	-	-	-	-

შეფასების მოდელში შეყვანილი მნიშვნელოვანი ამოსავალი მონაცემები იყო:

37  
ქეთევან ჭყეიძე

13 აქციებზე დაფუძნებული გადახდები (გაგრძელება)

შეთანხმება	მთავარი აღმასრულებლებისთვის მინიჭებული აქციის ოფციონები	
	2021	2020
მოსალოდნელი მერყეობა	33%	-
ურისკო საპროცენტო განაკვეთი	(0.4)%	-
მოსალოდნელი დივიდენდი (დივიდენდური შემოსავლიანობა)	1.2%	-

მერყეობა, რომელიც ფასდება აქციების უწყვეტად დარიცხვადი რთული შემოსავლებიდან სტანდარტული გადახრის მეშვეობით, ეფუძნება ბოლო 3 წლის განმავლობაში აქციების ყოველდღიური ფასის მოძრაობის სტატისტიკურ ანალიზს. ურისკო განაკვეთი მიღებულ იქნა, როგორც შემოსავლიანობა შედეგების სახელმწიფო სახაზინო ობლიგაციებზე, რომელთა დაფარვის ვადის თარიღი მიახლოებულია აქციის ან აქციების ოფციონის უფლების გადაცემის მოსალოდნელ ან კონტრაქტით გათვალისწინებულ დაფარვის თარიღთან, როგორც გამოქვეყნებულია აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღზე. აქციების რეალური ღირებულება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებშიც აქციები გაიცემა, დაფუძნებულია კოტირებული აქციის ფასზე.

მთლიანი დარიცხვა მოგება-ზარალზე იყო შემდეგი:

ხარჯი	2021	2020
	დირექტორები და დაქირავებული პერსონალი	დირექტორები და დაქირავებული პერსონალი
წილობრივი ანგარიშსწორების შეთანხმებები	2,166	-
სულ ხარჯი	2,166	-
სულ ხარჯი, გადავადებული გადასახადის შემდეგ	2,166	-

*ქეთევან ჭყეიძე*

**14 ნასესხები სახსრები**

ათასი ლარი	2021	2020
დაკავშირებული მხარეებისგან ნასესხები სახსრები (მე-7 შენიშვნა)	70,582	79,314
<b>სულ ნასესხები სახსრები 31 დეკემბერს</b>	<b>70,582</b>	<b>79,314</b>

ნასესხები სახსრების მთლიანი თანხა მოპოვებულია შპს Evolution Malta- სგან და დენომინირებულია ევროში. 2020 წლის 2 იანვრით დათარიღებული ზოგადი სასესხო ხელშეკრულების ცვლილების თანახმად, დაფარვის ვადა შეიცვალა 2021 წლის 31 დეკემბრიდან განუსაზღვრელი ვადით და შედეგად, მთლიანი ნასესხები სახსრები კლასიფიცირებულია როგორც მიმდინარე.

კომპანიის ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სახელშეკრულებო ფასების ხელახალი განსაზღვრის თარიღები გამჟღავნებულია 22-ე შენიშვნაში.

*ჩიორან ზევიძაძე*

**15 საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განმარტებულია იმ ვალდებულებების ანალიზი, რომელიც საფინანსო საქმიანობიდან არის წარმოქმნილი და ასევე ასახავს კომპანიის საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების მოძრაობას ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები წარმოადგენს იმ მუხლებს, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში მოხსენებულია როგორც საფინანსო:

ათასი ლარი	ნასესხები სახსრები	ოჯარის ვალდებულებებ ი	სულ
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	55,696	19,871	75,567
<b>ფულადი ნაკადები</b>			
სესხის შემცირება	8,005	-	8,005
ძირი თანხის დაფარვა	-	(2,299)	(2,299)
პროცენტის გადახდები	-	(1,928)	(1,928)
<b>უნადო ცვლილებები</b>			
პროცენტის დარიცხვები	1,458	1,928	3,386
ახალი ოჯარები	-	4,785	4,785
სავალუტო კორექტირებები	14,155	3,846	18,001
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	79,314	26,203	105,517
<b>ფულადი ნაკადები</b>			
სესხის შემცირება	-	-	-
ძირი თანხის დაფარვა	-	(3,428)	(3,428)
პროცენტის გადახდები	-	(1,870)	(1,870)
<b>უნადო ცვლილებები</b>			
პროცენტის დარიცხვები	1,317	1,870	3,187
ახალი ოჯარები	-	6,822	6,822
სავალუტო კორექტირებები	(10,049)	(2,199)	(12,248)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	70,582	27,398	97,980

*ქეთევან ჭყავიჭავჭავაძე*

**16 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

ათასი ლარი	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	2,405	2,470
ვალდებულებები შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის	308	246
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	1,967	1,112
<b>სულ ფინანსური ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ამორტიზირებული ღირებულებით</b>	<b>4,680</b>	<b>3,828</b>
დაქირავებული თანამშრომლების გასამრეკლოების დარიცხული ხარჯი	8,635	6,871
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>8,635</b>	<b>6,871</b>
<b>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>13,315</b>	<b>10,699</b>

**17 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

კომპანიის მთლიანი ამონაგები მოიცავს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ამონაგებს, რომელიც დროთა განმავლობაში აღიარდება. იხილეთ შენიშვნები 1 და 7.

ათასი ლარი	2021	2020
დროთა განმავლობაში აღიარებული მომსახურების რეალიზაცია	145,139	94,652
დროის გარკვეულ მომენტში აღიარებული საქონლის რეალიზაცია	175	-
<b>სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან</b>	<b>145,314</b>	<b>94,652</b>

**18 სხვა ხარჯები, ნეტო**

ათასი ლარი	2021	2020
პერსონალის გართობა	962	728
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	869	345
საფოსტო, სატელეფონო, გადაზიდვები და დაზღვევა	739	838
უსაფრთხოების მომსახურება	710	579
სამედიცინო მასალები პერსონალისთვის	451	163
ქირავნობის ხარჯი	122	160
სადაზღვევო ხარჯები	119	22
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯები	118	33
სხვა	419	398
<b>სხვა ხარჯები, სულ, ნეტო</b>	<b>4,509</b>	<b>3,266</b>

*ჩიოკან ნუიუაჭიკა*

**19 საფინანსო შემოსავალი/(ხარჯი), ნეტო**

ათასი ლარი	2021	2020
სავალუტო შემოსულობა/(ზარალი) ნასესხები სახსრებიდან, შემცირებული შემოსულობებით, ნეტო	10,050	(14,155)
ფინანსური იჯარის საპროცენტო დანახარჯი	(1,870)	(1,928)
საპროცენტო ხარჯი	(1,317)	(1,458)
<b>სულ მოგება-ზარალში აღიარებული საფინანსო შემოსავალი/(ხარჯები)</b>	<b>6,863</b>	<b>(17,541)</b>

**20 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები**

**საგადასახადო კანონმდებლობა.** საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება.

საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია. აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში წარმოქმნას საგადასახადო რისკები, რომელიც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღით ხელმისაწვდომი არ არის საგადასახადო შემოწმების შედეგები. კომპანია საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო შემოწმებას დაექვემდებარა. საგადასახადო შემოწმების შედეგები კომპანიას ეცნობა 2021 წლის 17 დეკემბერს. საქართველოს შემოსავლების სამსახურმა კომპანიას საგადასახადო თანხები და მასთან დაკავშირებული ჯარიმები დააკისრა, ჯამურად 15,359 ათასი ლარის ოდენობით. კომპანიამ 2022 წლის 14 იანვარს გაასაჩივრა გადაწყვეტილება და ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გასაჩივრებას დადებითი შედეგები ექნება.

**სასამართლო დავა.** საანგარიშგებო თარიღით კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი არ არის რაიმე ფაქტობრივი ან მოსალოდნელი სასამართლო დავის საფრთხის შესახებ, ანუ ფინანსური ანგარიშგების თარიღით არ არსებობს სასამართლო დავის საფრთხე, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს კომპანიაზე.

**კლიმატის ცვლილების გათვალისწინება.** კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და ზრუნვა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ გამოეხმაურება მათ კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

*ქოვენი ტეიქსიუკი*



**21 ფინანსური რისკის მართვა**

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკსა და ლიკვიდობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ქვედანაყოფის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ქვედანაყოფების მიზანია იმის უზრუნველყოფა რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

**საკრედიტო რისკი.** კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის, თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ პარტნიორებთან ოპერაციების განხორციელების შედეგად, რაც გამომდინარეობს ძირითადად კომპანიის მომხმარებლების მოთხოვნებისგან.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

**საკრედიტო რისკის მართვა.** საკრედიტო რისკი კომპანიის სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა გულდასმით მართავს საკრედიტო რისკს.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და მოიცავს მოდელების გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და დროის გასვლის მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტის დადგომის ალბათობის დამატებით შეფასებებს, დაკავშირებულ ზარალის კოეფიციენტებისა და პარტნიორების დეფოლტის კორელაციებს.

ზღვრები. როგორც შენიშვნებში 1 და 7 არის ნაჩვენები, კომპანიას ერთადერთი მომხმარებელი ჰყავს-საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო – Evolution Malta Ltd-ის სახით. ანგარიშსწორების შეღავათიანი პერიოდია 30 დღე ანგარიშ-ფაქტურის თარიღიდან და 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბერს მთლიანი მოთხოვნების ნაშთები წარმოადგენდა მოთხოვნებს ამ კონკრეტული წლის ბოლო ანგარიშ-ფაქტურებისთვის. კომპანიას არა აქვს საკრედიტო ზარალის ისტორია. კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგში კომპანიის ხელმძღვანელობაც მონაწილეობს. სავაჭრო მოთხოვნებისთვის უზრუნველყოფა არ მოითხოვება.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფებისთვის:

ათასი ლარი	2021	2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 10)		
- სავაჭრო მოთხოვნები	16,308	38,442
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	1,427	717
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11)		
- მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	26,888	8,491
<b>სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი 31 დეკემბერს</b>	<b>44,623</b>	<b>47,650</b>

*ქეთევან ჭყავიძე*

**21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (ECL).** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეიტინგი ემყარება გაყიდვების გადახდების პროფილს 24 თვეზე მეტ პერიოდზე 2021 წლის 31 დეკემბრამდე ან, შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრამდე ასევე შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული ზარალის რეიტინგები კორექტირებულია იმ მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვისთვის, რომელიც ეხება მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს კლიენტების უნარზე, დაფარონ მოთხოვნები.

ისტორიული საკრედიტო ზარალი წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში არ არსებობდა. ხელმძღვანელობას არ გამოუყენებია მაკროეკონომიკური ფაქტორები შემდგომი ანალიზისთვის, რადგან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც ეფუძნება არარსებული საკრედიტო ზარალის სტატისტიკას, უმნიშვნელო იქნებოდა.

**საბაზრო რისკი.** კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთებთან და (გ) წილობრივ პროდუქტებთან რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

**სავალუტო რისკი.** ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის რისკი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

ათახი ლარი	2021 წ. 31 დეკემბერი			2020 წ. 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	1,266	(3,249)	(1,983)	1,467	(1,568)	(101)
აშშ დოლარი	1,427	(25,007)	(23,580)	717	(27,253)	(26,536)
ევრო	41,812	(74,404)	(32,592)	45,466	(80,523)	(35,057)
შვედური კრონა	118	-	118	-	-	-
<b>სულ</b>	<b>44,623</b>	<b>(102,660)</b>	<b>(58,037)</b>	<b>47,650</b>	<b>(109,344)</b>	<b>(61,694)</b>

შემდეგი ცხრილი ასახავს მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძობელობას საანგარიშო პერიოდის ბოლოს გამოყენებული გაცვლითი კურსების გონივრულ შესაძლო ცვლილებებზე კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებაში, ხოლო ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი :

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2021 წ. 31 დეკემბერი		2020 წ. 31 დეკემბერი	
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა კაპიტალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(4,716)	(4,716)	(5,307)	(5,307)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	4,716	4,716	5,307	5,307
ევროს გამყარება 20%-ით	(6,518)	(6,518)	(7,011)	(7,011)
ევროს გაუფასურება 20%-ით	6,518	6,518	7,011	7,011
შვედური კრონის გამყარება 20%-ით	23	23	-	-
შვედური კრონის გაუფასურება 20%-ით	(23)	(23)	-	-

რისკი გამოთვლილია მხოლოდ კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში გამოსახული ფულადი ნაშთებისთვის.

კომპანიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროსთან დაკავშირებული სავალუტო კურსების ცვლილებები. ეს ძირითადად განპირობებულია მნიშვნელოვანი ნასესხები სახსრების ნაშთით, რომელიც ევროშია გამოსახული. კომპანია აღნიშნულ რისკს შემდეგნაირად მართავს: (i) ამონაგების ინვოისები ევროში გამოისახება, ამგვარად, მოთხოვნა ევროთი იფარება; (ii) ძირითადი საშუალებების შესყიდვის ძირითადი ხელშეკრულებები ევროშია გამოსახული; და სხვა.

**საპროცენტო განაკვეთის რისკი.** კომპანიის წინაშეა ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობის გავლენის რისკი. საპროცენტო მარეები შეიძლება გაიზარდოს მსგავსი ცვლილებების გამო, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოიქმნას მოულოდნელი ცვლილებების შედეგად. ხელმძღვანელობა ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს და აწესებს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის იმ ცვლილების შესაბამისობის დონეზე, რომელიც შესაძლებელია განხორციელებული იყოს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში აგრეგირებულია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები და დაჯგუფებულია საპროცენტო განაკვეთის ხელახლა განსაზღვრის ან დაფარვის ვადის ამოწურვის თარიღების გათვალისწინებით:

21 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა მდე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	არაფულა დი	სულ
<b>2021 წ. 31 თიკომბრი</b>						
სოლო ფინანსური აქტივები	44,623	-	-	-	-	44,623
სოლო ფინანსური	(75,262)	(2,805)	(2,805)	(21,788)	-	(102,660)
<b>საპროცენტო მგრძობელობის წმინდა სხვაობა 2021 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>(30,639)</b>	<b>(2,805)</b>	<b>(2,805)</b>	<b>(21,788)</b>	<b>-</b>	<b>(58,037)</b>
<b>2020 წ. 31 თიკომბრი</b>						
სოლო ფინანსური აქტივები	47,650	-	-	-	-	47,650
სოლო ფინანსური	(83,142)	(2,542)	(2,542)	(21,118)	-	(109,344)
<b>საპროცენტო მგრძობელობის წმინდა სხვაობა 2020 წ. 31 დეკემბერს</b>	<b>(35,492)</b>	<b>(2,542)</b>	<b>(2,542)</b>	<b>(21,118)</b>	<b>-</b>	<b>(61,694)</b>

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანიის წინაშეა ფინანსურ ვალდებულებების ანგარიშსწორებისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდებასთან დაკავშირებული რისკი. ლიკვიდობის რისკის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიდგომა იმის უზრუნველყოფა, რომ რამდენადაც შესაძლებელია, ყოველთვის ჰქონდეს ლიკვიდობა თავისი ვალდებულებების დასაფარად, ანგარიშსწორების თარიღის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ისე სტრესულ პირობებში, გაუმართლებელი ზარალის მიღებისა და კომპანიის რეპუტაციის შელახვის რისკის ქვეშ დაყენების გარეშე.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებსა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებას. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბერს, დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადის მიხედვით. ცხრილში ნაჩვენებია არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხა ფიქსირებული არ არის, გამქლავებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ვითარების გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადასახდელი თანხები გადაყვანილია სპოტ სავალუტო კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

*ქეთევან ზუიკუაძე*

22 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნამ დე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>						
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	70,582	-	-	-	-	70,582
იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 9)	-	1,403	4,208	18,796	2,991	27,398
სავაჭრო ვალდებულება (შენიშვნა 16)	2,405	-	-	-	-	2,405
სხვა ფინანსური ვალდებულება (შენიშვნა 16)	2,275	-	-	-	-	2,275
<b>სულ სამომავლო გადახდები, პროცენტისა და ძირითადი თანხის ჩათვლით</b>	<b>75,262</b>	<b>1,403</b>	<b>4,208</b>	<b>18,796</b>	<b>2,991</b>	<b>102,660</b>

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნამ დე და 1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ვალდებულებები</b>						
ნასესხები სახსრები (შენიშვნა 14)	79,314	-	-	-	-	79,314
იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 9)	-	1,271	3,813	19,446	1,672	26,202
სავაჭრო ვალდებულება (შენიშვნა 16)	2,470	-	-	-	-	2,470
სხვა ფინანსური ვალდებულება (შენიშვნა 16)	1,358	-	-	-	-	1,358
<b>სულ სამომავლო გადახდები, პროცენტისა და ძირითადი თანხის ჩათვლით</b>	<b>83,142</b>	<b>1,271</b>	<b>3,813</b>	<b>19,446</b>	<b>1,672</b>	<b>109,344</b>

**22 კაპიტალის მართვა**

კომპანიას კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა არ აქვს, მაგრამ ცდილობს საკმარისი კაპიტალის ბაზა შეინარჩუნოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებებისთვის. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით და კომპანიის ამონაგების მუდმივი მონიტორინგით. კაპიტალის მართვის მიდგომასთან დაკავშირებით ცვლილება არ მომხდარა წლის განმავლობაში. კომპანია არ ექვემდებარება გარედან განსაზღვრულ კაპიტალის მოთხოვნებს.

**23 რეალური ღირებულების შეფასება**

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დააჯუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

*აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება გამჟღავნებულია*

აქტივების რეალური ღირებულებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის:

	2021 წ. 31 დეკემბერი				2020 წ. 31 დეკემბერი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	სამაღალ სო ღირებულება	1-ლი დონის რეალური ღირებულება	მე-2 დონის რეალური ღირებულება	მე-3 დონის რეალური ღირებულება	სამაღალ სო ღირებულება
<b>ათასი ლარი</b>								
<b>აქტივები</b>								
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>								
<b>ამორტიზირებული ღირებულებით</b>								
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (შენიშვნა 11)	-	26,888	-	26,888	-	8,491	-	8,491
- სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 10)	-	-	16,308	16,308	-	-	38,442	38,442
- სხვა ფინანსური მოთხოვნები (შენიშვნა 10)	-	-	1,427	1,427	-	-	717	717
<b>სულ აქტივები</b>	-	<b>26,888</b>	<b>17,735</b>	<b>44,623</b>	-	<b>8,491</b>	<b>39,159</b>	<b>47,650</b>

*ქეთევან ზუციანაძე*

23 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

იმ ვალდებულებების, რომლებიც არ ფასდება რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ანალიზი, რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2021 წ. 31 დეკემბერი				2020 წ. 31 დეკემბერი			
	1-ლი დონის რეალური ღირებულ ება	მე-2 დონის რეალური ღირებულ ება	მე-3 დონის რეალური ღირებულ ება	საბალანსო ღირებულ ება	1-ლი დონის რეალური ღირებულ ება	მე-2 დონის რეალური ღირებულ ება	მე-3 დონის რეალური ღირებულ ება	საბალანსო ღირებულ ება
<b>ვალდებულებებ</b>								
<b>ი</b>								
<b>ნასესხები</b>								
<b>სახსრები</b>								
- ნასესხები სახსრები დაკავშირებული მხარეებისგან (შენიშვნა 14)	-	-	70,582	70,582	-	-	79,314	79,314
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>								
- სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა 16)	-	-	2,405	2,405	-	-	2,470	2,470
- ვალდებულებები შეტანილი პირითადი საშუალებებისთვის (შენიშვნა 16)			308	308			246	246
- დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები (შენიშვნა 16)	-	-	1,967	1,967	-	-	1,112	1,112
<b>სულ ვალდებულებები</b>	-	-	<b>75,262</b>	<b>75,262</b>	-	-	<b>83,142</b>	<b>83,142</b>

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

49  
ქეთევან ჭყეიძე

**23 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები.** ფიქსირებულ-განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკზე.

**ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები.** ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებულ იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ. იმ ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც დასაფარია მოთხოვნამდე ან შეტყობინების შემდგომ პერიოდში („მოთხოვნადი ვალდებულებები“) შეადგენს მოთხოვნამდე გადასახდელ თანხას, დისკონტირებულს იმ პირველი თარიღიდან, როდესაც თანხის გადახდა შესაძლოა მოთხოვნილი იყოს. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები მერყობს წლიური 7.0 %-დან წლიურ 7.8 %-მდე, ვალდებულების ხანგრძლივობის და ვალუტის მიხედვით.

**24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

**ნასესხები სახსრები.** 2022 წლის 29 მარტს კომპანიამ განახორციელა ნასესხები სახსრების დაფარვა 7,010 ათასი ლარის ოდენობით.



“ევოლუმენ ჯორჯიას” წლიური ანგარიში, 2021

# კორპორაციული მართვის ანგარიში

ჩვენი ბიზნეს მოდელი, მისიის ხედვა  
და სტრატეგია

ჩვენი ზრდის სტრატეგია

ჩვენი საქმიანობა

კორპორაციული მართვა

მდგრადი განვითარების პოლიტიკა

სამართლიანი და შესანიშნავი დამსაქმებელი

“ევოლუმენ აკადემია”

ფინანსური მონაცემები



სტრატეგიული ანგარიში

ჩიორა ზუციანაძე



მოცემული დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს კომპანიის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და რაც ყველაზე მთავარია, კომპანიის განვითარების პოტენციალის ფაქტობრივ მარჯვენაღებს. აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიაში დამკვიდრებული კორპორაციული სტანდარტები.

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია "ევოლუშენ ჯორჯია" 2017 წლის 29 მაისს დაფუძნდა და აწარმოებს საქმიანობას საქართველოში. კომპანია რეგისტრირებულია საქართველოს რეგულაციების მიხედვით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ სარეგისტრაციო ნომრით 405209689.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო შპს Evolution Malta Holding Limited, მალტა (შემდგომში "მშობელი კომპანია") და კომპანიას არ ჰყავდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

შპს Evolution Malta Holding Limited ფლობს რამდენიმე სხვა კომპანიას მსოფლიოს მასშტაბით, ხოლო მისი მფლობელია Evolution Gaming Group AB (საჯარო), შვედური საჯარო კომპანია, რომელიც საფონდო ბირჟა Nasdaq Nordic Large Cap-ზე ივაჭრება 2017 წლის 5 ივნისიდან. Evolution Gaming ჯგუფი (ჯგუფი) და მასში შემავალი შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ლაივ-კაზინო (Live Casino) სისტემების წამყვან "ბიზნესი ბიზნესისთვის" (B2B) მომწოდებელს. ჯგუფი ქმნის, აწარმოებს, ბაზარზე წარადგენს და სათამაშო ოპერატორებისთვის გასცემს ლიცენზიებს სრულად ინტეგრირებულ ლაივ-კაზინო გადაწყვეტილებებზე. ის მხოლოდ საოპერაციო და განვითარების საქმიანობაშია ჩართული და არ ახორციელებს აზარტული თამაშების ოპერირებას.

"ევოლუშენ ჯორჯიას" არ აქვს ფილიალები და 2021, 2020, 2019, 2018 და 2017 წლებში არ ყოფილა ჩართული არანაირ კვლევისა და განვითარების საქმიანობაში.




*ქეთევან ჭყეიშვილი*

## ჩვენი ბიზნეს მოდელი, მისიის ხედვა და სტრატეგია

Evolution Gaming-ს აქვს სტუდიები რიგაში (ლატვია), თბილისში (საქართველო) და მალტაზე, სადაც მიმდინარეობს ოპერაციების უმეტესობა. დამატებით, კომპანიას აქვს სტუდიები ატლანტიკ სიტისა (აშშ) და ვანკუვერში (კანადა). კომპანია ასევე ამუშავებს სტუდიებს ადგილობრივად, არავირტუალურ კაზინოებში ბელგიაში, რუმინეთში, გაერთიანებულ სამეფოსა და ესპანეთში. ჯგუფის მშობელი კომპანია მდებარეობს სტოკჰოლმში, შვედეთი. დამატებითი ოფისები მდებარეობს, ლონდონში, გაერთიანებული სამეფო, ამსტერდამში, ნიდერლანდები და ტალინში, ესტონეთი.

### ჩვენი სტუდიები

„ევოლუშენს“ აქვს შვიდი სტუდია ევროპაში, სამი აშშ-ში და ერთი კანადაში. 2022 წლის განმავლობაში გაიხსნება ორი დამატებითი სტუდია ევროპაში და ერთი აშშ-ში



ჩუკუან      ჭეიუაჭეი

“ევოლუშენი” ქმნის და ავითარებს, ბაზარზე წარადგენს და ლიგენზიებს გასცემს სრულად ინტეგრირებულ ლაივ-კაზინო გადაწყვეტილებებს აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის. ლაივ-კაზინოში, თამაშის წარმდგენი ე.ი. დილერი მართავს თამაშს კაზინოს სათამაშო მაგიდიდან რომელზე თვალის დევნებაგ შესაძლებელია რეალურ დროში ვიდეო სტრიმინგის მეშვეობით. საბოლოო მომხმარებლები ე.ი. მოთამაშეები ფსონებს დებენ მათი მოწყობილობების მეშვეობით (კომპიუტერები, სმარტფონები, ტაბლეტები და ა.შ.)

“ევოლუშენი” B2B-ს მომწოდებელია, მისი ლაივ-კაზინო პლატფორმა უნიკალურია თავის სახეობებში და ფარავს აზარტული თამაშების ოპერატორების მიერ მოთხოვნილ ყველა ასპექტს-თამაშის წარმდგენების და სხვა პერსონალის დაქირავებიდან და მათთვის ტრენინგების ჩატარებიდან დაწყებული სტრიმინგით, წარმოებით, ზედამხედველობით, კლიენტების მომსახურებით და შემდგომი შედეგების შესწავლით დამთავრებული. ოპერატორებს სთავაზობენ სრულად მათზე მორგებულ გადაწყვეტილებას ადაპტირების მაღალი ხარისხით, როგორცაა სტანდარტული და VIP მაგიდები, გარემოს ვიზუალის კონტროლს და ერთგული დილერების გუნდებს. კომპანიას გააჩნია ძირითადი თამაშების ვრცელი პორტფელი, რაც მოიცავს ორივეს-კლასიკურ სამაგიდო თამაშებსა და ინოვაციურ კაზინო თამაშებს. სხვადასხვა თამაშების წარმოებულებიგ ხელმისაწვდომია, ე.ი. ძირითადი თამაშების ვარიაციები ახალი ტექნიკური გადაწყვეტილებებით და ახალი მინაარსით.

კაზინოს სერვისების ლაივ სტრიმინგი ხორციელდება კომპანიის მიერ ამენებული სტუდიების მეშვეობით, იჯარით აღებულ საკუთრებაში. კერძოდ, კომპანიის მიერ დაქირავებული თამაშების წარმდგენები, თამაშებს წარადგენენ კომპანიის სტუდიაში დამონტაჟებული სათამაშო აღჭურვილობის გამოყენებით, რაც ცოცხალი მაუწყებლობის მეშვეობით გადაეცემა მსს Evolution Malta-ს.



კომპანია ოპერირებს “ხარჯი+პლუსი” მეთოდით (ფასის დაწესების მეთოდი, რომელშიც გათვალისწინებულია დანახარჯის ჯამი პლუს მოგება, როგორც დანახარჯის ზემოთ მიღებული პროცენტი) და კომპანიის ამონაგები პირდაპირ უკავშირდება ზემოაღნიშნული მომსახურების გაწევისას გაწეულ ხარჯებს, რაც გაანგარიშებულია როგორც ხარჯს პლუს შეთანხმებული დანახარჯის ზემოთ მიღებული პროცენტი.

2017 წელს დაარსებიდან, კომპანია არის სათამაშო აღჭურვილობის შესყიდვის და დამონტაჟების, სათამაშო სტუდიების და აღმინისტრაციული ოფისის მშენებლობის, პერსონალის აყვანისა და ტრენინგების და ა.შ. პროცესში. კომპანიამ პირველი “ბლექჯეკის” მაგიდების ლაივ სტრიმინგი დაიწყო 2018 წლის 30 მარტს. 2018 წლის განმავლობაში, კომპანიამ წარადგინა შემდეგი თამაშები: “რულეტკა”, “ბლექჯეკი” და “ბაკარა”. 2019 წელს, “ევოლუშენმა” თავისი თამაშების სიას დაამატა “თოფ ქარდი”. 2021 წელს კომპანიამ შემდეგი თამაშები დაამატა: “სიქბო”, “დრეგონ თაიგერ”, “კაზინო პოლდემ”.

*ქეთევან ზევიკაძე*



▶▶ კლასიკური თამაში  
**ლაივ რულეტა**

კლასიკური თამაში, რომელიც "ევოლუშენის" ნაწილია დაარსებიდან. დილერი ისვრის ბურთს ბორბლის მბრუნავი მიმართულების საწინააღმდეგოდ და მომხმარებელი ფსონს დებს რიგზეზე, ფერსა თუ ორივეს კომბინაციაზე. პირვანდელ თამაშზე დამატებით, "ევოლუშენი" გვათავაზობს სხვადასხვა ფორმატს:

- მხრისული რულეტა
- სწრაფი რულეტა
- მეხვეტი მხრისული
- ამერიკული რულეტა, ორმაგი ზერი
- პრიატული სალონური რულეტა
- 13 მშობღერ ენაზე რულეტა
- ობზერვანტი რულეტა
- მინი ლაივ რულეტა
- სლინგული კეტი რულეტა

▶▶ კლასიკური თამაში  
**ლაივ ბლექჯეკი**

კიდევ ერთი კლასიკა, სადაც საბოლოო მომხმარებელი ცდილობს დააგროვოს ბანქო, რომლის ქულებიც უფრო აბლოა 21 რიგზეთან ვიდრე დილერის ბანქოს ქულები. "ევოლუშენის" ფსონების დადების სისტემა უფლებას აძლევს საბოლოო მომხმარებელს ფსონები დადონ იმათზე, ვინც მაგიდასთან ზის. არსებობს სხვადასხვა ფორმატები:

- პრიატული სალონური ბლექჯეკი
- ბლექჯეკი ზეაღები
- მხავალეფარი ვიპ ვარიანტები
- ნოუ კერტი ბლექჯეკი



▶▶ კლასიკური თამაში  
**ლაივ ბაკარა**

"ევოლუშენი" სთავაზობს ბაზარზე კაზინოსთან ყველაზე შიაცლოებულ ბაკარას გამოცდილებას გერცვის მარცვლის ფორმის მაგიდებით, მუქი ბანქოთი, "გზეებითა" და "სქვიზით" - რაც შესაძლებელია გაკონტროლდეს მომხმარებლების მიერ.

- ბაკარას პრიატული სალონი
- ბაკარა "სქვიზი"
- ბაკარას საკონტროლო "სქვიზი"
- სწრაფი ბაკარა
- ბაკარა საკომიონის გარეშე

*ქეთევან ჭყეუშვილი*

## ჩვენი ზრდის სტრატეგია



### აკეთო სწორად

ხარისხი და პატიოსნება ყველაფერშია, რასაც ვაკეთებთ, ჩვენი სანდოობა და საიმედოობა ჩვენი საქმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. გვსურს საზოგადოებაში, რომელშიც ვოპერირებთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

### ვიმუშაოთ ერთად

ჩვენი უნარი, ვიყოთ მრავალფეროვნები, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი წარმატებისთვის. ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს და გვეკარა გამჭორვალე და გულწრფელი დიალოგის. ჩვენ ერთმანეთზე ვზრუნავთ და ვებმარებთ.



ჩვენი მისიაა ოპერატორები წარმატებულები გავხადოთ და მივაწოდოთ მათ შესანიშნავი მომხმარებლის გამოცდილება მათი საბოლოო მომხმარებლისთვის უნაკლო ლოკალიზებული ლაივ კაზინოს შეთავაზებით რეგულირებულ ბაზრებზე, ყველა ციფრულ პლატფორმაზე ონლაინ და არავირტუალური ოპერატორებისა და მათი კლიენტებისთვის. ჩვენი ხედვაა შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ პოზიცია, როგორც მსოფლიოს ნომერ პირველმა ლაივ კაზინოს მომწოდებელმა, რადგან გლობალურად სათამაშო ბაზარი აგრძელებს განვითარებას. ჩვენი კულტურა ფესვებს იღებს ჩვენი კორპორაციული ღირებულებებიდან.

*ქეთევან ზუციანაძე*

## ძირითადი სფეროები

“ევოლუშენი” გააგრძელებს ევროპის ლაივ-კაზინოს ბაზარზე მისი პოზიციების გამყარებას, ასევე დაამყარებს წამყვან პოზიციებს ახალ გეოგრაფიულ ბაზრებზე, იმ საქმიანობაზე განსაზღვრული ფოკუსირებით, რომელიც ხელს უწყობს საქმიანობას და შეთავაზებას. ზრდა ნაწილობრივ გამომდინარეობს ოპერატორების მთლიანი შემოსავლის გაზრდილი წილიდან, კაზინო სერვისებიდან, რომელიც გამომდინარეობს ლაივ-კაზინოსგან, რადგან ოპერატორები ზრდიან ინვესტიციების რესურსებს მათ ლაივ შეთავაზებაზე, ისევე, როგორც მთლიანი კაზინოს ბაზრის ონლაინ კაზინოების ბაზრის წილის მეშვეობით.



### პროდუქტის ინოვაცია

“ევოლუშენი” უწყვეტად ცდილობს გააუმჯობესოს მისი შეთავაზებები მთლიანი ლაივ-კაზინოს ბაზრის განვითარებასთან ერთად ულტრათანამედროვე პროდუქტის ინოვაციების მეშვეობით. კომპანიამ, მისი დაარსების შემდეგ, წარმატებით დაიწყო ინოვაციური თამაშებისა და გადაწყვეტილებების შეთავაზება, რაც მიმზიდველია ორივესთვის, ოპერატორებისთვის და მათი მომხმარებლებისთვის. 2018 წელს, “ევოლუშენმა” დაიწყო უფრო მეტი თამაშის შეთავაზება, ვიდრე ოდესმე, მათ შორის უღვისებური რულეტკა და პირველი პირის სათამაშო დიაპაზონი, რომელიც მიზნად ისახავს RNG სამაგიდო თამაშების ხელახალი განსაზღვრებისთვის RNG -ს და ლაივ-კაზინოს სამყაროების გაერთიანებით.

### ფუნქციური სრულყოფილება

“ევოლუშენის” წამყვანი პოზიცია ძირითადად ემყარება კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც გამომდინარეობს კომპანიის ფუნქციური სრულყოფილებიდან 2006 წლიდან ლაივ-კაზინოს გადაწყვეტილებების შეთავაზებაში. ლაივ-კაზინო არის საკმაოდ რთული პროდუქტი და ფუნქციონირებისთვის ის მოითხოვს ეფექტურ კოლაბორაციას ხალხსა და სისტემებს შორის. “ევოლუშენს” აქვს დახვეწილი პლატფორმა, რომელიც ერთდროულად უმკლავდება პროგრამულ უზრუნველყოფას, აპარატურას, ვიდეოს, თანამშრომლებისა და მომხმარებლის მონაცემებს.

პლატფორმა უზრუნველყოფს გაფართოების შესაძლებლობას და საშუალებას აძლევს “ევოლუშენს” გაფართოვდეს ახალი სტუდიებით, ადგილობრივად პროგრამული უზრუნველყოფის გამოცდების გარეშე. ის ასევე უზრუნველყოფს მარტივ ადაპტირებას ახალი გეოგრაფიული ბაზრებისთვის, მაგალითად აშშ-სთვის.

### მომხმარებლის ოპტიმიზაცია

მომხმარებლების არსებული პორტფელის საშუალებით, “ევოლუშენი” სარგებლობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობებით თითოეული ოპერატორის ლაივ-კაზინოს გადაწყვეტილების შემდგომი განვითარების, გაფართოებისა და დახვეწის მიზნით. ლაივ-კაზინოს ბაზრის ძლიერი ზრდის გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი ოპერატორები ირჩევენ თავიანთი შეთავაზებების გაფართოებას და ინვესტიციებს დებენ სპეციალურ გარემოებებში. თამაშის მონაცემების ანალიზის გამოყენებით,

“ევოლუშენი” ოპტიმიზაციას უწევს თითოეულ ინდივიდუალურ გარემოს ამ კონკრეტული მომხმარებლის პირობების და საჭიროებების გათვალისწინებით, ოპერატორსა და საბოლოო მომხმარებელს შორის ერთგულების განმტკიცების მიზნით. მისი ტექნიკური გამოცდილებით, “ევოლუშენი” ასევე შეიმუშავებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აძლიერებს საბოლოო მომხმარებლის ჩართულობას ოპტიმალური მომხმარებლის გამოცდილების მეშვეობით, რაც მხარდაჭერილია სხვადასხვა სათამაშო სეგმენტებს შორის ჯვარედინი გაყიდვებით.

*ქეთევან ჭყავიჭავაძე*

## უპირატესობის გაზრდა

არავირტუალური კაზინოები

რეგულირებული ბაზრები

პროდუქტის ინოვაცია

ოპერაციული სრულყოფილება

მომხმარებლის ოპტიმიზაცია

## ყურადღების სფეროები

როგორც ონლაინ თამაშების მთლიანი ბაზარი, ასევე ლაივ-კაზინოს ბაზარი მუდმივად ვითარდება. "ევოლუშენი" მუდმივად იკვლევს ახალ შესაძლებლობებს, რათა გაიზარდოს და აასრულოს მისივე ზედვა იყოს ლაივ-კაზინოში მსოფლიოს ლიდერი. სტრატეგიული თვალსაზრისით, კომპანიამ გამოავლინა ფოკუს სფეროები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოკლევადიან პერიოდში სამუშაოდ.

### უპირატესობის გაზრდა

ლაივ-კაზინოს პოპულარობის გაზრდასთან ერთად, ლაივ პროდუქტის წარმოება მეტმა მომწოდებელმა დაიწყო.

"ევოლუშენს" დიდი უპირატესობა აქვს და მიზნად ისახავს მისი ზრდის იმპულსის შენარჩუნებას და განაგრძობს წამყვანი პოზიციის გაფართოებას ლაივ-კაზინოს ბაზარზე. ეს კეთდება კომპანიის სხვადასხვა ერთეულებს შორის სუფთა თანამშრომლობით, სადაც პროდუქტის განვითარება, გაყიდვები და მარკეტინგი და ოპერატიული განყოფილებები მჭიდროდ თანამშრომლობენ საუკეთესო პროდუქტის შესათავაზებლად. "ევოლუშენის" შეფასებით, კომპანიამ გაზარდა საბაზრო წილი 2018 წელს და ზედავს ამკარა შესაძლებლობებს, რომ მომდევნო წლებში, გააგრძელოს სივრცის ზრდა, რაც ზელს შეუწყობს რამდენიმე ახალი თამაშისა და სტუდიის გაშვებას, ასევე სტრატეგიული შენაძენების გაკეთების შესაძლებლობას.

### არავირტუალური კაზინოები

ტრადიციული არავირტუალური კაზინო შეადგენს კაზინოების მთლიანი ბაზრის დიდ ნაწილს. ამ კომპანიებს ხშირად ძლიერი ბრენდი და ერთგული მომხმარებლები ჰყავს, რომლებიც ძლიერ ძალას წარმოადგენენ. ამავე დროს, არავირტუალური კაზინოების ზრდა დაბალია და სულ უფრო მეტი ცდილობს ონლაინ სივრცეში გადასვლას, რათა ბიზნესის ზრდის შესაძლებლობა პქონდეთ. ასეთ შემთხვევებში, ლაივ-კაზინო შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ბუნებრივი ხიდი, რომელიც აკავშირებს არავირტუალურ კაზინოებს და ონლაინ ოპერაციებს. "ევოლუშენი" მიზნად ისახავს იყოს პარტნიორი ისეთი არავირტუალური კაზინოებისთვის, რომლებიც ცდილობენ ონლაინ გაფართოებას. ამჟამად, კომპანიას აქვს არავირტუალური კაზინოს მომხმარებლები ესპანეთში, ბელგიაში, მალტაზე, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-სა და რუმინეთში. მოსალოდნელია, რომ არავირტუალური კაზინოებისგან მოთხოვნა გააგრძელებს ზრდას მომდევნო წლებში.

### რეგულირებული ბაზრები

ბოლო წლებში ბევრმა ქვეყანამ განაზოციელა მათი სათამაშო რეგულაციების ბაზრების რეგულირება ან რეგულაციების შეცვლა – ეს ტენდენცია, სავარაუდოდ, გაგრძელდება. როდესაც ბაზარი რეგულირებულია, უფრო და უფრო მეტი ახალი მომხმარებლები იკვლევს სხვადასხვა კაზინოს თამაშებს და, ბუნებრივია, ისინი გაიგებენ ლაივ-კაზინოს შესახებ, რომელიც ადაპტირებულია ადგილობრივ ბაზარზე თამაშების იმ წარმდგენების მეშვეობით, რომლებიც საუბრობენ მომხმარებლის მშობლიურ ენაზე. შედეგად, აზარტული თამაშების ოპერატორებისთვის, ლაივ-კაზინო მნიშვნელოვანი პროდუქტია ახალ ბაზრებზე. "ევოლუშენის" მიერ დასახული სტრატეგია იყოს პირველი ლაივ-კაზინოს მომწოდებელი რეგულირებულ ბაზრებზე და ის წარმატებით შევიდა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ბელგია, კანადა, ესპანეთი, და რუმინეთი. 2018 წელს კომპანია ასევე შევიდა კანადისა და აშშ-ის რეგულირებულ ბაზრებზე. კომპანიის ძლიერი წარმალობა აჩვენებს დადებით გავლენას იმ შემოსავლებისა და ზრდის თვალსაზრისით, რასაც საქმიანობის დაწყება იწვევს.




*ქეთევან ზეივაძე*



## ჩვენი საქმიანობა

“ევოლუშენი” მომხმარებელს სთავაზობს ლაივ-კაზინოს პლატფორმას, რომელიც ერთდროულად გაუმკლავდება აპარატურას, პროგრამულ უზრუნველყოფას, ვიდეოს, თანამშრომლებსა და მომხმარებლის მონაცემებს, რაც ოპერატორებს სთავაზობს ლაივ-კაზინოს სრულ შეთავაზებას და საბოლოო მომხმარებლებს უნიკალურ სათამაშო გამოცდილებას.



კომპანია ინვესტიციებს დებს იმ ტექნიკურ პლატფორმაში, რომელიც კომპანიის საქმიანობის საფუძველს ქმნის. ინვესტიციები ეხება სერვერებსა და ადაპტირებულ აღჭურვილობას, როგორცაა ვიდეო-ჩაწერის მოწყობილობები, ბარათების სკანერები და დილერების კომპიუტერები. კომპანიას გააჩნია სტაბილური და საიმედო ტექნიკური სისტემა, რომელიც მართავს მონაცემთა მოძრაობას და ინტეგრაციას სათამაშო ოპერატორის სისტემასთან. ეს ტექნოლოგია შექმნილია იმისათვის, რომ შეძლოს მონაცემების დიდი მოცულობის გამკლავება და ამავდროულად, იყოს მასშტაბირებადი. “ევოლუშენმა” ასევე შექმნა ვიდეო კოდირების საკუთარი გადაწყვეტა, რომლის მიზანია უზრუნველყოს უწყვეტი ვიდეო სტრიმინგი HD ფორმატით, ან ფორმატში, რომელიც საუკეთესოდ მოერგება საბოლოო მომხმარებლის შესაძლებლობებს.



მისიის მართვის ოთახი

### მისიის მართვის ოთახი

(მშო) “ევოლუშენის” საქმიანობის გულია. მშო პასუხისმგებელია ფუნქციონალურ სრულყოფილებაზე, სისტემის ხელმისაწვდომობაზე, უსაფრთხოებასა და რეგულაციებთან შესაბამისობაზე. კომპანიის მიერ ყველა სტუდიაში მიმდინარე ყველა თამაშს მონიტორინგს უწვენ და აკონტროლებენ დღეში 24 საათის განმავლობაში, რეალურ დროში - ხშირად ათასობით ერთდროულ მოთამაშესთან ერთად. მონიტორინგის ძირითადი სფეროებია ტექნიკა, თამაშის წარმდგენები და სათამაშო მოდელები – ეს ყველაფერი უსაფრთხოების ოპტიმიზაციის და თაღლითობისგან დაცვის უზრუნველსაყოფად. მშო-ს ცენტრალური ჰაბი მდებარეობს ლატვიაში, წარმოების სტუდიაში. საშუალო მშო-ები ასევე ხელმისაწვდომია

*ქეთევან ზედაძე*

სხვასტუდიებში, როგორც კომპანიის უწყვეტი დაგეგმვის ნაწილი. მშო უზრუნველყოფს "ევოლუშენის" ბიზნესის მასშტაბირებადობას, რადგან შესაძლებელია რამდენიმე სტუდიის მონიტორინგი ერთი ადგილიდან. ზოგიერთი ბაზარი, როგორცაა ნიუ-ჯერსი, საჭიროებს მშო-ს ადგილობრივ წარმომადგენლობას.



#### ინდივიდუალური მომსახურება

ლაივ-კაზინოს პროდუქტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია იმ ოპერატორებისთვის, რომლებსაც სურთ მიაღწიონ ბრენდის დიფერენცირებას და მოთამაშეთა მიმართ მათი ერთგულების გაძლიერებას.

"ევოლუშენს" სრულად სპეციალიზებული ცხრილებისა და გარემოს შეთავაზების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, სადაც პრაქტიკულად ყველაფერი ინდივიდუალური ოპერატორის პრეფერენციაზე იქნება მორგებული.

#### დისტრიბუციის არხები

"ევოლუშენი" საბოლოო მომხმარებელს სთავაზობს მარტივ წვდომას ლაივ-კაზინო თამაშებზე ყველა ძირითადი პლატფორმის მეშვეობით.

ბოლო წლების განმავლობაში, მობილურმა გეიმინგმა მკვეთრად მოიმატა და 2021 წელს, სათამაშო შემოსავლების 69% წარმოქმნილია "ევოლუშენის" მობილური მოწყობილობების პლატფორმიდან. მოსალოდნელია, რომ მობილური მოწყობილობების პოპულარობის ზრდა გაგრძელდება. ყველა მობილური თამაში ჩამუშავებულია HTML5-ში ოპერატორის მობილური ვებგვერდებში შეუფერხებელი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად და კომპანიის სტრუქტურა მაქსიმალურად არის მორგებული ბიზნეს საქმიანობის გამარტივებასა და უფექტურობაზე. კომპანიის სტრუქტურა შედგება პორიზონტალური და ვერტიკალური ხაზით

*ქაიკა ზეიწყაია*

დაკავშირებული ქვედანაყოფებისაგან, რომელთაგან ყველა ექვემდებარება დირექტორს ან/და ზედამხედველ სტრუქტურულ ერთეულს. სწორედ ეს დანაყოფები არიან პასუხისმგებელი კომპანიის ოპერაციულ საქმიანობაზე. ნებისმიერი სამსახურისათვის ცალკეულად ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც შემდგომ იყოფა თითოეული თანამდებობისათვის მიკუთვნილებული ფუნქცია-მოვალეობებისათვის დამახასიათებელი პროცედურის აღწერილობით. ჩვენი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და განახლების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უფლება-მოვალეობების ზუსტ გამოიჯნასა და პროცედურული ინსტრუქციების ნათლად გამოსახვას, რათა მოხდეს შესასრულებელი სამუშაოს სრულად დაფარვა, ისე, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადამიანური თუ მატერიალური რესურსი.


### კორპორაციული მართვა

კომპანიის 100% წილის მფლობელს წარმოადგენს შპს Evolution Malta Holding Limited, მალტა, და კომპანიას არ ჰყავდა საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. პარტნიორთა უფლება მოვალეობები იმართება კომპანიის წესდებით, რომელიც წარმოადგენს საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტს. კომპანიის დირექტორები არიან მარტინ ოლოფ კარლესუნდი და პოლ ჯესპერ ფონ ბაპრი.

როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შპს Evolution Malta Holding Limited -ის მფლობელია Evolution Gaming Group AB (საჯარო) რომელსაც მართავს დირექტორთა საბჭო და მისი მმართველობითი სტრუქტურა და პროცედურები არის საჯარო და განთავსებულია შემდეგ ბმულზე: <https://www.evolutiongaming.com/corporate-governance>.

Evolution Gaming Group AB (საჯარო) ("ევოლუმენი") არის შვედური საჯარო შეზღუდული შესაძლებლობის კომპანია, რომელიც დაარსდა 2014 წლის დეკემბერში და Nasdaq Stockholm საფონდო ბირჟაზე არის ჩამონათვალში წარმოდგენილი. "ევოლუმენი" იყენებს კანონს შვედური კომპანიების შესახებ და ევროკავშირის ბაზრის ბოროტად გამოყენების რეგულირებას, შვედეთის კორპორაციული მართვის კოდექსს ("კოდექსი") და სხვა რეგულაციებს და წესებს, რომლებიც ეხება Nasdaq Stockholm საფონდო ბირჟის ჩამონათვალში არსებულ კომპანიებს, მათ შორის Nasdaq Stockholm-ის წესების წიგნს გამომცემლებისთვის. მიმდინარე კოდექსი ხელმისაწვდომია შვედეთის კორპორაციული მართვის საბჭოს ვებგვერდზე [www.bolagsstyrning.se](http://www.bolagsstyrning.se).

"ევოლუმენის" კორპორაციული მართვის მოდელი



ქეთევან ზეიდაშვილი

## მდგრადი განვითარების პოლიტიკა

“ევოლუშენის” ღირებულებათა საბჭომ დანერგა ჯგუფის ფარგლებში მდგრადი განვითარების პოლიტიკა. “ევოლუშენი” მდგრადობას ყველა კორპორატიულ საქმიანობაში ემსახურება ამ პოლიტიკისა და სხვა მმართველი დოკუმენტების დანერგვით, მათ შორის ქვევის კოდექსისა და მამხილებელი პროცედურებით. მეტიც, “ევოლუშენი” მისი მომხმარებლისგან, მომწოდებლებისგან და ბიზნეს პარტნიორებისგან მოულის, რომ მათაც დაიცვან ქვევის კოდექსში ასახული მსგავსი სტანდარტები მათი საქმიანობის წარმოებისას.

“ევოლუშენის” მიერ შედეგების წლიური ანგარიშების აქტის საანგარიშო სტანდარტების შესრულების შეჯამება:

- ბიზნეს მოდელი
- გარემო
- ადამიანის უფლებები და სოციალური მდგომარეობა
- ქრთმსაწინააღმდეგო და ანტი-კორუფცია
- თანაბარი შესაძლებლობები და დისკრიმინაციის აკრძალვა
- პასუხისმგებლობიანი თამაში

როგორც მდგრადი განვითარების პოლიტიკა, ასევე ქვევის კოდექსი ხელმისაწვდომია კომპანიის ვებ – გვერდზე. გარდა ამისა, ევოლუშენს, ჯგუფის მასშტაბით, გააჩნია პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მდგრადობასთან დაკავშირებულ თემებს:

- ქრთმსაწინააღმდეგო და ანტიკორუფციული პოლიტიკა
- რისკის მართვის პოლიტიკა
- გლობალური HR პოლიტიკა
- მონაცემთა დაცვისა და კონფიდენციალურობის პოლიტიკა
- სამუშაო გარემოს პოლიტიკა
- თანასწორობის გეგმა
- დისკრიმინაციის პოლიტიკა
- კომუნიკაციების პოლიტიკა

კომპანიის პოლიტიკა იწერება გუნდის წევრებთან განმეორებითი კომუნიკაციით და სავალდებულო ტრენინგებით. პოლიტიკა ყოველწლიურად განიხილება და ყოველთვის ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის კომპანიის ინტრანეტის საშუალებით.

პროგრესული სფეროები					
ჩვენი ადამიანები	ჩვენი საზოგადოება	ჩვენი გარემო	მრავალფეროვნება	პასუხისმგებლური თამაში	უთიკური ბიზნეს პრაქტიკები
მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები					
 		 		 	

*ქეთევან ჭეიუაშვილი*

### მდგრადი განვითარების რისკები

“ევოლუშენის” ოპერაციები ექვემდებარება გარკვეულ რისკებს, რომლებიც ასოცირდება მდგრადი განვითარების სფეროსთან, ეს რისკებია:

- პოლიტიკური გადაწყვეტილებები და სხვა იურიდიული ასპექტები
- საბოლოო მომხმარებლები
- მთავარ პერსონალზე და გამოცდილ თანამშრომლებზე დამოკიდებულება
- რისკის მართვა
- საგადასახადო სიტუაცია

### მდგრადი განვითარების ასპექტები “ევოლუშენის” საქმიანობაში

“ევოლუშენის” სწრაფი და სტაბილური ბიზნეს ზრდა უყრდნობა კომპანიის ინოვაციური და გრძელვადიანი პერსპექტივის მომგებიან კომბინაციას, რომელიც ორიენტირებულია ჩვენი პროდუქტის განვითარებაზე, ჩვენს საქმიანობასა და ჩვენს ხალხზე. “ევოლუშენი” ისწრაფვის მდგრადი ბიზნეს პრაქტიკის და იმ მუდმივი ძალისხმევის მიმართ, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი გუნდის წევრების კეთილდღეობასა და განვითარებას, ისევე როგორც ჩვენს ამბიციას, ვისწრაფოდეთ დადებითი გავლენის მოხდენისკენ, როგორც უშუალო საზოგადოებებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ისე ზოგადად გარემოზე. ჩვენ ვიყენებთ ტერმინის “მდგრადი განვითარების” ფართო განმარტებას, ჩვენი ამბიცია ამ სფეროში უმყარება ჩვენს ღირებულებებს და მივიჩნევთ მას როგორც სტრატეგიული, ასევე საოპერაციო მუშაობის განუყოფელ ნაწილად.



### ქრთამის, კორუფციისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა

ქვევის კოდექსით, Evolution Georgia-ს აქვს მკაფიო მითითებები, თუ როგორ უნდა აიცილოს თავიდან კორუფცია, ქრთამი და ფულის გათეთრება. თანამშრომლები გადიან სავალდებულო ტრენინგს ამ საკითხებთან

*ჩეთვან ზეიოშვილი*

დაკავშირებით. გარდა ამისა, ფონური შემოწმება ხორციელდება თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე და უფრო დიდ მომწოდებლებზე.

“ევოლუშენი” არ მართავს ფულად ნაკადებს საბოლოო მომხმარებლისგან, პრაქტიკული ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სამუშაო უპირველესად ოპერატორებზე გადის. მიუხედავად ამისა, “ევოლუშენი” იმ გლობალური ძალისხმევის ერთგული რჩება, რომელიც ებრძვის ფულის გათეთრებას და ტერორიზმის დაფინანსებას და ჩამოაყალიბა პროცესები “ევოლუშენის” პროდუქტის ფულის გათეთრებაში გამოყენების პრევენციისთვის. კომპანია მონიტორინგს უწევს ყველა სათამაშო აქტივობას 24 საათის განმავლობაში (როგორც ეს აღწერილია პასუხისმგებლობიანი თამაშის სექციაში). ეს პრო-აქტიური მიდგომა “ევოლუშენს” საშუალებას აძლევს დაადგინოს შესაძლო არარეგულარული მოქმედებები და აცნობოს ოპერატორებს ამის შესახებ. თავის მხრივ ეს, საშუალებას აძლევს ოპერატორებს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რათა თავიდან ააცილონ მათ მომსახურებას ის, რომ იყოს გამოყენებული ფულის გათეთრების მიზნებით.

### საინფორმაციო უსაფრთხოება

სათამაშო უსაფრთხოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს “ევოლუშენისთვის” ბაზარზე ნდობის შესანარჩუნებლად. “ევოლუშენს” აქვს ISO, ISO 27001: 2013 სერტიფიკატი, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველაზე მაღალი სტანდარტი IT უსაფრთხოებისთვის. აუდიტის პროცესი ჩატარდა ლატვიაში, რადგან კომპანიის ოპერაციების უმეტესი ნაწილი და მისი პლატფორმა იქ არის დაფუძნებული და წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ “ევოლუშენმა” წარმატებით მოაგვარა მისი პროცესები ისე, რომ დაგულია კონფიდენციალურობა, მთლიანობა და ინფორმაციის და მონაცემების ხელმისაწვდომობა.

### მონაცემთა დაცვა და მონაცემთა კონფიდენციალურობა

“ევოლუშენის” ოპერაციები მოითხოვს კოორდინირებულ რეაგირებას მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა კონფიდენციალურობის საკითხებზე. “ევოლუშენმა” დანერგა პროცესები, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგლამენტის (EU) 2016/679 დებულების შესაბამისად. პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და ამგვარი მონაცემების თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით (“GDPR”) და სხვა მოქმედი ადგილობრივი კანონები, რომლებიც ეხება მონაცემთა დაცვას და მონაცემთა კონფიდენციალურობას.

“ევოლუშენმა” დანიშნა მონაცემთა დაცვის სპეციალისტი მოქმედ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. 2018 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა რაიმე დასაბუთებული საჩივარი მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევებთან დაკავშირებით.




ქეთევან ზუბაიძე

## სამართლიანი და შესანიშნავი დამსაქმებელი

ევოლუციური ცდილობს იყოს მიწვიდევი დამსაქმებელი, რომელიც მის მიერ დაქირავებულ თანამშრომლებს სთავაზობს კონკრეტულწარიან ზელფასებსა და სარგებლის პროგრამას, გამოწვევ და სოციალურ საშუალო გარემოს და მნიშვნელოვან განვითარების შესაძლებლობებს. კომპანია მოქმედებს იმ მოსაზრების თანახმად, რომ ძლიერი კორპორაციული კულტურა, რომელიც ზელს უწყობს თანამშრომლის გამოცდილებას და ინარჩუნებს მომხმარებელსა და საბოლოო მომხმარებელს, ძირითადად არის ის, რასაც საბოლოოდ მოაქვს "ევოლუციონის" მიერ შემოთავაზებული უნიკალური ლაივ კაზინო გამოცდილება.

"ევოლუციონის" დამსაქმებლები იმყოფებიან კომპანიის სტუდიებში და ოფისებში ლატვიამი, საქართველოში, მალტაზე, ბელგიაში, გაერთიანებულ სამეფოში, აშშ-ში, ესტონეთში, რუმინეთში, ნიდერლანდებში, შვედეთში, ესპანეთსა და კანადაში. ახალმოსულები უერთდებიან სწრაფად განვითარებად საერთაშორისო გარემოს, მდიდარი კარიერული ზრდის საშუალებით. მათი უმეტესობა მუშაობს საოპერაციო სათამაშო სფეროში თამაშების წარმდგენებთან, ე.ი. დიდებთან ერთად, რაც ერთობლიობაში ყველაზე დიდ ჯგუფს შეადგენს. ევოლუციონი ასევე მიწვიდევი დამსაქმებელია პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრებისთვის მისი ინოვაციური პროფილის და მოწინავე პიონერული ტექნოლოგიების დამსაზრებით. კომპანიის IT ურთულეები, რომლებიც დაახლოებით 400 ადამიანისგან შედგება, მოიცავს მაღალკვალიფიციურ ექსპერტებს. მრავალი ინოვაციური ტექნოლოგიური სფეროებიდან. ბევრი თანამშრომელი, განსაკუთრებით ოპერაციებში, არის სტუდენტი ნახევარ განაკვეთზე, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ, კომპანიაში სრულ განაკვეთზე მუშაობის გამოწვევებს დაუპირისპირდებიან. მუდმივად თანამშრომლების დაქირავების საქროების შესასრულებლად, რაც გამოწვეულია მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდის შედეგად, ევოლუციონი ატარებს გარკვეული რაოდენობის დონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პოტენციურ თანამშრომლებზე, მათ შორის მთავარ ბაზრებზე არსებული უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, ვაკანსიების ბაზარზე არსებობა და ჰოსთინგი, IT კონფერენციის მასპინძლობა და დასწრება, ასევე სხვადასხვა სახის ციფრული და OOH კამპანიები.



ქეთევან ზუგუყაშვილი

## “ევოლუშენ აკადემია”

“ევოლუშენ აკადემია” მდებარეობს წარმოების სტუდიებში და პასუხისმგებელია სათამაშო პერსონალის დაქირავებაზე და მათ თავდაპირველ და მიმდინარე დატრენინგებაზე – თამაშების წარმდგენებიდან დაწყებული, ბანქოს ამრევებით გაგრძელებული და კლიენტების მომსახურების პერსონალით დამთავრებული

აკადემია ზუსტად ისეა მოწყობილი, როგორც ლაივ-კაზინო სტუდია, ისეთი ტრენინგის უზრუნველსაყოფად, რომელიც მაქსიმალურად რეალისტურია, ტრენინგის ნორმალური პერიოდი ახალი თამაშის წარმდგენისთვის დაახლოებით 100 საათია, რის შემდეგაც 3 თვიანი სტაჟირების პერიოდი იწყება.

თითოეულ ახალ დაქირავებულ პერსონალს უნიშნება მენტორი და სტაჟირების პერიოდის დასრულების შემდეგაც გრძელდება ტრენინგი, მათი უნარების შემდგომი განვითარებისა და სათამაშო შეცდომების ისკის მინიმუმამდე დაყვანისთვის. დასაქმების პერიოდში თითოეული პერსონალი აგრძელებს ტრენინგს მათი შედეგების მიხედვით, მაგრამ ასევე, ახალი თამაშების ან სხვა ტექნიკური მახასიათებლების წამოწყებასთან პარალელურად. ტრენინგი აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების შესახებ, კანონმდებლობის, ფულის გათვრების და კონტროლის სხვა სფეროების შესახებ ქმნის ტრენინგის აქტივობების მთავარ ნაწილს.



**COVID-19.** 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გლობალურად გავრცელდა და ამის უარყოფითმა გავლენამაც არ დააყოვნა. “ევოლუშენ ჯორჯია” თავიდანვე ასრულებდა ადგილობრივი თუ გლობალური ჯანდაცვის ორგანოების რეკომენდაციებს, და ასევე გააგრძელა 2021 წელსაც, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ დუზინფექციებით, სავალდებულო იზოლაციით იმ თანამშრომლებისთვის, რომლებმაც იმოგზაურეს მაღალი რისკის შემცველ ქვეყნებში, სწრაფი და PCR ტესტებით საქართველოს მთავრობის მოთხოვნების შესაბამისად, საინფორმაციო კამპანიებით და ა.შ.

მიუხედავად ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული პანდემიური ვითარებისა, “ევოლუშენ ჯორჯია” აგრძელებდა ზრდას და სამომავლოდ მიზნად ისახავს ამ ზრდის მუდმივ შენარჩუნებას. ჩვენ ვინარჩუნებთ მაუწყებლობის ხელშეკრულებას მსს Evolution Malta-სთან და მსს Evolution Gaming Malta-სთან. კლიენტები აგრძელებენ ყველა ხარჯის დაფარვას + მუთანხმებით განსაზღვრული ფანდამატი.

ქეთევან ჭყეუყაძე





## ფინანსური მონაცემები

2021 წელი "ევოლუშენ ჯორჯიასთვის" მუშაობის მეოთხე წელია, ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებით:

- o აქტივების მოცულობა 2021 წლის ბოლოს 132 მილიონი ლარია
- o ვალდებულებების მოცულობა 2021 წლის ბოლოს 111 მილიონი ლარია
- o კაპიტალი 8 846 000 ლარიდან 20 956 000 ლარამდე გაიზარდა.

კომპანიის წმინდა მოგებას საერთაშორისო სტანდარტებით 13 416 000 ლარი შეადგინა. "ევოლუშენ ჯორჯიას" შემოსავალი დაფუძნებულია კომპანიის მიერ ლაივ-კაზინოს მომსახურების მიწოდებისას წარმოქმნილ შიდა ხარჯებზე და მასზე დამატებულ ტრანსფერების პროცენტზე.

2018 წლის დასაწყისში თანამშრომლების რაოდენობა იყო 8 პირი. წლის ბოლოს ამ რაოდენობამ 1067-ს მიაღწია, 2019 წლის ბოლოს 2870 თანამშრომელი იყო, 2020 წლის ბოლოს-3558, ხოლო 2021 წლის ბოლოს, "ევოლუშენ ჯორჯიას" 5953 თანამშრომელი ჰყავდა.

კომპანიამ პირველი ლაივ ტრანსლაცია 2018 წლის 30 მარტს დაიწყო სამი მაგიდით და წლის ბოლოსთვის მაგიდების რაოდენობა 107-მდე გაიზარდა, 2019 წელს 304 მაგიდამდე, 2020 წლის ბოლოს, მაგიდების რაოდენობა 330-მდე გაიზარდა, ხოლო 2021 წელს, მაგიდების რაოდენობამ სულ 532 შეადგინა.

აუდიტორების შერჩევა ყოველწლიურ საერთო კრებაზე ხდება. აუდიტორმა უნდა შეამოწმოს კომპანიის წლიური ანგარიშგება და ანგარიშები, ისევე, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მართვა და მმართველო დირექტორი. აუდიტორმა ასევე უნდა შეამოწმოს ჯგუფის ანგარიშები, ისევე, როგორც ჯგუფში არსებული კომპანიების ერთმანეთში ურთიერთობა. ასოციაციის წესდების მიხედვით, "ევოლუშენს" ერთი ან ორი აუდიტორი უნდა ჰყავდეს. აუდიტორი დაინიშნება დროის იმ პერიოდისთვის, სანამ არ დასრულდება ყოველწლიური საერთო კრება, რომელიც ჩატარდება არჩევიდან მეოთხე ფინანსური წლის განმავლობაში. 2021 წელს ჩატარებულმა ყოველწლიურმა საერთო კრებამ ხელახლა აირჩია Öhrlings PricewaterhouseCoopers AB, როგორც კომპანიის აუდიტორები 2022 წლის ყოველწლიური საერთო კრების დასრულებამდე. პასუხისმგებელი აუდიტორია იოჰან უნგსტამი, რომელიც დაიბადა 1966 წელს და არის სერტიფიცირებული საჯარო ბუღალტერი (CPA).

პალ ჯესპერ ფონ ბაპრი  
დირექტორი  
10 მაისი 2022

იოჰან უნგსტამი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220669707



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

06.06.2022 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

577921111

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

88141238693522



ორიათას ოცდაორი წლის ექვს ივნისს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციულ ფართი #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის ქეთევან ბეჭიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს "ევოლუშენ ჯორჯია" ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და მოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2021 წლის 31 დეკემბერი - თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საბლანკო: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებებისათვის საბლანკოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 146.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 148 (ას.ორმოცდარვა) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: [www.notary.ge](http://www.notary.ge) ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

